# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 7 სექტემბერი 2000 №172 (1194) | ფასი 50 თეთრი


## დაწერილი და დაუბეჭდავი რეპორტაჟი

„ტორპედოს“ დიდმოხელეები ჟურნალისტს შემოსწყრნენ

## შოთა არველაძე: ასიანი და იმედიანი

## კახა კალაძე იტალიური კანონმდებლობის რეფორმატორია

# ვინ იფრინა და ვინ...

აჭქალაში მეკარეებმა, „მერანის“ აკაკი დევაძემ და „ვიტ ჯორჯიას“ მირზა მერლანმა იფრინეს და ფრეც ჟინიანი გამოვიდა; „გორდას“ „კოლხეთთანაც“ შემცვლელმა, ამჯერად გიორგი მიშველიძემ მოაგებინა; „დინამოს“ კი მსაჯმა მოაგებინაო, აღელდნენ ბოლნისელი ქომაგები; „ლოკომოტივმა“ გიორგი შენგელიას ჰეთ თრიქით სტუდენტები დაიბრიყვა, „ტორპედომ“ იონანიძის და იმედაძის გოლებით — „ბათუმი“; „იბერიას“ კი „დილამ“ და სამტრედიელმა გულშემატკივრებმა მშობლიურ ქალაქში დაბრუნების დღე აწყევლინეს.



გია ახალაძე მცხეთიდან

გუშინ მცხეთაში: თსუ — „ლოკომოტივი“ 1:5. გიორგი შენგელიამ ედიშერ ალადაშვილის (№5) და გიორგი მორჩილაძის თსუ-ს ჰეთ თრიქი გაუტანა

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — პირველი წრე

## 3 ტური

6 სექტემბერი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| მერანი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| გორდა | 1 |
| კოლხეთი | 0 |
| იბერია | 0 |
| დილა | 1 |
| თსუ | 1 |
| ლოკომოტივი | 5 |
| სიონი | 1 |
| დინამო | 2 |
| ტორპედო | 2 |
| ბათუმი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:1 | 9 |
| ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| დილა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| გორდა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:7 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| მერანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| კოლხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 3 |
| სიონი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| იბერია | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |
| თსუ | 3 | 0 | 0 | 3 | 2:9 | 0 |


სპორტული ჟურნალი №7

სარბიელი



ეს მოხდა 20 წლის წინ: თბილისის „დინამომ“ თასების თასის მეთექვსმეტედფინალში სალონიკის „კასტორია“ დაამარცხა და 13 მაისის ღამისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა. იგონებენ თთარ გაბელია და რამაზ შენგელია.

ეს მოხდა ოთხჯერ, ოღონდ კარგია თუ ცუდი? ორიოდ სიტყვა „ოქროს გოლის“ წესზე.

ეს მოხდება 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე. სიდნეის ოლიმპიადასა და ქართველ ოლიმპიელებზე.

ეს მოხდება შემოდგომაზე. ჩემპიონთა ლიგის ყველა ჯგუფის კალენდარი და ცხრილები, რომელთაც თქვენ შეავსებთ.

რა თქმა უნდა, პლაკატი

ლუიშ ფიგუ

და ძველებური ფასი — 2 ლარი.

ორშაბათიდან

შეიძინეთ ჟურნალი

სარბიელი


# მარადიული კითხვა



REUTERS ნიუ იორკიდან

იხილეთ მეცამეტე გვერდი

## მარტინა მარტოა, ვინუსი ჯანზე

US OPEN

ხერხი თუ ღონე? კუნთები თუ სისწრაფე? ვინუს უილიამსი თუ მარტინა ჰინგისი? ამ კითხვებს პასუხი წლევანდელი აშშ-ის ღია პირველობის ყველაზე პრინციპულ და საინტერესო შეხვედრაში, ქალთა ნახევარფინალში გაეცემა პასუხი. თუმცა მანამდე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა თავისი ყველაზე დიდი ქომაგი მოისაკლისა — შვეიცარიელის გულის მურაზმა მაგნუს ნორმანმა მერვედფინალში ნიკოლას კიფერთან წააგო.


იხილეთ მეცამეტე გვერდი




REUTERS ნიუ იორკიდან

მარტინა ჰინგისი

## ინგლისი

IV ტური

**ქოვენთრი 0:2 ნიუკასლი**
0:1 შირერი (30 პ), 0:2 გალაჰერი (58)

**დერბი 3:3 მიდლსბრო**
0:1 ბოკშიჩი (12 პ), 0:2 ჯობი (51), 0:3 დინი (59), 1:3 კრისტი (68), 2:3 შტრუპარი (83), 3:3 კრისტი (88)
დერბი: პოომი, შნური, ელიოტი, ბრაგსტადი, დელაპი, ერანიო (კრისტი 64), ჯონსონი, ვალაკარი (ქინქლაძე 64), სტარიჯი, შტრუპარი (მიურეი 90), ბარტონი

**ლესტერი 2:1 საუთჰემპტონი**
1:0 აკინბაი (57), 2:0 ელიოტი (73), 2:1 მეჯილტონი (89 პ)

**ჩელსი 2:2 არსენალი**
1:0 ჰასელბაინკი (31), 2:0 ძოლა (58), 2:1 ანრი (76), 2:2 სილვინიო (86)

**ლივერპული 3:1 ასტონ ვილა**
1:0, 2:0, 3:0 ოუენი (5, 14, 33), 3:1 სტოუნი (83)

### ლიგის თასი

I ეტაპის
საპასუხო მატჩები

ნოტინგემი 1:2 დარლინგტონი (2:2)
სტოკ სიტი 0:0 იორკი (5:1)
ვესტ ბრომვიჩი 2:1 სუონსი (0:0)
ბლეკბერნი 6:1 როჩდეილი (1:1)
ჰალიფაქსი 1:2 ტრანმერი (0:3)
ქუინზ პარკი 1:4 კოლჩესტერი (1:0)

REUTERS ქოვენთრიდან

## გერმანია

III ტური

**ჰამბურგი 2:1 ვერდერი**
1:0 ბარბარეზი (26), 1:1 ბოდე (47), 2:1 პერჩი (82)

**აინტრახტი 4:0 ჰანზა**
1:0 რაიხენბერგერი (60), 2:0, 3:0 ჰელდტი (65, 79), 4:0 რაიხენბერგერი (81)

**დორტმუნდი 2:3 მიუნხენი**
0:1 აგოსტინო (34), 1:1 იკპება (37), 1:2 შტრანცლი (49), 2:2 ჰერლიხი (54), 2:3 აგოსტინო (86)

**ჰერტა 4:0 ბოხუმი**
1:0 პრეეცი (20), 2:0 ალვეში (35), 3:0 ჰარტმანი (43), 4:0 პრეეცი (60)

**ბაიერნი 3:1 ვოლფსბურგი**
1:0 შოლი (19), 2:0 იანკერი (36), 2:1 აკონორი (59), 3:1 ფინკი (87)

### II ბუნდესლიგა

III ტური

ფიურტი 2:0 ოსნაბრიუკი
კიკერსი 0:3 ალემანია
ვალდჰოფი 1:4 ნიუნბერგი

## საფრანგეთი

VI ტური

**ბასტია 1:0 ლილი**
1:0 ნი (55)

**გენგამი 2:1 ტულუზი**
0:1 ბონილა (32), 1:1, 2:1 კარნო (54, 58)

**ლანსი 1:0 ოსერი**
1:0 მანიე (4 ს.კ.)

**მეცი 1:0 სტრასბური**
1:0 ბატიკლი (88 პ)
გაძევება: დევე (85, სტრასბური), ფიშერი (88, სტრასბური)

**ნანტი 0:5 ბორდო**
0:1, 0:2, 0:3 პაულეტა (24, 43, 60), 0:4 ვილმოტსი (71), 0:5 ლასლანდი (83)

**სენტ ეტიენი 2:2 ლიონი**
0:1 ანდერსონი (10), 1:1 პედრონი (13), 1:2 მარლე (39), 2:2 პოტილიონი (49)

**ტრუა 5:3 პსჟ**
1:0 ჟუკიჩი (2 პ), 1:1, 1:2 რობერი (23, 34), 2:2 როტენი (49), 3:2 არპინიონი (58 პ), 4:2 ჟბარი (70), 5:2 ჟუკიჩი (72), 5:3 ანელკა (74)

**სედანი — რენი**
მატჩი შეწყდა 52-ე წუთზე თავსხმა წვიმის გამო. ამ დროს ანგარიში 1:1 იყო.

### II დივიზიონი

VIII ტური

კრეტეი 1:1 ბოვე
გენიონი 0:0 ლე მანი
ლავალი 3:1 ნიმი
ლე ავრი 0:0 შატორუ
ლორიანი 0:1 მარტიგი
მონპელიე 1:1 ანჟერი
ნიცა 1:0 აიაჩო
სოშო 1:0 კანი
ვასკალი 3:3 კაენი

# ოუენი, შირერი, ქინქლაძე...

64-ე წუთი და 0:3 იყო, როცა „დერბი ქაუნთის" მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა მოედანზე გიო ქინქლაძე და ჩვენებურივით ახალმორჩენილი მალკოლმ კრისტი შეუშვა. ზუსტად 24 წუთში ტაბლოზე 3:3 აინთო. სასწაულის დირიჟორი, „სქაი სპორტის" თქმით, სწორედ ქინქლაძე იყო.

ტურის გმირად კი მაიკლ ოუენი იქცა ნახევარსაათიანი ჰეთ თრიქით, თუმცა ალან შირერისაც ვთქვათ: ვაჟის დაბადება ვეტერანმა მეორასე პრემიერლიგური გოლითა და თავისი „ნიუკასლის" გალიდერებით აღნიშნა.

თბილისში გათენდა... დრამატულ ლონდონურ დერბიზე ხვალ მოგითხრობთ.


ქოვენთრი — ნიუკასლი 0:2.
ალან შირერი მე-200 პრემიერლიგური გოლით ხარობს

REUTERS ლივერპულიდან


ლივერპული — ასტონ ვილა 3:1.
ჰეთ თრიქმა სიხარული იცის, მაიკლ ოუენმა — ჰეთ თრიქი

REUTERS დორტმუნდიდან


დორტმუნდი — მიუნხენი 2:3. წაგება და მოგება ძმები არიან? დორტმუნდელთა მწუხარე მწვრთნელი მათიას ზამერი და მიუნხენელთა აღტყინებული თავკაცი ვერნერ ლორანტი

## იტალია

თასის II ეტაპის
საპასუხო მატჩები

ბოლონია 0:1 ვენეცია (2:2)
ვერონა 2:2 დ.დ. პიაჩენცა (1:2)
ლეჩე 1:0 კოზენცა (2:0)
ბარი 0:0 ტორინო (1:2)
რეჯინა 0:1 ატალანტა (0:2)
პერუჯა 2:1 სალერნიტანა (0:1)
ვიჩენცა 2:1 (4:5 პენ.) ბრეშა (1:2)

## შოტლანდია

ლიგის თასის
III ეტაპი

ფალკირკი 1:2 დ.დ. ჰიბერნიანი
დანფერმლიანი 2:0 მოზერუელი
ლივინგსტონი 0:2 ჰართსი
რეინჯერსი 4:2 აბერდინი

## ჩეხეთი

თასის III ეტაპი

მოსტი (II) 1:3 სპარტა
ხომუტოვი (II) 3:1 პლზენი
პარდუბიცე (II) 0:0 (4:5 პენ.) ბოჰემიანსი

## ჰოლანდია

III ტური

**გრონინგენი 1:0 გრააფსხაპი**
1:0 ვან დაიკი (60)

**ვიტესი 5:1 სპარტა**
1:0, 2:0 ამოა (42, 45), 3:0 მარტელი (50), 4:0 პეტერსი (57), 5:0 მარილია (64 ს.კ.), 5:1 ელ ხატაბი (79)

**ტვენტე 2:2 ჰერენვენი**
1:0 ვენეგოორი (42), 1:1 რადომსკი (47), 1:2 ლურლინგი (50), 2:2 ჰუვინგი (90)

**ვალვაიკი 3:0 ალკმაარი**
1:0 ვან ვანროი (12), 2:0 ჰუგენდორპი (80), 3:0 ჰუმანი (86)

**ბრედა 1:1 როდა**
1:0 სერხიო (38), 1:1 სუტერსი (52)
გაძევება: ვრედე (87, როდა)

**აიაქსი 0:0 ნაიმეგენი**

## შვედეთი

XVIII ტური

ელფსბორგი 2:0 სუნდსვალი
ჰამარბი 2:1 იორებრო
ფრიოლუნდა 1:2 აიკ

## თურქეთი

გადადებული მატჩი

ბურსა 0:2 გალათასარაი

## რუსეთი

XXIV ტური

ჩერნომორეცი 0:3 ლოკომოტივი
სატურნი 0:0 კრილია
დინამო 2:4 სპარტაკი
ნ. ნოვგოროდი 1:0 ფაკელი
ანჟი 1:1 როტორი
ზენიტი 1:0 ალანია
ტორპედო 2:2 ურალანი
როსტსელმაში 1:1 ცსკა

## ავსტრია

X ტური

ადმირა 0:4 გრაცერი
აუსტრია 2:1 ბრეგენცი
რიდი 1:0 ლინცერი

## დანია

VII ტური

ორჰუსი 1:4 ლიუნგბიუ
ბრონდბიუ 2:0 ვიბორგი
ჰერფიოლგე 0:0 სილკებორგი
მიდტიულანდი 5:1 ჰადერსლევი
ოდენსე 2:0 ოლბორგი
კოპენჰაგენი 1:0 აკადემისკი

## პოლონეთი

ლიგის თასი
მერვედფინალის
საპასუხო მატჩები

პოლონია 1:0 ვლუკნიაჩი (II) (2:3)
რუხი 0:1 ზაგლებე (2:4)
ვისლა 4:2 ვროცლინი (0:0)
კატოვიცე 1:2 ლეგია (0:1)
რადომსკი (II) 1:0 ოდრა (2:1)
პოლკოვიცე (II) 1:0 გურნიკი (1:1)
ამიცა 4:0 ვიძევი (2:2)
ჰეტმანი (II) 2:1 პოგონი (0:5)

## ბელგია

IV ტური

სტანდარდი 0:4 ბრიუგე
ლუვიე 0:5 ბევერსხოტი
ანტვერპენი 2:0 ჰარელბეკე
ლიერსი 3:0 ბევერენი
გენკი 1:2 ვესტერლო
გენტი 2:1 სენტ ტრუიდენი
მუსკრონი 2:0 აალსტი
ლოკერენი 3:2 მეხელენი

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

3 ტური

# მუხინი: კაცია თუ ქვემეხი?

თბილისი
6 სექტემბერი
18 საათი
სინათლე
3 000 (ტევადობა 3 000)

**მერანი 2:2 ვიტ ჯორჯია**

0:1, 0:2 მელქაძე (4პ, 35), 1:2 ბოლქვაძე (80), 2:2 მინაშვილი (90)
**მერანი:** დევაძე, ოდიშარია (ივანიშვილი 46), გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, გ. კვეტენაძე (ბოლქვაძე 56), გოდერძიშვილი, ა. ხორხელი, კაკუბავა, ჭინჭარაული (მუხინი 46), მინაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია, ილურიძე, კობესაშვილი, ბაჯელიძე
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია (ინწკირველი 85), კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, დ. ნოზაძე, დილმელაშვილი (ხაჭაპურიძე 46), დეკანოსიძე, გოჩაშვილი (დოლიძე 46), სულთანიშვილი, ლ. მელქაძე
სათადარიგო: სტურუა
**გაფრთხილება:** ცქიფურიშვილი (4), ნოზაძე (81)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, მ. ელოკაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**კობა ინასარიძე**

**ეს** მატჩი რომ დაძაბული და საინტერესო იქნებოდა, ცხადი იყო, მაგრამ ორი თბილისური გუნდი გუშინ „სინათლეზე" თუ ასეთ ჯახს გააჩაღებდა, ნამდვილად ძნელი წარმოსადგენი გახლდათ.

არც აციეს, არც აცხელეს და მეტოქეებმა ისე შეუტიეს ერთურთს, თქვენი მოწონებული. დებიუტი კი წარმატებული ავჭალის სტუმარ ვიტელთათვის გამოდგა. უკვე მე-4 წუთზე პენალტის უფლება მოიპოვეს — მელქაძემ საჯარიმოს წინა ხაზთან ბურთი მკერდზე მიიღო, საჯრიმოში შეიგლო და ცქიფურიშვილი აიძულა, წესი დაერღვია. ფანიაშვილმა უყოყმანოდ თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა. მელქაძემ უნაკლოდ დაარტყა.

„მერანს" დასაკარგი რაღა ჰქონდა, პირდაპირ ეკვეთა მეტოქეს, თუმც ეს ემოციური შეტევები მათთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. ვიტელი მცველებიც ყოჩაღობდნენ და მერანელებიც დაბნეულები იყვნენ. რატომღაც მასპინძელთა მწვრთნელებმა წინა მატჩებთან შედარებით რამდენიმე ფეხბურთელს ადგილი შეუცვალეს და, ალბათ, ამის გამოც იყო, რომ მთელი პირველი ტაიმი „მერანმა" საზეირო ვერაფერი შექმნა სტუმართა კართან. თანაც ავჭალელები გაღალღილებიც ჩანდნენ.

35-ე წუთზე კი „ვიტ ჯორჯია" კიდევ უფრო დაწინაურდა. „მერანის" მცველთა შეცდომით სტუმრებმა ისარგებლეს. ნოზაძემ ბურთი სულთანიშვილს გადააწოდა საპირისპირო ფლანგზე, მან კი კართან ახლოს მყოფ მელქაძეს თავზე დაასვა და დუბლიც გააკეთებინა.

ტაიმი ასეც მორჩა. ალბათ, არავის ეგონა, „მერანი" თუ ამ მატჩს შეატრიალებდა და ქულას მაინც გამოჰკრავდა ხელს. მოხდა მოულოდნელი.

„მერანში" შესვენების შემდეგ უკრაინელი ლეგიონერი ანდრეი მუხინი გამოჩნდა, რომლის განაცხადში შეყვანაც ავჭალელებმა მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მოახერხეს. ახლავე ვთქვათ, ეს უკრაინელი ბიჭი ერთობ კარგი და ნიჭიერი ფეხბურთელი ჩანს, ვიტელებს იმდენჯერ შეუქმნა ხიფათი, იმდენჯერ გადაახტუნა მეკარე მერლანი, ისეთი პასები ჩამოურიგა პარტნიორებს, ბარე ორ მატჩს ეყოფოდა. სწორედ მან დაალაგა „მერანის" თამაში და მასპინძელთა შეტევებიც უფრო მწვავე და აზრიანი გახდა. მერლანი კი წარმოუდგენელ რამეებს სჩადიოდა. პენალტი ხომ მოიგერია და კიდევ... 70-ე წუთი: გოდერძიშვილი საჯარიმოში კობიაშვილმა მოცელა. პენალტი, რომელიც თავად დაზარალებულმა დაარტყა. მერლანი გაფრინდა და კუთხეში დარტყმული უკუაგდო, გოდერძიშვილი ჰორიზონტალურად გასწორდა, თავი დაარტყა, ბურთი საპირისპირო კუთხისკენ წავიდა, მერლანმა წამის მესედში რეაგირება მოასწრო, იქით გაფრინდა და ეს დარტყმულიც მოიგერია. ნამდვილი სასწაული იყო.

თამაში ისევ „მერანის" უპირატესობით გაგრძელდა, თუმც არც სტუმრები იყვნენ გულხელდაკრეფილნი, ისეთ კონტრშეტევებზე გადადიოდნენ და ისეთი მომენტები შექმნეს, ცოდვა იყო, ერთიც რომ ვერ გაიტანეს. მერლანს არც დევაძე ჩამორჩებოდა, სულ ცხრიანში დარტყმულებს იგერიებდა.

ამასობაში კი „მერანმა" ერთი გოლი გაქვითა. მე-80 წუთზე, მასპინძლებმა კუთხური რომ ჩააწოდეს, მერლანს მცველებმა ბურთის ხელში დაჭერა არ აცალეს, საბოლოოდ ბურთი ყველა ვიტელს გადასცდა და ახალგაზრდა ბოლქვაძემაც თავით გაიტანა.

ვითარება უკიდურესად დაიძაბა. „მერანი" კვლავ უტევდა და მუხინიც ქვემეხივით ისროდა. მერლანი ყოჩაღობდა. მატჩისთვის წამატებული მესამე წუთი კი კულმინაციური გამოდგა — მინაშვილმა თავით მერლანს შორეულ კუთხეში გაუტანა. „ვიტ ჯორჯიამ" ბურთი საკუთარი კარიდან გამოიტანა და მატჩიც მორჩა. შემდეგ კი ტრადიციული პრესკონფერენცია მოეწყო. „ვიტ ჯორჯიას" თავკაც ***ვლადიმერ ხაჩიძეს*** დანა კბილს არ უხსნიდა:

— ჩვენ კონტრშეტევებზე თამაში ვამჯობინეთ და, ალბათ დამეთანხმებით, ეს საკმაოდ კარგად გამოგვდიოდა. პირველ ტაიმში ჩინებულად ვითამაშეთ, მეორეში კი ელემენტარული შეცდომები დავუშვით და მეტოქემ არ გვაპატია. შედეგზე რა გითხრათ, გინდ ლოგიკური თქვით, გინდ არა, ფაქტია, ოქმში 2:2 ჩაიწერება. შესვენების შემდეგ შექმნილი უამრავი მომენტიდან ერთიც რომ გაგვეტანა, „მერანი" საბოლოოდ გატყდებოდა და ალბათ მოვიგებდით. „ვიტ ჯორჯია" ნაადრევად დამშვიდდა, ამიტომაც დავკარგეთ ორი ქულა.

***სერგო გაბელაია*** კი პირიქით, მიუხედავად შინ ნათამაშევი ფრისა, კმაყოფილი გახლდათ:

— შესაძლებელი იყო, დიდი ანგარიშით წაგვეგო, ან ასევე დიდი სხვაობით მოგვეგო კიდეც. კარგა ხანია, ასეთი მატჩი არ მინახავს. პირველ ტაიმში ნათელი გახდა, როგორი ტაქტიკით გვეთამაშებოდა მეტოქე და შესვენებაზე შესაბამისი კორექტივებიც შევიტანეთ ჩვენს თამაშში. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი ლეგიონერით. ეს ფეხბურთელი მომავალში უფრო გამოგვადგება. მის გარდა კი ბოლქვაძესა და მეკარე დევაძეს გამოვყოფ. შესვენებაზე ბიჭებს რა ვუთხარი, ეს ჩემი საქმეა.



გუშინ ავჭალაში: „მერანი" — „ვიტ ჯორჯია". მერანელი დავით ბოლქვაძის გოლმა წაგებული თამაში შემოატრიალა



ვიტელთა კარში პენალტის ვერგამტანი დავით გოდერძიშვილი

ქუთაისი
6 სექტემბერი
18 საათი
ტორპედო
6 000 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 2:0 ბათუმი**

1:0 იონანიძე (20), 2:0 იმედაძე (42)
**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე, მახვილაძე, ჯ. კვეტენაძე, გ. ჩხაიძე (ჩხეტიანი 60), დ. ჯანაშია, თურმანიძე, გუჩუა, აბელედიანი, იმედაძე (ასათიანი 71), ხვადაგიანი
სათადარიგონი: ქანთურია; შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, თავბერიძე, შალამბერიძე
**ბათუმი:** ქვაჩახია, ბაბიძე, მინდაძე, მ. ქობულაძე (ბ. შუნგულია 57), სიდამონიძე, ჩოხელი, გელა ქორიძე, ადუაზავა, ა. მუჯირი (ლლონტი 66), მგალობლიშვილი (გაბისონია 46)
სათადარიგონი: ბედიაშვილი; ქურაშვილი, გ. ქაცარავა, სიხარულიძე
**გაფრთხილება:** მინდაძე (8), ადუაზავა (27)
**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

## იყო და არა იყო რა

გუშინ ქუთაისის „ტორპედოს" სტადიონზე იყო „სარბიელის" კორესპონდენტი მამუკა კვანტალიანი, მაგრამ არ იყო „რეზონანსის" კორესპონდენტი ფრიდონ კერვალიშვილი, ვისაც ქუთაისური კლუბის მავან დიდმოხელეთა გადაწყვეტილებით, თამაშზე დასასწრები აკრედიტაცია არ მისცეს.

რა იყო და როგორ, ძნელი მისახვედრი არ არის: ალბათ რაღაც არ მოეწონათ ჩვენი კოლეგის ნაწერებიდან და როგორც ყოველთვის, შესაბამისი „ბრძნული" გადაწყვეტილებაც მიიღეს.

გადაწყვეტილება ჩვენც მივიღეთ: დღეს ამ მატჩის რეცენზიისთვის გამოყოფილი ადგილი ცარიელი დარჩება. იმედია, მკითხველი გაგვიგებს, მით უმეტეს, რომ გუშინ, ისევე როგორც სხვა ქალაქებში, ქუთაისშიც ფეხბურთი თან იყო და თან არა.

„სარბიელის" ფეხბურთის რედაქცია

ვაზ. ფ. 6 სექტემბერი
18 საათი
არმაზი
300 (ტევადობა 3 000)

**თსუ 1:5 ლოკომოტივი**

0:1 დავითაშვილი (6), 1:1 ახალაძე (8პ), 1:2 რუსია (35), 1:3, 1:4, 1:5 შენგელია (43, 54, 87)
თსუ: გუგუნავა, ხარებავა (მორჩილაძე 46), ებრალიძე, ე. ბლადაშვილი, არეშიძე, სვანაძე (ზვ. ლაზაძე 56), რ. გოცირიძე, ადამია (ვადაჭკორია 78), ახალაძე, მესხი, ერაძე
სათადარიგონი: მამარდაშვილი, ბ. ნოზაძე, კვიციანი, ა. ბოკერია
ლოკომოტივი: ლომაია, ხიზანიშვილი, აბრამიძე, თოდუა, ლ. მიქაძე (აფციაური 65), გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, დავითაშვილი (გოჩჩაროვი 59), გ. შენგელია, რუსია (ბალაშვილი 56), ლევან სილაგაძე
სათადარიგონი: ივარდავა, სალუქვაძე, გილაური, პარამონოვი
გაფრთხილება: ერაძე (9), ხარებავა (27), მესხი (62), თოდუა (65)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); გ. კაკაჩიშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

# შეუმჩნეველის ჰეთ თრიქი

## კარგი დასაწყისის ცუდი დასასრული

ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან

**მცხეთის** „არმაზზე“ გუშინ „თსუ“ — „ლოკომოტივის“ მატჩი ისე დაიწყო, სტადიონზე შეკრებილმა მცირერიცხოვანმა ქომაგმა ხელები მოიფშვნიტა და საინტერესო თამაშის ხილვისთვის განეწყო, თუმც ტაიმის შუაგულში იმედი გაუცრუვდა, მის მიწურულს კი გუნებაც წაუხდა.

დებიუტი მართლაც საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო, მონდომებულებიც იყვნენ, თავს არ ზოგავდნენ. აკი თსუელმა ერაძემ მე-3 წუთზევე დასტყუა ორდინიძეს უხეშობისთვის ყვითელი ბარათი. პირველი სახიფათო მომენტიც მაშინ შეიქმნა, როცა ლევან მიქაძემ საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერად დაარტყა. გუგუნავამ იმარჯვა, ბურთი ნახტომში მოიგერია. წუთიც არ გასულა და თამაშში გიორგი ლომაიაც ჩაერთო — „ლოკომოტივის“ მეკარემ ადამიას ჩაუყარა შრომა წყალში, ახლოდან დარტყმული აუღო. მომდევნო შეტევას კი გოლი მოჰყვა. გოგიჩაიშვილმა გონივრული პასით დავითაშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა, ექსმერანელი გუგუნავას იოლად გაუმკლავდა, შორეულ კუთხეში გაუტანა და ანგარიში გახსნა. რკინიგზელებმა გატანილი გოლით კი გაიხარეს, მაგრამ სიხარული მალე ჩაუმწარდათ. წუთიც არ იყო გასული, მესხმა რომ დიდებულად ითამაშა. სტუდენტთა მეთერთმეტე ნომერმა „ლოკომოტივის“ მცველებს ერთ ხაზზე დგომა არ აპატია, ბურთი გადაუგდო, თავად შეჰყვა და ლომაიასთან პირისპირ აღმოჩნდა. მესხმა ისიც მოატყუა, თუმც მეკარემ მოცელა. ორდინიძემ პენალტი კი დანიშნა, მაგრამ მეკარის გაფრთხილება მაინც, არც უფიქრია, არადა, მე თუ მკითხავთ, ლომაია ბოლო იმედის ჯარიმისთვის გასაძევებელი იყო. ახალაძემ პენალტი კარგად დაარტყა და ანგარიშიც გათანაბრდა.

აი, ასე დაიწყო თამაში. სწრაფი ტემპი, სახიფათო მომენტები, გოლები, გაფრთხილება — ეს ყველაფერი პირველ რვა წუთში. ერთი სიტყვით, ორივე გუნდი ღია ფეხბურთს თამაშობდა. თუმცა ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. ნელ-ნელა ტემპი დაეცა, სიმწვავემაც იკლო. მატჩიც „ლოკომოტივის“ უპირატესობით გაგრძელდა. თსუ-ს შეტევა სულ უფრო უჭირდა. აშკარად გამოჩნდა მასპინძელთა დაცვაში არსებული ხარვეზები, ნახევარდაცვა ფაქტობრივად არ იყო, თავის ამოცანას ვერ ასრულებდა, ჰოდა, წინ დარჩენილ ადამია-გოცირიძის დუეტს რაღა უნდა ექნა, როცა თანაგუნდელები პასებით მომარაგებას ვერ ახერხებდნენ. მეტი მომენტი თსუელებს სტუმართა კართან აღარც შეუქმნიათ, ერაძის შორიდან გასროლილს თუ არ ჩავთვლით. მაშინაც ლომაიამ იმარჯვა, მოულოდნელად და ძლიერად დარტყმულ ბურთზე რეაქცია მოასწრო და კუთხურზე მოიგერია. ეს იყო პირველი და უკანასკნელი კუთხური, რომელიც მასპინძლებმა 90 წუთის განმავლობაში მოაწოდეს.

„ლოკომოტივი“ კი თავის საკეთებელს ნელ-ნელა აკეთებდა. თსუ-ს დაცვაში არსებული ნაპრალები მე-20 წუთზე რუსიამ კიდევ უფრო თვალნათლივ გამოაჩინა, როცა რამდენიმე მასპინძელ მცველს შემოურბინა და გუგუნავასთან პირისპირ გავიდა. გოლსაც გაიტანდა, მიზანს რომ არ ემტყუნა. ამას მიქაძის კარგი დარტყმა მოჰყვა — თსუ ძელმა იხსნა. 34-ე წუთზე კი მასპინძლები ველარავინ გადაარჩინა — კვარაცხელიას ჩაწოდებულს პირველი ტანმორჩილი რუსია გამოეხმაურა, რომელმაც თავით მგონი კარიერაში პირველი გოლი გაიტანა. იმ ეპიზოდში მცველებთან ერთად გუგუნავაც შეცდა. ტაიმის მიწურულს კი მატჩმა აზრი საბოლოოდ დაკარგა, შენგელიამ მესამე გოლი შეაგდო, რომელსაც შესვენების შემდეგ კიდევ ორი დაუმატა. არადა, შეუმჩნეველიაო, სტუმართა შორის თუ ვინმეზე იტქმოდა, ... ლეს ყოვლისა სწორედ შენგელიაზე. გიორგი ბურთს სულ რამდენჯერმე შეეხო, თუმც ჰეთ თრიქისთვის ესეც ეყო. განსაკუთრებით ეფექტური მისი მეორე გოლი იყო, როცა მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს მცველთან ბრძოლაში ერთი ფეხი წაჰკრა — თსუ მეკარის თავგანწირულმა ნახტომმაც ვერ იხსნა.

„ლოკომოტივის“ კაპიტანი კახა გოგიჩაიშვილი ამ შეხვედრაშიც ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. ეროვნული ნაკრების ნახევარმცველს, გულშემატკივრებს მარჯვენა ფლანგზე თამაშით რომ ახსოვთ, რევაზ ძოძუაშვილმა ბოლო დროს ახალი ამპლუა გამოუძებნა. ამ სეზონში, გოგიჩაიშვილმა ყველა მატჩი გამთამაშებლად ჩაატარა და საკმაოდ კარგადაც. ამ შეხვედრაშიც სტუმართა ლამის ყველა შეტევა მისი წამოწყებული გახლდათ. კახას თანაგუნდელებისთვის კარგი პასები არ დაუკლია. ტექნიკაც ძველაბურად ჩინებული აქვს, ერთი ეგაა, მუხლი ველარ ერჩის ძველებურად. გოგიჩაიშვილი მატჩის მიწურულს აშკარად გადაიღალა.

თსუ საბოლოოდ 1:5 დამარცხდა და ცხრილის ბოლოშიც დამკვიდრდა. აუტსაიდერობა ჩემპიონატის დასაწყისში ბევრს კი არაფერს ნიშნავს, მაგრამ ფაქტია, ასეთი თამაშით სტუდენტებს ფსკერიდან ამოსვლის არანაირი პერსპექტივა არ აქვთ.



გუშინ მცხეთაში: თსუ — „ლოკომოტივი“. სულიკო დავითაშვილის (№11) ეს თავური კონსტანტინე გუგუნავას კარს აცდა



ორი კახა: „ლოკომოტივის“ გოგიჩაიშვილი და თსუ-ს ახალაძე (№10)

სამტრედია
6 სექტემბერი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
800 (ტევადობა 15 000)

**იბერია 0:1 დილა**

0:1 ეჯოშვილი (80)
იბერია: ვარდანიძე, ფეანია (მუმლაძე 31), გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ლ. ხმალაძე, გიგიაძე, ოდიკაძე (ბინაძე 65), ზ. მეტრეველი, ჩიმაკაძე (ყურაშვილი 78)
სათადარიგონი: ჩომახიძე, ლ. ფაშაკიძე, შ. ონიანი
დილა: მდივანი, აკოფიანი, გრიგალაშვილი, ლ. გოგჩაშვილი, გაგნიძე, ციცქიშვილი (ხოხობაშვილი 46), ფეხუაშვილი, კოტორაშვილი (მ. ბურნაძე 90), ა. ხმალაძე (საყვარელიძე 90), ეჯოშვილი
სათადარიგონი: თ. ილურიძე, გ. ტულუში, დ. მაისურაძე, ოლგქაშვილი
გაფრთხილება: აკოფიანი (61), ფეხუაშვილი (70)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე (თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ქიათურა), კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

# სადაზღვევო ზოლის სიკეთე

იუზა კაციტაძე სამტრედიიდან

**წინა** ორ შეხვედრაში ხელმოცარული „იბერია“ (როგორც იცით, სამტრედიელები ჯერ ხაშურში „ლოკომოტივთან“ „საშინაო“ მატჩში დამარცხდნენ, მერე კი „კოლხეთთანაც“ წააგეს სტუმრად), მესამე ტურში მშობლიურ „ეროსი მანჯგალაძეზე“ დაუხვდა „დილას“. „იბერია“, მეტოქისა არ იყოს, გუშინ თამაშამდე სამიოდ საათით ადრე ჩავიდა ქვიშხეთიდან სამტრედიას. ჩავიდა და, რაღა თქმა უნდა, წარმატების დიდი იმედით. ახალგაზრდა იბერიელებს საკუთარ ქომაგთა წინაშე თავის გამოჩენის კარგი შესაძლებლობა ეძლეოდათ...

ჰო, სამტრედიის ახალმა გამგებელმა სიტყვა არ გატეხა. დაპირებისამებრ „ეროსი მანჯგალაძეზე“ მოკლე დროში გასახდელები და საშხაპეები მოუწესრიგებიათ, ფეხბურთელების მოედანზე გასასვლელიც მავთულბადით შემოულობავთ და, კიდევ კარგი, თორემ მატჩის შემდეგ ისეთი ამბავი დატრიალდა, ეს „სადაზღვევო ზოლი“ რომ არა... თუმც, ამაზე ბოლოს გეტყვით.

ერთობ უინტერესო გამოდგა თამაში, განსაკუთრებით მისი პირველი ნახევარი. დაბალი ტემპი, ხშირი უმისამართო გადაცემები თამაშის ცქერის სურვილს კლავდნენ. თუ რამ აღსანიშნავი ხდებოდა, მხოლოდ სპონტანურად. მე-4 წუთზე „დილას“ კარისკენ საჯარიმო დაინიშნა. სოსო გიგიაძემ დაახლოებით 22 მეტრიდან ძლიერად დაარტყა და მცირედით ააცილა მიზანს. ზუსტად ოცი წუთის შემდეგ გორელები კუთხურს გამორჩნენ. „იბერიას“ საჯარიმოში მარჯვნიდან ჩაწოდებულზე ციცქიშვილმა მცველებს დაასწრო და თაურით გაგზავნა კარისკენ, ბურთი ოდნავ აცდა ჯვარედინს. პირველი ზუსტი დარტყმა კარში კი შეცვლაზე შესულმა მუმლაძემ განახორციელა 36-ე წუთზე. ზუსტი, მაგრამ სუსტი და მდივანიც იოლად დაეუფლა ბურთს.

დიდი სათამაშო პერიპეტიებით არც მეორე ტაიმი გამოირჩეოდა. სოსო ფრუიძის შეგირდები ინიციატივის ხელში ჩაგდებას კი ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. აშკარად მოისუსტებდნენ ზურაბ მეტრეველი, ჩიმაკაძე და ოდიკაძე. ერთადერთი, ვინც გორელთა დაცვას ასე თუ ისე ხიფათს უქმნიდა, სოსო გიგიაძე იყო, მაგრამ არც მის გარჯას გამოუღია ნაყოფი. სამტრედიელთა ქაოტურ შეტევებს გორელები საკმაოდ მწვავე კონტრიერიშებით პასუხობდნენ და მე-60 წუთზე მათ დაწინაურების მეტად ხელსაყრელი შანსი მიეცათ. „იბერიას“ საჯარიმოში უმეთვალყუროდ დარჩენილი ამირან ხმალაძე ვარდანიძესთან პირისპირ გავიდა, ძლიერადაც დაარტყა სამეკარეოს კუთხიდან და აქ გოლკიპერმა იმარჯვა, ნახტომში ფეხით შეძლო ძნელი ბურთის მოგერიება.

დრო გადიოდა და სამტრედიელ ქომაგთა უკმაყოფილებაც მატულობდა. ისინი „იბერიისგან“ გამარჯვებას ითხოვდნენ, „იბერიას“ კი ამის თავი არ ჰქონდა, გუნდი ვერა და ვერ აეწყო, უფრო მეტიც, სამტრედიელებმა დაცვაში შეცდომებს უხშირეს და დაისაჯნენ კიდევაც. საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე მასპინძლებმა საკუთარ კარში მიიღეს გოლი. მართალია, ალოგიკური, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. „იბერიას“ საჯარიმოში მარჯვენა კუთხიდან შესული ეჯოშვილი აშკარად ჩაწოდებას აპირებდა მეკარის ბაქანში, მაგრამ ისე მოეჭრა, თავადაც გაკვირვებული დარჩა. ბურთმა უჩვეულო რკალი მოხაზა ჰაერში და ვარდანიძემაც ველარ მოასწრო რეაგირება.

სამი კი არა, მასპინძლებისთვის ქულაც სანატრელი შეიქნა. რა თქმა უნდა, ათი წუთი საკმარისი დრო იყო მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ არა „იბერიასთვის“. ამ ათ წუთშიც მასპინძლები უსუსურად გამოიყურებოდნენ.

ჰოდა, სწორედ ეს გახდა სამტრედიელ ქომაგთა აღშფოთების მიზეზი. მატჩის შემდეგ ამათ ლანძღვა-გინების ისეთი კორიანტელი დააყენეს თავს ფეხბურთელებს და მწვრთნელებს, რომ... გაწევ-გამოწევაც იყო. ზემოთ „სადაზღვევო ზოლი“ ვახსენეთ. ის რომ არა, რა მოხდებოდა, არვინ უწყის.

„იბერიამ“ სტადიონიდან მაინც მშვიდობიანად გააღწია. სამტრედიაში თამაშს ისევ ხაშურში გვერჩივნაო, ჯავრობდნენ ქვიშხევს აბარგებული იბერიელები. ვითომ მართლა?

რუსთავი
6 სექტემბერი
18 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 1:0 კოლხეთი**

1:0 მიშველიძე (82)
**გორდა:** ნიკურაძე, მჭედლიძე, ბექაური, გაბელაია, ლაშა სილაგაძე, ბუკია (მიშველიძე 55), მელაძე, ზ. ლაბაძე (ბაჩილავა 74), კ. ალადაშვილი, კიტეიშვილი (ბერიძე 80), ივეჩიანი
სათადარიგონი: გონგაძე, კაპანაძე, მ. სახვაძე, ფოჩხუა
**კოლხეთი:** ჩემია, გოროზია, ტორჩინავა, მაღლაკელიძე, კაკლიაშვილი, ხუჭუა, ფანჩულიძე, ე. გვასალია (ბ. ჩიტაია 77), შავგულიძე (კრასოვსკი 70), კედელაშვილი (ქუნთელია 46), ლალანიძე
სათადარიგონი: გ. ზ. მიქაძე, ფრანგიშვილი, პაპავა, თედეევი
**გაფრთხილება:** ლალანიძე (25), კედელაშვილი (32), სილაგაძე (35), მელაძე (41), ალადაშვილი (75), ტორჩინავა (77), ფანჩულიძე (78)
**მსაჯები:** ბ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ს ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

**დავით თავართქილაძე რუსთავიდან**



გიორგი მიშველიძის (შუაში) ამ დარტყმულს მამუკა ჩემიას (№12) კარში ერთადერთი გოლი მოჰყვა

# ერთი და ოქრო

## ფერგიასონს მიშველიძემ უშველა

**მართლაც** უცნაურად დაიწყო მეთორმეტე ეროვნული „გორდასთვის“. გუნდმა, რომელსაც ზედ ჩემპიონატის დაწყებისას გამოუჩნდა პატრონი და სფფ-ში შესატანი თანხა, პირველივე ტურში თვით იტალიურად ნაწრთობ „ბათუმს“ სძლია დამაჯერებელი ანგარიშით. მერე ექვსი უპასუხო ბურთით რეტდასხმული შეიქნა „ლოკომოტივისგან“, გუშინ კი მეორე ზღვისპირელიც უქულოდ გაისტუმრა.

მატჩის შედეგი ფაქტობრივად მუხლმტკივან ამირან კედელაშვილის გოგიტა ქუნთელიათი შეცვლამ განაპირობაო, ბრძანა კონფერენციაზე ფოთელთა დამრიგებელმა გია ტყებუჩავამ და რუსთაველთა თავკაცმაც კვერი დაუკრა. ერთი შეხედვით ასეც იყო, მაგრამ თავს უფლებას მივცემთ და ვიტყვით, თამაშს, ალბათ, ერთი კაცი არც აგებს და არც იგებს, „გორდას“ შნო ჰქონდა და გაიმარჯვა.

შეხვედრის დასაწყისი კი კარგს არაფერს უქადდა მასპინძლებს. ფოთელები მეტოქეზე გაცილებით მწყობრად, თავდაჯერებულად თამაშობდნენ და მოედნის ცენტრსაც მყისვე დაეპატრონნენ, სადაც მტკიცე, გადაულახავი კედელივით იდგა ამირან კედელაშვილი, იერიშებს კი ზაველი ლალანიძე უძღვებოდა. თავისას ფორვარდებიც ცდილობდნენ, მაგრამ გოლის გატანის საკმარისი ფხა ვერა და ვერ გამოიჩინეს. „კოლხეთმა“ რამდენჯერმე განახორციელა მწვავე შეტევა, თუმცა აშკარა საგოლე მომენტებამდე საქმე არ მისულა. აღნიშვნის ღირსია ლალანიძის დაახლოებით 30 მეტრიდან ლონივრად შესრულებული მოჭრილი ჯარიმა, რომელიც რის ვაი-ვაიგლახით მოიგერია გიორგი ნიკურაძემ კუთხურზე. „გორდა“ კი სწრაფი კონტრიერიშების იმედად იყო, რაც აშკარად უფრო გამოცდილი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ მეტოქესთან მაინცდამაინც არ გამოსდიოდა.

მეორე ტაიმის დებიუტიც ფოთელებისა იყო. მათ დაწინაურების საუკეთესო შანსიც მიეცათ — ხუჭუამ მარჯვენა ფლანგიდან ჩაჰკიდა „გორდას“ საჯარიმოში. ნიკურაძემ ჯერ ბურთზე გამოსვლა დააპირა, მერე რატომღაც შეყოვნდა და ელდარ გვასალიამაც სამიოდე მეტრიდან გადააჭარა ბურთი ხარიხას. ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ეპიზოდი „კოლხეთის“ ბოლო ურჩობად დარჩებოდა, მაგრამ ასე კი მოხდა. ამასობაში „გორდამ“ მოუმატა. იასონ ალადაშვილის ბიჭებს უფრო მეტი სიმხუბუქე, სისხარტე და გამარჯვებისკენ სწრაფვა აღმოაჩნდათ. კახა ალადაშვილი და მამუკა მელაძე ორთაბრძოლებს თავს არიდებდნენ, ბურთს მიღებისთანავე ფორვარდებისკენ გზავნიდნენ. ამ ხერხმა აშკარად გაუმართლათ რუსთაველებს — სისწრაფის მომატება და მატჩის საერთო სურათის შეცვლა ერთი იყო. თუმც მასპინძელთა შეტევებს ბოლო ფაზაში ფორვარდები — ბიძინა ივეჩიანი და ნაქები ალექსანდრე კიტეიშვილი ვერ აგვირგვინებდნენ. გოლი შეცვლაზე შესულ მარცხენაფლანგელ გიორგი მიშველიძის გასატანი შეიქნა „კოლეგის“ ასისტენტობით. დავით ბერიძემ თითქოს მინდვრის გამყოფი ხაზიდან ჯარიმა ისე შეასრულა, რომ „კოლხეთის“ საჯარიმოში შეჭრილმა მიშველიძემ ზემოხსენებული გოგიტა ქუნთელიას ზონიდან ბურთი ახლო დაბალ კუთხეში შეაცურა ჩემიას კარში.

ასე რომ, იასონ ალადაშვილს შეცვლებმა პირწმინდად გაუმართლა და ხელმეორედ შეირაცხა ფერგიასონად. გოლის ლაზათი იმაშიც არის, რომ მიშველიძის ეს დარტყმა ერთადერთი იყო, ფოთელთა კარის ჩარჩოში.

ნამატჩევს კი პრესკონფერენციაც შედგა.

***იასონ ალადაშვილი, „გორდას“ მწვრთნელი:***

— ბიჭებმა იბრძოლეს და გაიმარჯვეს. პირველ ტაიმში კი ფოთელებს ნაღდად მართებდათ გოლის გატანა. მიუხედავად ამ მეორე, მნიშვნელოვანი გამარჯვებისა, მეთორმეტე ეროვნულში „გორდას“ მიზანი უმაღლეს ლიგაში დარჩენაა. ჩვენ ხომ ეს-საა დავიწყეთ ნორმალური არსებობა.

***გია ტყებუჩავა, „კოლხეთის“ მწვრთნელი:***

— სეზონის წინ გუნდი ძირითადი შემადგენლობის ექვსმა ფეხბურთელმა დატოვა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ პირველივე ტურის წინ ტრავმა მიიღო „კოლხეთის“ პირველმა მეკარემ მამუკა გვასალიამ. დღევანდელი მატჩის შედეგი ლოგიკურია. ჩვენ გუნდს შეთამაშება აშკარად აკლია.



ზაველ ლალანიძე (ბურთით) კოლხთაგან საუკეთესო იყო

ბოლნისი
6 სექტემბერი
18.06 საათი
თემურ სტეფანია
3 000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:2 დინამო**

0:1 დათუაძე (33პ), 1:1 ისიანი (58), 1:2 გადელია (66)
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი (მოსეშვილი 7, კ. მეტრეველი 46), ირემაშვილი, ასპინძელაშვილი, დიმიტრიშვილი, ბარნოვი, სოლოღაშვილი, პეტრიაშვილი, ვ. მაისურაძე (გამცემლიძე 70), ისიანი, ნიჟარაძე
სათადარიგონი: დალაქიშვილი; მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე, დ. ჯაფარიძე
**დინამო:** ჩიხრაძე, ქემოკლიძე, ი. ფაშაკიძე, ზამთარაძე, ა. სახვაძე (კანდელაკი 88), შაშიაშვილი, დათუაძე, გადელია, სიჭინავა, ბ. ჯინჭარაძე, კ. გოგოლაძე (ზირაქაშვილი 63)
სათადარიგონი: ბათიაშვილი; გ.ვ. მიქაძე, რუხაძე, მაზიაშვილი, ბურდული
**გაფრთხილება:** გადელია (67), ფაშაკიძე (71), მეტრეველი (72), ისიანი (75)
**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**გიორგი ვაშაკიძე ბოლნისიდან**

# მსაჯები და პოლიციელები

თავიდანვე ცხადი იყო: ამ ათიოდე დღის წინ ჩემპიონ „ტორპედოსთან“ შერცხვენილი ექს-ჩემპიონი „დინამო“ ბოლნისში მოსაგებად ჩავიდოდა. როცა არბიტრ სანაიას საფინალო სასტვენის ხმა გაისმა, დინამოელთა ახალგაზრდა მწვრთნელმა რევაზ არველაძემ აკი სიხარული ვერ დაფარა...

არველაძემ ინერტული კახა გოგოლაძის ნაცვლად სწრაფი ზირაქიშვილი შეუშვა მინდორზე და გაუმართლა. როცა „სიონმა“ ანგარიში გაათანაბრა და სტუმრებზე ზეწოლაც გააძლიერა, ზირაქიშვილი ჩინებულად ჩაერთო თამაშში. მართალია, გამარჯვებისა გიგა გადელიამ შეაგდო, გოლი ზირაქას დამსახურება იყო. მისი ძლიერად დარტყმული ძელმა აისხლიტა, გადელიამაც გადმოვარდნილს დაამატა, თან ორჯერ — პირველად ვოლკოვმა სასწაულებრივად აუღო ბურთი, მეორედ კი მახვილი კუთხიდან თავზე გადაუგდო დაწოლილ მეკარეს.

მეორე გაშვებულმა გოლმა „სიონი“ გატეხა, ბოლნისელთა შეტევები ინერტული გახდა. თუმცა გათანაბრების შანსი მაინც მიეცათ, მაგრამ მატჩში საუკეთესო შალვა ისიანმა ზედ საჯარიმოს ხაზთან დანიშნული ჯარიმა გოლად ვერ აქცია.

მთავარი მოვლენები კი მანამდე იყო.

მასპინძლები მეთორმეტე ეროვნულში პირველ საშინაო შეხვედრას ატარებდნენ, ისიც „დინამოსთან“ და დანარჩენი თავად განსაჯეთ. ფეხბურთს დანატრებულმა ბოლნისელებმა „თემურ სტეფანიას“ ტრიბუნები პირთამდე შეავსეს, „ალა და ფანობაც“ ჩვეულებისამებრ მხურვალედ ქომაგობდნენ. „სიონმაც“ ბრძოლა გაუმართა სტუმრებს, მაგრამ...

სანამ თამაშზე მოგითხრობდეთ, გეტყვით, რომ ფეხბურთიდან გააცილეს გიორგი ყიფშიძე. „ყიფილომ“ „სიონში“ 22 წელი ითამაშა, გუნდის ჭირი და ლხინი გაიზიარა და „პენსიაზეც“ თავაწეული გავიდა. რაიონის გამგებელმა ზურაბ ჯაფარიძემ ახლა უკვე მწვრთნელობაში ფეხშედგმულს ფერადი ტელევიზორი აჩუქა.

...ყველაფერი 33-ე წუთიდან დაიწყო, როცა სანაიამ საეჭვო პენალტი დანიშნა — ჯინჭარაძის უძლიერესად დარტყმული მარჯვენა ძელთან მდგომ სოლოღაშვილს მოხვდა. ფეხბურთელი ჩაიკეცა, სანაიამ კი პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა, აქაოდა, ბოლნისელს ხელზე მოხვდაო. მერე, როცა მასპინძელი ფეხბურთელები შემოეხვივნენ, თანამსაჯ ცირდავასთან მიირბინა.

ორივე გუნდის ფეხბურთელები ახლა პირით ხაზთან მიცვივდნენ. მსაჯებმაც მოილაპარაკეს და... სანაიამ ხელი მეორედ გაიშვირა ნიშნულისკენ. ცხადია, მსაჯებს გინების წვიმა დაატყდათ თავს. ასე იყო თუ ისე, პენალტი ადრე „სიონში“ ნათამაშევმა დათუაძემ დაარტყა და აულელვებლად გაიტანა.

„სიონი“ იბრძოდა და ამან შედეგიც გამოიღო. შალვა ისიანმა ჩიხრაძეს ჯარიმიდან ბრწყინვალე გოლი ხომ გაუტანა, მანამდეც ერთ ეპიზოდში ქომაგთა ტაში დაიმსახურა, როცა მოედნის ცენტრში ბურთი მოიგდო, „დინამოს“ ფეხბურთელები ხახამშრალი დატოვა და საჯარიმოს მიახლოებულმა ძლიერად დაარტყა — მიზანმა მცირედით უმტყუნა. მერე კი იყო ის, რაც ზემოთ ვთქვი: „დინამოს“ ზირაქიშვილმა მოაგებინა. სანაიამაც ჩასტვინა და გასახდელისკენ მიმავალი გზაც პოლიციელებითა და უკმაყოფილო ქომაგებით ჩაიხერგა. მსაჯები გაავებული გულშემატკივრებისგან დასაცავნი შეიქნენ.

...პრესკონფერენცია არ შედგა.

სტუმართა მწვრთნელმა რევაზ არველაძემ ვალი პატიოსნად მოიხადა, იკითხა, პრესკონფერენცია თუ ჩატარდებაო.

ჟურნალისტები ვის გაახსენდებოდა, ყველა გაავებული ხალხის დაშოშმინებით იყო გართული.

„სიონის“ თავკაცი სპარტაკ არჩვაძე გულდაკოდილი კი გახლდათ, მაგრამ „დინამოს“ ფეხბურთელებსა და მწვრთნელს დიდსულოვნად მიულოცა გამარჯვება, თქვენ რას გერჩითო.

# შოთა არველაძე: ასიანი და იმედიანი



შოთა არველაძე

წლეულს მეოთხე სეზონია რაც ამსტერდამის „აიაქსში" შოთა არველაძე თამაშობს.

თურქეთიდან ჰოლანდიაში, ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში გადაბარგებული ქართველი თავდამსხმელისთვის თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო, შოთა „აიაქსის" ბომბარდირი გახდა, კლუბი კი ქვეყნის ჩემპიონი. მომდევნო წელს საქმე ოდნავ გაუარესდა, ძველებური შედეგიანობით ვერც არველაძე გამოირჩეოდა, „აიაქსმაც" ჩემპიონის ტიტული „ფეიენოორდს" გადაულოცა, მწვრთნელი მორტენ ოლსენი კი იან ვოუტერსმა შეცვალა. „აიაქსის" საქმეები უკან-უკან წავიდა, შარშან ჩემპიონობას ვინღა ჩიოდა, გუნდი პრიზიორებშიც ვერ მოხვდა — მეხუთე იყო. შოთას კი თითქმის ნახევარი სეზონი გაუცდა, მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ვიდრე ფორმას აღიდგენდა, ჩემპიონატიც დასრულდა.

„აიაქსის" ხელმძღვანელებმა კვლავ შეცვალეს მწვრთნელი, ვოუტერსს „ტილბურგის" ყოფილი თავკაცი კო ადრიანსე ამჯობინეს. არველაძეს კი მთხოვნელი გამოუჩნდა — იტალიის „ფიორენტინა", რომლის თურქი მწვრთნელიც, ფატიხ თერიმი ქართველს ჰოლანდიური სეზონის დაწყებამდე რამდენჯერმე შეეხმიანა. „აიაქსმა" „ფიორენტინას" წინადადება შორს დაიჭირა, ამსტერდამელთა პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო — არველაძე არ იყიდება. ადრიანსეს თურმე შოთა არველაძისა დიდად ეიმედება.

დაიწყო ჰოლანდიაში ახალი ჩემპიონატი და... „აიაქსმა" პირველსავე ტურში „სიტარდი" გაანადგურა — 5:0. ორი გოლი არველაძემ შეაგდო, აქედან პირველი მის უცხოურ კარიერაში, თურქეთისა და ჰოლანდიის ჩემპიონატებში გატანილი მე-100, საიუბილეო იყო. ჩანდა, თითქოს „აიაქსმა" კრიზისი დაძლია, მაგრამ მეორე ტურშივე შოთას გუნდი სტუმრად „სპარტასთან" მოულოდნელად 0:3 დამარცხდა, ჩვენებური კი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, იმ დროისთვის ანგარიში არ გახსნილიყო.

მერე შოთა არველაძემ საქართველოს ნაკრებშიც ითამაშა „ფრაიბურგის" წინააღმდეგ და ერთი გოლიც გაიტანა. შინ, ამსტერდამში დაბრუნებულსაც სწორედ ამის შემდეგ შევეხმიანეთ. ვიფიქრეთ, ერთი-ორს ნაკრების თაობაზეც ვკითხავთო, მაგრამ...

— ბოლოში, ნაკრებზე ვერაფერს გეტყვით. მწვრთნელებმა აგვიკრძალეს. ლიტვის მატჩამდე ვერ ვილაპარაკებ,დანარჩენზე კი სიამოვნებით — გვითხრა შოთა არველაძემ. ჩვენც პირდაპირ „აიაქსზე" ჩამოვუგდეთ სიტყვა, მე-100 უცხოური გოლი ხომ სწორედ ამ კლუბში გაიტანა.

— ჩემთვის ყველა გოლი მნიშვნელოვანია, თუნდ 6:0 იყოს და მეშვიდე მე გავიტანო. მიხარია, რომ თურქეთისა და ჰოლანდიის ჩემპიონატებში ამდენი ბურთის გატანა მოვახერხე.

**— ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდა?**

— რა გითხრა, არც ვიცი. ბევრი იყო ისეთი, თავადაც რომ მომწონებია, ბევრიც მნიშვნელოვანი. თურქეთში ერთხელ მაკრატელათიც გამიტანია და ისეც, ლამის მეტოქის ნახევარი გუნდი რომ მომიტყუებია.

**— ჰოლანდიაში?**

— მეტოქეებისთვის არც აქ დამიკლია ხელი. პირველ აიაქსურ სეზონში ხომ ლამის ყოველ თამაშში გამქონდა. პარტნიორებიც ჩინებული მყავდა, მარტო მიქაელ ლაუდრუპი რად ღირდა.

**— პარტნიორებიო... მიქაელ ლაუდრუპის გარდა ვის გამოარჩევდი?**

— მაშინ, პირველ სეზონში, ძმები დე ბურები თამაშობდნენ, ლიტმანენი... კარგი პარტნიორები არასდროს მაკლდა, იგივე მიქაელის ძმა, ბრაიანი... ახლაც ვიჩხე, გრონკიაერი, კივუ. ჩინებულად გვესმის ერთმანეთის.

**— კი, მაგრამ, ეს ჯერჯერობით „აიაქსის" თამაშზე არ აისახება.**

— „სპარტასთან" წაგებას გულისხმობ?

**— თუნდაც.**

— ის მატჩი შემთხვევით წავაგეთ. პირველ ტაიმში მარტო მე მქონდა სამი-ოთხი ნაღდი მომენტი, მეკარესთან პირისპირაც დავრჩი, მაგრამ იმ დღეს ბედი არ გვწყალობდა. 5:0 უნდა მოგვეგო, ისე კი მოხდა, აქეთ წავაგეთ დიდი ანგარიშით.

**— შენ რატომ გამოგცვალეს?**

— მწვრთნელმა ასე ჩათვალა საჭიროდ. ხომ ვთქვი, რამდენიმე მომენტი გამიცუდდა, ვერა და ვერ გავიტანე. ადრიანსემ, ალბათ, ამიტომაც შემცვალა.

**— ტრავმა საბოლოოდ მოიშუშე. მუხლი საერთოდ აღარ გაწუხებს?**

— ყველაფერი კარგადაა. ვნახოთ, მგონი, ნელ-ნელა ვიბრუნებ ძველ ფორმას, თამაშიდან თამაშამდე ვუმატებ. ახლა, უახლოეს დღეებში სამი მატჩი გვაქვს და მაშინ უკეთ გამოჩნდება,რა შემიძლია. ფაქტი კია, შარშანდელზე უკეთ ვთამაშობ.

**— გუნდი?**

— გუნდიც. ადრიანსემ თავის საქმე კარგად იცის. გონიერი მწვრთნელია.

**— „ფიორენტინა" რომ გეპატიჟებოდა, ის ამბავი როგორაა?**

— იტალიელთაგან აღარაფერი ისმის, თუმც გავიგე, ისევ შერჩენიათ ჩემი გადაბირების სურვილი. ისე, ეგ არცაა სათქმელი, როცა არჩილს „აიაქსი" იწვევს.

**— ეგ როგორ?**

— ჩვეულებრივად. კო ადრიანსე ჩემს ძმაზე რამდენჯერმე მელაპარაკა, კარგი იქნება, თავდასხმაში ტყუპისცალი შეგიწყვილოო.

**— თუ ადრიანსეს არჩილის „აიაქსში" გადაბირება სურდა, მანდ არ ჰყავდა, „ბრედაში"?**

— კი, მაგრამ... ძალიან მოსწონს არჩილის თამაშის მანერა და ამბობს, ასეთი ფეხბურთელი მჭირდებაო.

**— „კიოლნი" გამოუშვებს?**

— ვერაფერს გეტყვი.

**— დაახლოებით რამდენს დააფასებენ არჩილს გერმანელები?**

— ალბათ ექვს მილიონ მარკამდე.

**— წლეულს „აიაქსი" რას გეგმავს?**

— ჩემპიონები აუცილებლად უნდა გავხდეთ. ეს შეგვიძლია. ჩვენი ძალა კარგად გამოჩნდა სეზონამდე, როცა „ლაციოსა" და „არსენალს" ვეთამაშეთ. ქომაგებიც იმედიანად არიან. გარდა ამისა, უეფას...

**— უეფას...**

— უეფას თასისთვის უნდა ვიბრძოლოთ. არც ამ თასის მოპოვებაა შეუძლებელი. ვნახოთ...

**ძობა ინასარიძე**



გია მეგრელაძე (შუაში)

# მეგრელაძე

## მეორე ბუნდესლიგის კართან

**ჯერ** კიდევ „ტორპედოს" გაჩემპიონებამდე იყო, ქუთაისური კლუბის თავდამსხმელმა გიორგი მეგრელაძემ გერმანული ბუნდესლიგის „შტუტგარტი" რომ მოიარა.

მეგრელაძემ „შტუტგარტში" ერთ კვირას ივარჯიშა და მერე ისევ ქუთაისში დაბრუნდა, სადაც მშობლიურ კლუბს ოქროს მედლების მოპოვებაში დაეხმარა.

საჩემპიონო მატჩში, „ტორპედომ" გორში 4:0 რომ მოიგო, ბოლო და თანაც დიდებული გოლი, უცნაური ტრაექტორიით, სწორედ გიამ გაიტანა.

ეროვნული ჩემპიონატის 136 მატჩში 59 გოლის გამტანმა მეგრელაძემ წინა სეზონი „ტორპედოშივე" ჩაამთავრა. თუმცა სხვა მატჩებშიც და თვით თასის ფინალშიც ძირითადად შეცვლებზე უწევდა თამაში. გიამ ახალი სეზონისთვის მზადებაც „ტორპედოში" გააგრძელა, ითამაშა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ცრვენა ზვეზდას" წინააღმდეგ, მაგრამ უკვე ცხადი იყო, მეგრელაძე ჩემოდანზე იჯდა.

თავდაპირველი ინფორმაციით, „ტორპედოს" თავდამსხმელი მეორე ბუნდესლიგის ახენის „ალემანიიდან" ელოდა მიწვევას, მაგრამ საბოლოოდ ამ ცოტა ხნის წინ ახანელთა თანალიგელ კლუბში აღმოჩნდა.

— გიორგი მეგრელაძე გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ობერჰაუზენის „როტ ვაისში" უკვე ხუთი დღეა, ვარჯიშობს და დღე-დღეზე უნდა გადაწყდეს, გააგრძელებს თუ არა ის კარიერას გერმანიაში — განუცხადა შაბათის „სარბიელს" „ტორპედოს" გენერალურმა მენეჯერმა ვლადიმერ გუცაევმა.

„როტ ვაისი" ის კლუბია, რომელშიც შარშან რევაზ არველაძე ირიცხებოდა და ვიდრე თბილისის „დინამოში" სათამაშოდ დაბრუნდებოდა, ორიოდ მატჩიც ჩაატარა. ეს კლუბი იმ ქალაქისაა, რომელიც რურგებითის ინდუსტრიულ ცენტრში, გელზენკირხენის, დორტმუნდის, დიუსელდორფის და ბოხუმის მეზობლადაა დუისბურგსა და ესენს შორის.

მეგრელაძის ობერჰაუზენში ჩასვლა „ნოი რურ ცაიტუნგსაც" არ გამოჰპარვია. აი, რას წერდა ეს გაზეთი 30 აგვისტოს ნომერში:

„ჰერტენ ლანგენბოხუმთან" მატჩში „როტ ვაისის" მაისურა 22 წლის ქართველმა გიორგი მეგრელაძემ და 25 წლის რობერტ რატკოვსკიმაც მოირგეს. მეგრელაძე საქართველოს ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს" და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. რატკოვსკის კი „იურდინგენში", ესენის „როტ ვაისში" და „მაინცში" უთამაშია. ახალწვეულებმა შესაძლოა მალევე შეავსონ ობერჰაუზენელთა რიგები, ყოველ შემთხვევაში, ორივემ კარგად ითამაშა და ერთობლივი გოლიც გამოაცხვეს — რატკოვსკის ფლანგური ჩაწოდება საჯარიმოს ცენტრიდან ზუსტი დარტყმით მეგრელაძემ დააგვირგვინა."

60 წუთში შეცვლილი რატკოვსკისგან განსხვავებით, ქართველმა მთელი მატჩი ითამაშა და გერმანულ კლუბში მოწონება დაიმსახურა. ამის დასტურია ისიც, რაც „როტ ვაისის" პრეზიდენტმა შულცმა „ვესტდოიჩე ალგემაინეს" უთხრა:

— რატკოვსკის ამბავი გადაწყვეტილია. ის უკვე როტვაისელია, აი, 22 წლის ქართველი გიორგი მეგრელაძის საკითხი კი ჯერ საბოლოოდ გარკვეული არ არის. მეგრელაძემ კარგად ითამაშა, გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასიც გააკეთა. ის ოთხშაბათამდე ისევ ჩვენთან ივარჯიშებს და ამის მერელა გადაწყდება, დარჩება, თუ არა."

შულცმა ეს სიტყვები სამიოდ დღის წინ თქვა. გუშინწინ კი „არმინიასთან" 0:2 წაგებულ მატჩში რატკოვსკიმ უკვე ითამაშა.

მეგრელაძის ამბავი კი პრეზიდენტის თქმით, გუშინ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ, როგორც გუშინ უფროსმა მეგრელაძემ, მერაბმა გვითხრა, გერმანიიდან ახალი არაფერი შეუტყვია და ჩვენც ალბათ ხვალამდე მოგვიწევს მოცდა.

**ვახტანგ ბზიკაძე**

# ანჩაბაძეც არაუშია

## თუ დინამოს ყადაღამ ხელი არ შეუშალა...

**გუშინ** „დინამო" ბოლნისში კაპიტან გიორგი ანჩაბაძის გარეშე ჩავიდა. ბუნებრივია, დავინტერესდით მისი არყოფნის მიზეზით.

ანჩაბაძე უკვე 10 დღეა შვეიცარიაში იმყოფება და „არაუში" ლევან ხომერიკთან ერთად ვარჯიშობს. ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, რას ფიქრობს მასზე მწვრთნელი როლფ ფრინგერი.

როგორც იცით, „დინამოს" ყოველგვარი საერთაშორისო ტრანსფერი აკრძალული აქვს. თუ ფრინგერმა ანჩაბაძის დატოვება გადაწყვიტა, გაურკვეველია, ქართველის იურიდიულად გასხვისება როგორ მოხერხდება.

რამდენად მართალია ვერ გეტყვით, მაგრამ ამბობენ, თითქოს „დინამო" ანჩაბაძეს „ტორპედოს" დაუთმობს და მერე ქუთათურები მიჰყიდიან შვეიცარიელებსო. მოდი და გაიგე.

**გიორგი ვაშაკიძე**



გიორგი ანჩაბაძე (ზურგით)

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე

# 2 ტური

6 სექტემბერი, ოთხშაბათი

**გურია 1:0 ზუგდიდი**

ჯუღელი (12)
გაფრთხილება: დ. მინაშვილი (83, გურია)

**იბერია 1:1 ოკეანე**

კულუმბეგაშვილი (6) კრავეიშვილი (65)
გაფრთხილება: ყუშაბიძე (29, იბერია), ყაჩლაშვილი (38, იბერია), კრავეიშვილი (66, ოკეანე)

**მილანი 1:0 ხობი**

მედოევი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 3 |
| მეტალურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| თბილისი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| გურია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მილანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ოკეანე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| იბერია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ხობი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სამგურალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| შუქურა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ზუგდიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| თორი | 1 | 0 | 0 | 1 | 3:4 | 0 |

**ბომბარდირი**

2 - არუთინიანი ცხინვალი

# ამ „სიტიმ“ ისევ მოახდინა



REUTERS

მანჩესტერი — ბრედფორდი 6:0. სტუმართა სქოთი კაპიტანი სტიუარტ მაკოლი (№4) მანჩესტერელთა ახალბედა ჯონათან გრინინგთან ბრძოლაში

## ინგლისი

### IV ტური

#### ლიდსი 1:2 მანჩესტერ სიტი

0:1 ჰაუი (34), 0:2 ვიკენსი (40), 1:2 ბოიერი (56)
ლიდსი: მარტინი, კელი, დაბერი, რადებე, ჰარტი, ბოიერი, ჯონსი (ევანსი 56), დაკური, სმიტი, ვიდუკა, ბრიჯისი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
სიტი: ვივერი, რიჩი, პრიორი, ჰაუი, ვიკენსი (გრენვილი 78), ჰორლოკი, უიტლი, ჰაალანდი (რაიტ-ფილიპსი 66), ტიატო, კენედი, ვანჩოპე
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: ჰაუი, ჰაალანდი, რადებე, დაკური
40 055 მაყურებელი

#### მანჩესტერი 6:0 ბრედფორდი

1:0 კოული (11), 2:0, 3:0 ფორჩუნი (23, 60), 4:0 შერინგემი (71), 5:0 სოლსკიაერი (81), 6:0 ბექჰემი (85)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, იონსენი (ფ. ნევილი 66), უოლვორკი, სილვესტრი, ბექჰემი, ბატი (სქოულზი 72), ფორჩუნი, გრინინგი, კოული (სოლსკიაერი 63), შერინგემი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ბრედფორდი: კლარკი, ამერტონი, ვეზეროლი, ჰალე, ნოლანი, უოლი, მაკოლი, ჰოპკინი, შარპი (უორდი 65), ვინდასი, კარბონე
მწვრთნელი: კრის ჰაჩინგსი
გაფრთხილება: ვინდასი
67 447 მაყურებელი

#### სანდერლენდი 1:1 ვესტ ჰემი

1:0 არკა (25), 1:1 შუკერი (32)
სანდერლენდი: მაზო, მაკინი, კრადოკი, ტომე, გრეი, ჰოლოვეი, კილბეინი, ჰაჩისონი, არკა, ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, უინტერბერნი, შტიმაცი, პირსი, სინკლერი, კარიკი, კოული, ლამპარდი, ლომასი, დი კანიო, შუკერი (მონკური 66)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: უინტერბერნი, სინკლერი, შუკერი, ფილიპსი, ჰაჩისონი
46 605 მაყურებელი

#### ტოტენჰემი 3:2 ევერტონი

0:1 ჯეფერსი (25), 0:2 ნიარკო (41), 1:2, 2:2 რებროვი (45, 61 პ), 3:2 ფერდინანდი (62)
ტოტენჰემი: სალივანი, კარი, პერი, კემბელი, ტეტჩერი (ტარიკო 37), ანდერტონი (კლემენსი 17), შერვუდი, ლეონარდსენი, ფროინდი, ფერდინანდი (ივერსენი 89), რებროვი
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
ევერტონი: ჟერარი, უოტსონი, ვეირი, ანსუორსი, ალექსანდერსონი, ს. ჰიუზი (კლილენდი 75), გრავესენი, გესქოინი (მური 81), ნიარკო, ჯეფერსი, ჰ. ჰიუზი (კადამარტერი 81)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: ანსუორსი, რებროვი, ალექსანდერსონი
35 316 მაყურებელი

**რა** თქმა უნდა, ძნელი საფიქრალია, რომ „ლიდსი“ „ელანდ როუდზე“ წააგებს „მანჩესტერ სიტისთან“. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კი ბატონო, უფრო მოსალოდნელია, მაგრამ პრემიერლიგაში ახლადდაბრუნებულ „სიტისთან“, რომელიც ერთ შაბათს ნონ-ლიგის დონეს ვერ ქაჩავს, მეორე შაბათს კი იღბლითა და რაღაც ასეთით შოულობს ქულას?

ნეტავ სად იყვნენ ლუკას რადებე და მაიკლ დაბერი? იორკშირელთა დაცვის ბურჯებმა ეგებ არც კი იცოდნენ, რომ ირლანდიელი მარკ კენედი იმგვარ ყისმათა კუთხურთა მომწოდებელია, რომ მერე ოფლისღვრა მოგიწევს.

ასე იყო, თუ ისე, პირველი ტაიმის ექვსწუთიან მონაკვეთში კენედის ორ კუთხურს რიგრიგობით შეაგებეს ფეხები სტივ ჰაუიმ და ჰოლანდიელმა ჯერარდ ვიკენსმა და სტუმრებმა ორბურთიანი მარაგი შეიქმნეს. ჰაიუიმ მას შემდეგ გაიტანა, რაც „სიტის“ ლიდერის პაულო ვანჩოპეს თაური ძელმა აისხლიტა და სწორედ ამ ჰაუის დააჯდა ფეხზე. ჰოლანდიელმა კი ძველჰოლანდიურ სტილში დააჯახა საჯარიმოს კიდიდან.

დანარჩენი ერთი საათი მატჩის ბედის შემოტრიალებისთვის ბრძოლა იყო. მაგრამ აქამდე ქულადაუკარგავმა „ლიდსმა“ ვერაფერი გააწყო. ამან თუ გააფერმკრთალა ლი ბოიერის ერთადერთი საპასუხო, მოხდენილი თავურით რომ გავიდა მაიკლ ბრიჯისის ჩაწოდების შემდეგ. ლიდსელთა მენეჯერმა დევიდ ოლირიმ ესღა თქვა: „ჩვენმა ფეხბურთელებმა თითქოს დაივიწყეს, რომ კარის აღების უნარი აქვთ. მაგალითად, ალან სმიტმა. ასე რომ, ღირსეულმა გაიმარჯვა“.

„სიტის“ სული და გული კი ნაღდად იყო ვანჩოპე. გასულ უქმეებზე პაულო სესარი მშობლიური კოსტა-რიკის ნაკრებს ეხმარებოდა და ინგლისში სწორედ რომ „ლიდსთან“ თამაშის დღეს, თორმეტის ნახევარზე დაბრუნდა. ამის მიუხედავად, ვანჩოპე ბრწყინვალე იყო. „ის, რაც მან დღეს გააკეთა, მსოფლიო კლასია“, — აქო „სიტის“ მენეჯერმა ჯო როილმა თავდამსხმელი.

გახარებული როილი წარსულისა და დღევანდელობის კავშირსაც შეეხო: „ორი წლის წინათ ამ დღეს „მანსფილდ თაუნს“ ვეთამაშებოდით და გვიჭირდა, დღეს კი „ლიდსს“ მოვუგეთ. ასე რომ, წინ მივდივართ“.

მაგრამ ის, რაც იორკში არ გამოუვიდათ, გამოვიდა ლონდონში, „უაით ჰართ ლეინზე“, სადაც „ტოტენჰემი“ „ევერტონს“ მასპინძლობდა და ისევე როგორც „ლიდსი“ 40-ე წუთზე 0:2-ს აგებდა ფრენსის ჯეფერსის ბრწყინვალე თამაშის წყალობით. ჯეფერსმა პირველი თავად გაიტანა, მეორე კი განელ ალექს ნიარკოს გაატანინა. ამას კი მოჰყვა შესვენებით გაწყვეტილი დუბლი სერგეი რებროვისა, რომელიც ნაღდი ლიდერი ხდება ჯორჯ გრემის გუნდში, თუმცაღა, პრემიერლიგური გოლი პირველად სწორედ ამ თამაშში გაიტანა. რებროვის მეორე გოლს უსწრაფესად მოჰყვა უბერებელი გოლიათის, ლეს ფერდინანდის გადამწყვეტი დარტყმაც და „ტოტენჰემმა“ 3:2 მოიგო.

ამ თამაშში ჭეშმარიტად უსიამო ის იყო, რომ „ტოტენჰემს“ კვლავ დაუშავდა ელეგანტური დარენ ანდერტონი. „მისტერ ბიულეტენად“ წოდებულმა ტრავმებით ტანჯულმა ფრთის ფეხბურთელმა შაბათს მშვენივრად ითამაშა საფრანგეთ — ინგლისის ამხანაგურ მატჩში. უკვე ოთხშაბათს კი, „ევერტონის“ წინააღმდეგ, 17-ე წუთზე ითხოვა შეცვლა.

დანარჩენს მენეჯერი ჯორჯ გრემი გვიხსნის: „ისე ჩანს, რომ დარენს საზარდულის ძალიან ცუდი ტრავმა აქვს. პირველ წუთზე, კუთხურს რომ აწვდიდა, საშინელი ტკივილი იგრძნო. საკმაოდ სერიოზული ტრავმა ჩანს, ერთხანს მის გარეშე მოგვიწევს თამაში“.

სანდერლენდის „ლაითზე“ დავორ შუკერმა კვლავ ფრე უშოვნა „ვესტ ჰემს“, რაზანღა შვიდ წუთში უპასუხა მასპინძელთა ყრმა არგენტინელის, ხულიო არკას 25-ე წუთზე დაკრულ შედეგიან თავურს. აღსანიშნავია, რომ არკამ სადებიუტო თამაშშივე ჩაიწერა გოლი.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ 66 477 მაყურებლის თვალწინ გაანადგურა „ბრედფორდი“. მოგებაზე დამშეულ ჩემპიონებს ტედი შერინგემი კაპიტნობდა, გოლები კი ენდრიუ კოულმა, თავად შერიმ, ოლე გუნარ სოლსკიაერმა, დევიდ ბექჰემმა და კვინტონ ფორჩუნმა (წყვილი) გაიტანეს. ყველაზე საბრალო ამ მატჩში სტუმართა მეკარე მეტიუ კლარკი იყო.

საბუკმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილმა“ კი „იუნაიტედი“ ჩემპიონობის ფავორიტად დააბრუნა წილით 8-11-ზე. აი, ასე.

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS

უიღბლო ტოტენჰემელ დარენ ანდერტონს უჩმდ ყოფნა კიდევ კარგა ხანს მოუწევს

## გერმანია

### III ტური

#### ფრაიბურგი 0:0 კიოლნი

ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი (ფ. ბრუნსი 46), მიულერი, დიარა, ვილი, ბაია, ცაიერი (დორნი 85), კულიბალი, ცქიტიშვილი, რამდანე (კობიაშვილი 68), იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
კიოლნი: პრიოლი, კულმანი, კიხონი, კელერი, შერცი, ბულაიჩი, კროიცი (ჰაუპტმანი 89), ფოიგტი (ლოტნერი 90), შპრინგერი, ტიმი, ა. არველაძე (დონკოვი 75)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: რამდანე, ფოიგტი, შპრინგერი, კელერი
25 000 მაყურებელი

#### შალკე 3:0 კოტბუსი

1:0, 2:0, 3:0 სანდი (6, 8, 50)
მიოლერმა ვერ გაიტანა პენალტი (70, მეკარე)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ლატალი, კამშოისი, ნემეცი (ტონი 76), ბიომე, მიოლერი, სანდი (მულდერი 72), მპენზა (ასამოა 72)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, ტილემანი, ვატა, მატიუსი (შერბე 51), რეგეკამპი, აკრაპოვიჩი, მირიუტა, ლატოუნდი, ჰორვატი (რიოდლუნდი 72), ჰელბიგი (კობილანსკი 88)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: რეგეკამპი, ტილემანი, ჰელბიგი, შერბე
36 000 მაყურებელი

#### კაიზერსლაუტერნი 1:0 შტუტგარტი

1:0 ბასლერი (3)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, იაკობი, ჰ. კოხი, ბასლერი, კლოსი, კომლენოვიჩი, გრამოცისი, შტრასერი (როოსი 74), კლოსე (ხრისტოვი 60), ლოკვენცი, ჯორკაეფი (პეტერსონი 90)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, თ. შნაიდერი (მეიები 71), სოლდო, ენდრესი, კარნელი, პინტო (ზაიტცი 78), ტიამი, ბალაკოვი (განია 57), ლისტერი, გერბერი, დანდი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: იაკობი, ჯორკაეფი, როოსი, შნაიდერი, სოლდო, პინტო
37 594 მაყურებელი

#### ლევერკუზენი 1:0 უნტერჰახინგი

1:0 ბალაკი (23)
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ჟივკოვიჩი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი, ნოივილი, ვრანიეში, ბალაკი (ბ. შნაიდერი 85), რამელო (ნოიენდორფი 69), ზე რობერტო, კირსტენი (ბრდარიჩი 80), რინკი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
უნტერჰახინგი: ტრემელი, გრასოვი, შტრემელი, ზაიფერტი, შტრაუბე, ჰაბერი, ციმერმანი (ბერგენი 84), ობერლაიტნერი (ბრაიტენრაიტერი 63), შვარცი, ჰირში, რაკლი (შპიცაკი 46)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი
გაფრთხილება: კოვაჩი, რამელო, ნოვოტნი, რინკი, კირსტენი, გრასოვი, ზაიფერტი
გაძევება: ჰაბერი (41)
22 000 მაყურებელი

# ებე სანდი და პიპლიცა



REUTERS

სუპერმარიოს ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს, თუმცა სამქულიანი მაინც შეაგდო

**დიდად** უცნაური კაცია ეს ფოლკერ ფინკე. „ფრაიბურგის“ თავკაცმა სამშაბათს, „კიოლნთან“, არც აცია, არც აცხელა და... გუნდის ლიდერი ლევან კობიაშვილი სათადარიგოთა სკამზე დასვა. სამაგიეროდ, ძირითადში ორი ქართველი — იაშვილი და ცქიტიშვილი გაამწესა. რა მოიგო ამით „ფრაიბურგმა“? არც არაფერი, წაგებით კი ორი ქულა წააგო, რადგან მასპინძლები ამ შეხვედრაში სამ ქულას გეგმავდნენ. კობიაშვილი „ფრაიბურგის“ შემადგენლობაში 68-ე წუთზეღა გამოჩნდა. ამ დროს ტაბლოზე 0:0 ენთო. „ფრაიბურგი“ უტევდა და ვერც უტევდა, „კიოლნი“ კი თავს იცავდა, დაიცვა კიდეც. მოედანიც კმაყოფილმა დატოვა: სტუმრად პირველი ქულა მოიპოვა.

პირველ ნახევარში მასპინძლებმა ორი მომენტი შექმნეს — ვილიმ ძელს გაარტყა ბურთი, შუმანის თავური კი პრიოლმა მოიგერია. რით უპასუხა ამას „კიოლნმა“? შპრინგერის ერთი არაზუსტი დარტყმით. სტუმართა თავკაცმა „მაგდებურგთან“ სათასო მარცხის შემდეგ შემადგენლობაში ცვლილებები მოახდინა, თუმც „კიოლნის“ თამაში ამით არ შეცვლილა. კვლავ ჩრდილში იდგა არჩილ არველაძე. მან თუ ასე განაგრძო, იქნებ ძირითადში ადგილიც დაკარგოს.

„ფრაიბურგი“ მეორე ნახევარშიც ორჯერ დაემუქრა მეტოქის კარს. ორჯერვე იაშვილს შეეძლო გატანა. ოდნავ რომ გამართლებოდა ჩვენებურს, იქნებ მატჩის გმირიც გამხდარიყო, თუმცა პირველად მიზანს ოდნავ ააცილა, მეორედ კი პრიოლმა სასწაულებრივ იხსნა „კიოლნი“, რომელსაც შეტევაზე მთელი მეორე ტაიმი არც უფიქრია.

გელზენკირხენის მატჩი დანიელი ებე სანდის შოუდ იქცა. „შალკეს“ თავდამსხმელმა ტომისლავ პიპლიცას, სტუმართა კარში რომ იდგა, შავი დღე აყარა. სამჯერ ხომ ბურთი კარიდან გამოაღებინა, ერთი ამდენჯერაც კამარა შეაკვრევინა. მე-6 და მე-8 წუთზე გატანილ ორ გოლს, სანდი მე-16 წუთზევე აქცევდა ჰეთ-თრიქად, თუმცა მეკარის თავგანწირვამ შეუშალა ხელი. ტაიმის მიწურულსაც იგივე მოხდა. აი, 50-ე წუთზე კი პიპლიცაც უძლური შეიქნა. ვინ იცის, ეგებ სანდს კოტბუსელთა მეკარე მეოთხედაც გაემწარებინა, მაგრამ პიპლიცას მხსნელად „შალკეს“ ჰოლანდიელი თავკაცი ჰუუბ სტევენსი მოევლინა და 72-ე წუთზე დანიელი შეცვალა. პირველი შალკური გოლის გატანა ექს-დორტმუნდელ ვეტერან ანდრეას მიოლერსაც შეეძლო, მაგრამ პენალტიდან მაინცდამაინც პიპლიცას დაუმიზნა.

კაიზერსლაუტერნში მატჩის პირველი ნახევრის შუაგული იყო, საჯარიმოში შესულმა მასპინძელთა ლიდერმა მარიო ბასლერმა მოჭრილი დარტყმით ბურთი ჰილდებრანდს რომ გადაავლო. გაიხარა „სუპერმარიომ“, თუმცა ვინ აცალა: თანამსაჯმა დაახლოებით ისეთი თამაშგარე დააფიქსირა, როგორიც გურამ ჩიგოგიძემ „ვიტ ჯორჯია“ — „სიონის“ ამასწინანდელ მატჩში. მაშინ ვიტელთა კაპიტანი გიორგი ყიფიანი უმტკიცებდა თანამსაჯს გოლის სამართლიანობას, სამშაბათს „კაიზერსლაუტერნის“ კაპიტანი ბასლერი, თუმცა კამათმა შედეგი არც მცხეთაში გამოიღო და ცხადია, არც კაიზერსლაუტერნში.

საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდა. ალბათ იმიტომაც, რომ მასპინძლებმა 1:0 მოიგეს. გადამწყვეტი გოლი მარიო ბასლერს იმ საკამათო ეპიზოდამდე გაეტანა.

108 დღის წინ „ლევერკუზენს“ ერთი ცუდი ამბავი შეემთხვა. გასული ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ კრისტოფ დაუმის გუნდი მეორე ადგილზე მყოფ „ბაიერნს“ სამი ქულით უსწრებდა. ბოლო მატჩში სტუმრად „უნტერჰახინგთან“, ბუნდესლიგაში ადგილი შენარჩუნებული რომ ჰქონდა, სტუმრებს საჩემპიონოდ ქულაც ჰყოფნიდათ. გერმანიის საფეხბურთო კავშირმაც ჩემპიონის სინი უნტერჰახინგში ჩაიტანა და მწარედაც მოტყუვდა: მასპინძლებმა 2:0 გაიმარჯვეს და „ლევერკუზენის“ საჩემპიონო ოცნებებს ჩაილურის წყალი დაალევინეს.

და აი, სამშაბათს „უნტერჰახინგი“ ლევერკუზენს ესტუმრა. მასპინძლები, ცხადია, საგანგებოდ ემზადებოდნენ, შავ დღეში უნდა ჩავაგდოთო, იმუქრებოდნენ. არაფერი მსგავსი — ერთი ბალაკმა, იმ ავბედით მატჩში ავტოგოლის ავტორმა, იჯერა გული და „უნტერჰახინგს“ ბურთი გაუტანა. ისე, „ლევერკუზენს“ უფრო სრულყოფილი რევანშის აღება მართებდა, მით უმეტეს, რომ 41-ე წუთიდან მოყოლებული სტუმრები მოედანზე ათნი იყვნენ.

**ვანო ოქროპირიძე**

## შვეიცარია

IX ტური

**ციურიხი 3:0 ქსამაქსი**

1:0, 2:0 ჩაველაშვილი (33, 55), 3:0 ნდლოვუ (86)

ციურიხი: პასკოლო, კვენტინი, ფიშერი, ჯანინი, ბალასი, შელდმანი (კასტილიო 83), შელინგა, ჯამარაული, ჩაველაშვილი, ბარტლეტი (ნდლოვუ 80), ბიულმანი (შასო 72)

მწვრთნელი: ჟილბერტ გრესი

3200 მაყურებელი

**არაუ 0:1 ბაზელი**

0:1 ჩუგა (36)

არაუ: ბენიტო, იოდიჩე, ეგიმანი, პავლიჩევიჩი, ფიხტერი, ბალდასარი, პრევიტალი (დეგენი 87), ვიდერკერი, სალვო, ივანოვი (ვოლფი 64), ხომერიკი

მწვრთნელი: როლფ ფრინგერი

5800 მაყურებელი

**სენტ გალენი 1:0 გრასჰოპერი**

1:0 ამოსა (64)

10 300 მაყურებელი

**ლოზანა 3:2 სიონი**

1:0 ტიხავი (16), 1:1 ტუმი (38), 2:1 ტიხავი (53), 2:2 ტუმი (60), 3:2 პუჩე (74)

5400 მაყურებელი

**სერვეტი 2:0 ლუცერნი**

1:0 პეტროვი (34), 2:0 ორუმა (58)

2598 მაყურებელი

**ლუგანო 3:0 ივერდონი**

1:0 როტენბიულერი (33), 2:0 როსი (72), 3:0 გასპოზი (90)

4700 მაყურებელი

**სამშაბათს** მიხეილ ყაველაშვილისა და გოჩა ჯამარაულის „ციურიხმა" საკუთარ მინდორზე ნოიშატელის „ქსამაქსი" 3:0 გაანადგურა, რაშიც დიდი წვლილი გუნდის ქართველმა ლეგიონერმა შეიტანეს.

მასპინძლებმა ჩემპიონატის აუტსაიდერთან თავიდანვე აქტიურად დაიწყეს. პირველი წუთებიდანვე ნათელი გახდა, რომ „ციურიხი" ამ შეხვედრაში მხოლოდ შეტევაზე იფიქრებდა. ასეც მოხდა. მასპინძლებმა სტუმართა მეკარე კოლომბა შავ დღეში ჩააგდეს და მოდუნების საშუალებას არ აძლევდნენ. მრავალი მომენტიდან „ციურიხმა" სამი გამოიყენა. ანგარიში 33-ე წუთზე გაიხსნა, როცა ჯამარაულის ფლანგურ გარღვევას და ჩაწოდებას ყაველაშვილი გამოეხმაურა — მიშას თავური კოლომბამ ვერ მოიგერია. საქართველოს ეროვნული გუნდის ფორვარდმა, ბოლო დროს გოლების გატანას რომ მოუხშირა, ერთი ბურთი არ იკმარა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, ჩვენებურმა ისევ ზუსტი თავურით რომ მიაღწია მიზანს. ყაველას ორ გოლს მატჩის მიწურულს ნდლოვუმ ერთიც დაამატა და 3:0-იც გამოცხვა.

„ციურიხი" ამ გამარჯვებამ სამი საფეხურით აამაღლა და ახლა ცხრილში მერვეა. აღსანიშნავია ჟილბერტ გრესის შეგირდების ბოლოდროინდელი პროგრესი, ციურიხელებმა ბოლო სამ ტურში შვიდი ქულა დააგროვეს.

„არაუმ" კი მეცხრე ტურის სხვა მასპინძლებს ვერ მიბაძა და სამშაბათს ერთადერთი გუნდი გახდა, ვინც შინ ქულები დაკარგა. ლევან ხომერიკის გუნდი „ბაზელთან" 0:1 დამარცხდა. გადამწყვეტი გოლი, სეზონში მეათე, ჩემპიონატის ბომბარდირმა კამერუნელმა ჩუგამ გაიტანა. მეორე ნახევარში „არაუმ" მეტოქეს თამაშით კი აჯობა, მაგრამ მატჩის უდავო გმირმა, „ბაზელის" სლოვაკმა მეკარემ კიონიგმა (ქართულად მეფეს რომ ნიშნავს) მართლაც მეფურად ითამაშა — არც ხომერიკს გაატანინა და არც მის ოთხ თანაგუნდელს, ასპროცენტიანი მომენტები რომ ჰქონდათ.

ლიდერმა „ლუგანომ" კვლავ დამაჯერებლად მოიგო, „ლოზანამ" კი „სიონს" დაძაბულ შეხვედრაში 3:2 სძლია.

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი სენტ გალენში შედგა, სადაც ციურიხის „გრასჰოპერი" იყო ჩასული. თამაშს წლეულს სარეკორდო, 10 300 ქომაგი დაესწრო და ფრიად კმაყოფილიც დარჩა. მასპინძლებმა 64-ე წუთზე ამოსას მიერ გატანილი გოლით 1:0 მოიგეს.

**გუნდთა ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 9 | 7 | 1 | 1 | 16:3 | 22 |
| ლოზანა | 9 | 6 | 0 | 3 | 18:13 | 18 |
| სენტ გალენი | 9 | 5 | 2 | 2 | 15:8 | 17 |
| ბაზელი | 9 | 4 | 2 | 3 | 18:14 | 14 |
| გრასჰოპერი | 9 | 4 | 1 | 4 | 17:9 | 13 |
| სერვეტი | 9 | 3 | 3 | 3 | 14:14 | 12 |
| სიონი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:14 | 11 |
| ციურიხი | 9 | 2 | 4 | 3 | 14:13 | 10 |
| არაუ | 9 | 3 | 1 | 5 | 10:12 | 10 |
| ლუცერნი | 9 | 3 | 1 | 5 | 13:20 | 10 |
| ივერდონი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:16 | 8 |
| ქსამაქსი | 9 | 2 | 1 | 6 | 8:26 | 7 |

# მატურანა იყო და აღარ არის



ფრანსისკო მატურანა

**გასულ** უქმეებზე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში პერუ შინ არგენტინასთან დამარცხდა, გუშინ კი იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების კოლუმბიელი მწვრთნელი ფრანსისკო მატურანა დაითხოვა. ამის თაობაზე მისმა თანაშემწე ტედი კარდამამ განაცხადა: „მატურანას წასვლამ ყველას გული დაგვწყვიტა, თუმცა ეს სწორი გადაწყვეტილება იყო".

ცხადია, პერუელები არგენტინასთან ყოველი წაგების მერე მწვრთნელს არ ცვლიან. კოლუმბიელის მოხსნის მიზეზი სატურნირო ცხრილში უნდა ვეძიოთ, სადაც პერუ მერვე ადგილზეა, მის უკან მხოლოდ ბოლივია და ვენესუელაა — უსუსტესნი სამხრეთ ამერიკაში.

მომდევნო შეხვედრას პერუ 7 ოქტომბერს ბოლივიის წინააღმდეგ გამართავს. ნაკრების ახალი მწვრთნელი კი, როგორც ამბობენ, 42 წლის სეზარ ურიბე გახდება. ურიბე პერუს ნაკრების ყოფილი მოთამაშეა. მას 1982 წელს ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზეც უთამაშია. სხვათა შორის, ამის მერე პერუელებს მსოფლიოზე აღარც გაუღწევიათ.

# ჩვენი მაკა



**მადრიდის** „სანტიაგო ბერნაბეუზე" შეკრებილმა საზოგადოებრიობამ ტაში და ოვაცია არ დაიშურა. ეს გახლდათ მადლობა ერთგულებისა და ხასიათის სიმტკიცისთვის, რომელიც ხალხმა ინგლისელ ნახევარმცველს, სტივ მაკმანამანს უძღვნა. და ეს ტაში ერთჯერადი როდი გახლდათ. ეს ტაში არც ხანგრძლივი და მქუხარე იყო, როგორც ამას კომუნისტები უწოდებდნენ აწგანსვენებული საბჭოთა კავშირის დროს. ეს გახლდათ ემოციათა ამოფრქვევა ყოველ ჯერზე, როცა კი მაკმანამანი ბურთს შეეხებოდა.

მატჩი, რომლის დროსაც ეს ტაშიანი ამბავი მოხდა, ამხანაგური იყო და სამშაბათ საღამოს ჩატარდა, ხოლო „რეალის" მოწინააღმდეგეს „სანტოსი" ერქვა. ეს სწორედ ის, დიდი „სანტოსი" გახლდათ, რომელშიც თავისი კარიერის უდიდესი ნაწილი გაატარა პელემ, მაგრამ „რეალმა" პელესგან დიდი ხნის წინ მიტოვებულს 2:0 მოუგო. მაკმანამანი მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა.

შეგახსენებთ ინგლისელის თავგადასავალს. მაკმანამანმა გასულ სეზონში მადრიდელთა მიერ ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვებაში ლომის წილი დაიდო, ფინალში სულაც გოლი გაიტანა, მაგრამ მას მერე, რაც ამ ზაფხულს „რეალმა" „ბარსელონასგან" ლუიშ ფიგუ იყიდა, მწვრთნელს ვისენტე დელ ბოსკეს მასზე გული აუცრუვდა. დელ ბოსკეს სტივის გაყიდვა სურდა, მაგრამ ნახევარმცველმა ქედი არ მოიხარა და იმდენი ქნა, „სამეფო გუნდში" დარჩა, ამით კი, გმირი ხომ იყო, გმირთა გმირი გახდა.

— მაკა ის ფეხბურთელია, ქომაგებს რომ უყვართ. შეხვედრამ, რომელიც მას „ბერნაბეუზე" მოუწყვეს, ბევრი რამ მითხრა. მასთან სულაც არ ვარ დაპირისპირებული, ხოლო ის, რომ ხალხი ეთაყვანება, დიდებულია" — მოლბა დელ ბოსკე.

# ...ქართულად ნათარგმანები



კადაფი, მამა გულადი ალ საადისა

**ალ** საად კადაფი, ვაჟი ლიბიის მპყრობელ მუამარისა დაბრუნდა იქ, საიდანაც ორიოდ კვირის წინ მიზეზის უთქმელად წავიდა — ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე.

ვერ შეეგუა ლიბიელ ქომაგთა უტეხი ლაშქარი ალ საად გულადის გადადგომას, შეიკრიბა მისი სასახლის წინ და გამოსვლა სთხოვა.

და ვერ გაუძლო გულადის გულმა თხოვნას ლაშქრისას. გამოვიდა და თქვა — მევე ვიქნები პრეზიდენტი.

გაიმართა დიდი ზეიმი. შეიძრა მიწა და შეერთდა საჯარიმო მოედანი და ცენტრი მინდვრისა.

ხოლო ალ საად სიტყვა თქვა ისეთი, მთელმა ქვეყანამ უსმინა სახელმწიფო რადიოს პირველი არხით.

„როგორც პრეზიდენტი — ხელები აღაპყრო ალ საად — ვფიცავ, შევწირავ ძალასა და თავს ჩვენი ფეხბურთის გაძლიერებას. დადგება დრო, ლიბიას მთელი ხმელეთის მასმედია მოაპყრობს მზერას და გავიხარებთ."

ხოლო გულადი ალ საადს იმად უწოდეს, რომ წინ აღუდგა ფეხბურთის აკრძალვას, 80-იან წლებში შემოღებულს მშობელი მამისგან და გამოედევნა ბურთს, ხოლო დევნას დიდი ზღვის მეორე კიდიდან ჩამოყვანილი ბენ ჯონსონ მრბენი და მეწამლე ასწავლიდა.

და არის ალ საად კადაფი კაპიტანი ლიბიის ნაკრებისა, ხოლო მუხლი მისი ჯერ დიდხანს იმგლებს, რამეთუ დღიდან მისი დაბადებისა დედამიწას მზისთვის ოცდაექვსჯერ შემოუვლია ოდენ.



საქართველოს ნაკრების მწვრთნელებისგან განსხვავებით, ანჩელოტი თავად დადუმდა

# ანჩელოტი დუმილს ირჩევს

**იტალიის** ვიცე-ჩემპიონის „იუვენტუსის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ მონცაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ უჯობს გუნდის სიახლენი ჟურნალისტებისგან დამალოს, ვინაიდან ხშირად გულახდილობა ძვირად უჯდება და ათასგვარ ჭორს გადააწყდება ხოლმე. ანჩელოტი ამბობს, რომ მას არ სურს თავისი მოთამაშეების ამბები ტაბლოიდურ ისტორიებად გადაკეთებული იხილოს.

„ჩემს ძირითად შემადგენლობაზე ერთ სიტყვასაც აღარ დავძრავ. მიჯობს პრესაში თამაშების მიმოხილვა იწერებოდეს, ვიდრე იმ ცნობილ მოთამაშეთა გულისწყრომის ამბავი, რომლებიც სათადარიგოთა სკამზე დავსვი. „იუვენტუსი" ვარსკვლავებისგან შედგენილი გუნდია და რომელიმე მათგანს ყოველ შეხვედრაში მოუწევს თადარიგში ყოფნა" — თქვა მწვრთნელმა.

„ბებერი ქალბატონი" 13 სექტემბერს ჩემპიონთა ლიგაში „ჰამბურგთან" თამაშის წინ საგანგებო ინტენსივობით ვარჯიშობს.

— მოსამზადებელი ეტაპის ბოლო კვირა განსაკუთრებულად მძიმე იყო და ამიტომ დარჩენილ დღეებში რიტმს ოდნავ შევამსუბუქებთ. მგონი კარგად ვმუშაობთ და „ჰამბურგს" მომზადებული შევხვდებით, თუმცა 13 სექტემბერს ნამდვილი გამოცდა გველის — ბრძანა ანჩელოტიმ, რომლის გუნდიც ლიგის E ჯგუფში მოხვდა, სადაც „იუვენტუსის" და „ჰამბურგის" გარდა არიან ბერძნული „პანათინაიკოსი" და ესპანური „დეპორტივო".

— ჩვენი ახალგაზრდული გუნდის ხელმძღვანელი ჯამპიერო გასპერინი „პანათინაიკოსის" თამაშის სანახავად გავაგზავნე და მის ჩამოტანილ ინფორმაციას დიდი გულისყურით შევისწავლი. „დეპორტივოც" ერთობ ძლიერი მოწინააღმდეგე იქნება, მაგრამ ამჯერად „ჰამბურგზე" ვფიქრობ, რადგან მასთან გახსნის მატჩი გვიწევს და ვნახოთ, მოწინააღმდეგე რას შემოგვთავაზებს — დასძინა მწვრთნელმა.

შემდეგ მას ალესანდრო დელ პიეროზე ჰკითხეს. „იუვენტუსის" ვარსკვლავი გასულ კვირა დღეს ხომ იტალიის ნაკრების შემადგენლობაში უნგრელების წინააღმდეგ თამაშობდა და იტალიურ პრესაში ფრიად უარყოფითი გამოხმაურება ხვდა.

— ამ საკითხზე ლაპარაკი არ მსურს. მოდი ვთქვათ, რომ ვეთანხმები მის შესახებ ჯოვანი ტრაპატონის შეხედულებებს — დაავგირგვინა კარლო ანჩელოტიმ.




**კორეას**, ზამბიას და კოტ დივუარს კარგა ხანი ვერ დავეწევით. ტრინიდადისა და ტობაგოს (ერთი ქვეყანაა, დუაიტ იორკის სამშობლო) გადასწრება ხომ დღესდღეობით მთლად აუხდენელ ოცნებად გვიჩანს. სამაგიეროდ, ფეხდაფეხ მოგვდევენ ქუვეითი, ზიმბაბვე, გვინეა, ბურკინა ფასო და ფიდელ კასტროს კუბა, ამიტომ ფხიზლად ყოფნა გვმართებს. რაც მთავარია, რეგიონში პირველები ვართ — სომხეთი 88-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი კი მთლად 108-ზე.

ამიერკავკასიაში უძლიერესი საქართველოს ნაკრები ფიფა-კოკა კოლას გუშინ გამოქვეყნებულ უახლეს რეიტინგში 68-ე ადგილზეა და ერთი ქულითა და ორი საფეხურით უსწრებს თანაჯგუფელ ლიტვას. კიდევ ერთი ჩვენი მეტოქე უნგრეთი 53-ეა, რუმინეთი და იტალია კი ჩვეულ, მაღალ ადგილებს არ შორდებიან.

პირველი კი კვლავ ბრაზილიაა, რომელიც ევროპისა და მთლად მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთს ლიდერობას არ ანებებს. არგენტინა კი 1993 წლის აგვისტოდან, რაც ეს რეიტინგი არსებობს, პირველად მოხვდა ასეთ მაღალ, მესამე ადგილზე.

მომავალ თვეში ქვემოთ მოყვანილ ცხრილში დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არაა, ვინაიდან შესარჩევი მატჩები 7 ოქტომბერსღა განახლდება. თუ გაუმართლა და ამ დღეს ლიტვა დაჯაბნა, საქართველოს ნაკრებს კონგოს ჩვენსავით დემოკრატიული რესპუბლიკის გადასწრების შანსი მიეცემა. ძრწოდეთ, კონგოელებო!

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | 819 |
| 2 | საფრანგეთი | 808 |
| 3 | არგენტინა | 749 |
| 4 | ჩეხეთი | 745 |
| 5 | ესპანეთი | 743 |
| 6 | იტალია | 729 |
| 7 | პორტუგალია | 716 |
| 8 | ჰოლანდია | 710 |
| 9 | ნორვეგია | 705 |
| 10 | იუგოსლავია | 704 |
| 11 | გერმანია | 700 |
| 12 | რუმინეთი | 695 |
| 13 | ინგლისი | 689 |
| 14 | მექსიკა | 688 |
| 15 | ხორვატია | 687 |
| 16 | პარაგვაი | 655 |
| 17 | კოლუმბია | 648 |
| 18 | დანია | 639 |
| 19 | შვედეთი | 638 |
| 20 | სამხრეთ აფრიკა | 629 |
| — | — — — | — |
| 67 | კონგოს დრ | 496 |
| 68 | საქართველო | 495 |
| 69 | ქუვეითი | 495 |

*P.S. კარგი იქნება, თუ შემდეგ ამხანაგურ მატჩს ჩვენი ეროვნული გუნდი ბუტანში გამართავს. ამ ქვეყნის ნაკრები ცხრილში მეორასე ადგილზეა და რეიტინგის გაუმჯობესებას ლამობს.*

# საქართველო ევროპა არაა

## კალაძის გამო იტალიაში კანონის შეცვლას ლამობენ



ბოლო დროა, საინფორმაციო საშუალებები კახა კალაძის „მილანში“ შესაძლო გადასვლაზე გამუდმებით საუბრობენ. თავად ფეხბურთელი ამ ცნობას უარყოფს, მაგრამ რაკი ლაპარაკი არ წყდება, რაღაც საფუძველი ხომ უნდა არსებობდეს?

გუშინ „როიტერმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის ავტორიც მისი რეპორტიორი საიმონ ევანსია. მისი თქმით, „მილანი“ და „ლაციო“ იტალიაში არსებული კანონის წინააღმდეგ ილაშქრებენ, რომლის თანახმადაც, სერია A-ს კლუბებს მხოლოდ ხუთი არაევროკავშირელი მოთამაშის ყოლის უფლება აქვთ. ამავე დროს მინდორზე ერთდროულად სამ არაევროკავშირელზე მეტის გაყვანა დაუშვებელია. „როიტერს“ მოჰყავს „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის სიტყვები. იგი ამბობს, კალაძე რომ „მილანში“ ვერ გადაგვყავს, ამის ერთადერთი მიზეზი მისი არაევროკავშირელობააო. „არსებული კანონი დისკრიმინაციულია — კატეგორიულია გალიანი — დღეს, როცა ყველაფერი საერთო გლობალიზაციისკენ მიდის, მათ შორის



ჭერჭერობით გალიანი ნაომი კემპბელთან ერთად ისვენებს

ფეხბურთიც, დროა, მოძველებულ კანონებს გადავხედოთ. რატომ უნდა ჰქონდეს ზოგიერთ ფეხბურთელს ზედმეტი ბარიერი გადასალახი? მხოლოდ იმიტომ, რომ დასავლეთ ევროპელი არ არის? მზად ვარ, სასამართლოს ძალით ამ კანონის გაუქმებას მივაღწიოთ“. იგივე აზრისაა „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი.

რაც შეეხება „მილანის“ არაევროკავშირელებს. მილანელებს პირველ გუნდში სულ 16 უცხოელი ჰყავთ. დანიელი ტომას ჰელვეგი, გერმანელი ოლივერ ბირჰოფი და ესპანელი ხოსე მარი „ძირძველი“ ევროკავშირელები არიან და გალიანისგან დაწუნებული კანონი მათ არ აწუხებთ. არხეინადაა იბრაჰიმ ბაც, რომელიც, მართალია, სენეგალში დაიბადა, მაგრამ რაც თავი ახსოვს, ჯიბეში ფრანგული პასპორტი უდევს. „მილანში“ კარგა ბლომად ბრაზილიელები და არგენტინელებიც თამაშობენ, რომელთაც წესით ევროპასთან არაფერი უნდა ესაქმებოდეთ, მაგრამ რაკი მათი წინაპრები ოდესღაც ესპანელები ან პორტუგალიელები იყვნენ (იტალიელებიც გამოერევიან ხოლმე), თავიანთ ევროპელობასაც იოლად ამტკიცებენ. ჰოდა, დარჩა ანდრეი შევჩენკო და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი, რომლებიც „მილანში“ „ნამდვილ“ უცხოელებად ითვლებიან და რომელთა გამოც ამ კლუბში კახა კალაძე ვერ აჰყავთ.



ვანდერლეი ლუქსემბურგო: მექრთამე? მოღალატე? გადაკეთებული?

# გაახალგაზრდავებული ლუქსემბურგო ქალებში დაქვრება

**ახლახან** ვწერდით, რომ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოს უამრავ ცოდვას აბრალებენ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: უკანონო ფინანსური მაქინაციები, გადასახადებისგან თავის არიდება, თანამდებობის ბოროტად გამოყენება. ყოველივე ამას მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ორი წაგებული დაემატა.

ახლა კიდევ ახალი ბრალდება. კვირას დილით, ბოლივიასთან მატჩის წინ, ლუქსემბურგო პოლიციას დაუკითხავს. მიზეზი ერთ-ერთ ბრაზილიურ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა გახდა, რომლის თანახმადაც მას ასაკი გადაკეთებული აქვს. პასპორტით ლუქსემბურგო 45 წლისაა, მაგრამ თურმე სამი წლით ადრე ყოფილა დაბადებული. თუ მწვრთნელს საბუთების გაყალბება დაუმტკიცდა, ბრაზილიური კანონებით ერთიდან სამ წლამდე პატიმრობა ელის.

ლუქსემბურგოს სხვა თავსატეხიც გასჩენია — სახლში აღარ მიესვლება. ვინმე რენატა მოურა ალვეშმა ჟურნალისტებს განუცხადა, მე და ვანდერლეის დიდი ხანია ერთმანეთი გვიყვარსო. ცხადია, აქ პლატონურ სიყვარულზე არ არის საუბარი, ვანდერლეი ლუქსემბურგო კი ცოლიანი კაცია.

# ინგლისელსა სად წაიყვანს...

## ბრიტანელებს იუგოსლაველებისა ეშინიათ, თურქებისა — არა

**სულ** მალე ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის თამაშები დაიწყება. ბევრი საინტერესო და დაძაბული მატჩი გველის, თუმცა დაძაბულობაც რამდენიმე სახის არსებობს. აქ არასაფეხბურთოზე ვთქვათ.

14 სექტემბერს უეფას თასის პირველ წრეში ინგლისური „ლესტერი“ იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდას“ უმასპინძლებს, ბელგრადს კი 28-ში ესტუმრება. ჩემპიონთა ლიგაში 26 სექტემბერს „ლიდსი“ — „ბეშიქთაშია“, სამი კვირის მერე კი „ბეშიქთაში“ — „ლიდსი“.

ხუთი თვის წინ სტამბოლში ორი ლიდსელი გულშემატკივარი მოკლეს. მერე კოპენჰაგენში უეფას თასის ფინალის წინ ლონდონელი ქომაგები დაეჯახნენ სტამბოლელებს. ახლახან, ევროპის ჩემპიონატის დღეებში, ინგლისელი ფანობა იმუქრებოდა, თურქებს მივუხტებით და ჩვენი დალუპულების გამო შურს ერთიათად ვიძიებთო. ბელგია-ჰოლანდიაში პოლიციამ იყოჩალა.

ახლა ინგლისურ-თურქული სიძულვილი მეორე წრეზე წავა. კვლავ უეფას ტურნირი, კვლავ „ლიდსი“ და კვლავ სტამბოლური გუნდი, ოღონდ „გალათასარაის“ ნაცვლად „ბეშიქთაში“. ისე, გაგვიგია, ბეშიქთაშელი ქომაგები გალათას უბნელებზე თავზეხელაღებულნი არიანო.

მაგრამ წილი ნაყარია, 25 აგვისტოს მონაკოს კონგრესის სასახლეში უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა კალათაში ხელი ჩაჰყო და „ლიდსი“ „ბეშიქთაშს“ დააჯახა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ლიდსის და სტამბოლის ხელისუფლებმა უსაფრთხოების ზომების შეთანხმება დაიწყეს. გადაწყდა, გუნდებს გასვლით თამაშებზე ხუთას-ხუთასი გულშემატკივარი უქომაგებს. ყველაფრის მიუხედავად, „ლიდსის“ თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილი ამბობს, ხალხს სტამბოლში ჩასვლას ვერ ავუკრძალავო.

წამსვლელთა სიებს მხარეები ერთმანეთს წინასწარ გაუგზავნიან, ხოლო ვინც ხუთასკაციან ჯგუფში ვერ მოხვდება, მაგრამ ლიდსში ან სტამბოლში მაინც გაემგზავრება, უკანა რეისამდე პოლიციაში მოუწევს ყურყუტი.

ახლა „ლესტერისა“ და „ცრვენა ზვეზდას“ ამბავი ვთქვათ. გუშინ ინგლისური კლუბის თავმჯდომარე ჯონ ელმოსი შვეიცარიაში უეფას ურთიერთობათა დირექტორ მაიკ ლის შეხვდა და 28 სექტემბერს დანიშნული ბელგრადული მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გადატანა სთხოვა.

ამ ზაფხულს ქუთაისის „ტორპედოც“ ეწვია ბელგრადს და ჩვენი ფეხბურთელებისთვის არავის არაფერი დაუშავებია, ინგლისელებს რაღა უნდათო — იკითხავთ. გეხსომებათ, ნატოს ავიაცია არცთუ დიდი ხნის წინ იუგოსლავიას ბომბავდა. მათ შორის ბრიტანული სახედრო თვითმფრინავებიც იყო და რა გასაკვირია, თუ ინგლისელები შიშობენ — სერბებს ვძულვართ და რამე არ აგვიტეხონო.

აღსანიშნავია, რომ მატჩამდე ოთხი დღით ადრე იუგოსლავიაში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. ჰოდა, პოლიტიკური მღელვარებაც პიკს ლესტერელთა სტუმრობის დღეებში მიაღწევს. ცეცხლზე ნავთს ასხამს გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროც. მისმა წარმომადგენელმა რამდენიმე დღის წინ ინგლისელებს მოუწოდა, თავი შეეკავებინათ იუგოსლავიაში გამგზავრებისგან. ასე რომ, „ლესტერის“ თავმჯდომარის გუშინდელი ვიზიტი უეფას შტაბ-ბინაში გასაკვირი სულაც არაა. ჯონ ელსომის მოთხოვნას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი დევიდ დევისიც მხარს უჭერს.

მატჩის ნეიტრალურ მინდორზე გამართვის შესაძლებლობის თაობაზე გადაწყვეტილებას უეფა ამ კვირის ბოლოს გამოიტანს. იქამდე კი მისი პრესმდივანი ფრიც ალსტრიომი ამბობს: „თუკი ბელგრადელი ოფიციალური პირები სრული უსაფრთხოების გარანტიას მოგვცემენ, უეფას მატჩის სხვაგან გადატანის საფუძველი არ ექნება“.

ცხადია, ლესტერელთა მოთხოვნას იუგოსლავიაში მკვეთრად უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა.

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრმა დან ტანამ ბიბისი-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ინგლისი უეფას წევრი ქვეყანაა. ამიტომ ამ ორგანიზაციის მიღებულ გადაწყვეტილებაში ეჭვი არავინ უნდა შეიტანოს. უეფამ კი წილისყრისას დაადგინა, რომ 28 სექტემბერს მატჩი სწორედ იუგოსლავიაში გაიმართება და არა სადმე სხვაგან. მაშინ ინგლისელებს კენჭისყრამდე ეთქვათ, რომ ამა და ამ ქვეყნებში სათამაშოდ არ ჩავალთ და იქაურ გუნდებს ნუ შეგვახვედრებთო. „ცრვენა ზვეზდა“ ბელგრადის გარდა არსად ითამაშებს, ეს ჩვენი საბოლოო სიტყვაა“.



იმედია, ახალ სეზონში მსგავსი ამბები იშვიათად მოხდება

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში უეფას თასის პირველ ეტაპზე „ლიდსი“ და ბელგრადის „პარტიზანი“ შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ბელგრადის ნაცვლად თამაში ჰოლანდიურ ჰერენვენში გაიმართა. მაშინ ნატოს იუგოსლავიის დაბომბვა ახალი დასრულებული ჰქონდა.

**გიორგი დარჯანია**

# ოცნების აკადემია

## რით არ არის ახდენილი ოცნება: ბავშვობაში მოიარო ლიტვა, მაკედონია, იტალია, ამერიკა, ნახო ორლანდო — სიეტლის მატჩი

*მესამე წელია, რაც თბილისში ბავშვთა კალათბურთის აკადემია არსებობს. მის საქმიანობას პირველივე დღიდან საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი უძღვება და უნდა ითქვას, უნარიანადაც. ჯერ ერთი, ჩვენი ქვეყნის კვალობაზე მართლაც საშური პირობები შეექმნათ კალათბურთის დაწაფებულ ნორჩებს, გარდა ამისა, აკადემიელმა ყმაწვილებმა ამ მცირე დროში უცხოეთშიც არაერთხელ იმოგზაურეს, იქაურ თანატოლებს გაეჯიბრნენ და თავისთავად ცოდნაც გაიღრმავეს.*

*გუშინ აკადემიის დირექტორს, ბესიკ ლიპარტელიანს ვეწვიეთ და ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე საუბარი, გარკვეულწილად შარშანდელი წლის შეჯამება ვთხოვეთ. აქედანაც ნათლად გამოჩნდა მისი გუნდის სწორად აღებული გეზი და ის მიზანი, რასაც აკადემია ემსახურება. — რაც შეიძლება მეტი და მაღალი კლასის მოთამაშე უნდა აღვუზარდოთ ქვეყანას — ადრეც არაერთხელ უთქვამს ბატონ ბესიკს...*



„სიეტლ სუპერსონიქსის" სუპერვარსკვლავი გერი პეიტონი (შუაში) გია სანაძის (მარცხნივ) და გელა დარსაძის გარდა აკადემიის მოსწავლეებმაც გაიცნეს

**— ამ ერთი წლის განმავლობაში თქვენმა აღსაზრდელებმა რამდენიმე უცხოურ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა. ჩანს, ფინანსურად აკადემია მყარად დგას ფეხზე...**

— არ გვიჭირს, მაგრამ თავზეც არ გადაგვდის. აკადემია თვითდაფინანსებაზეა და ასე თუ ისე თავს ინახავს. უსახსრობის გამო ამა თუ იმ ტურნირზე გამგზავრებისგან ბევრჯერ შეგვიკავებია თავი, მაგრამ ხშირად ბიუჯეტის უკანასკნელი კაპიკიც გაგვიღია, რათა ბავშვები სადმე წაგვეყვანა და რაიმე ახალი ენახათ, შეესწავლათ. უამისოდ არაფერი გამოვა. თუ გუნდები უცხოეთში არ მოვავლინეთ, ყველანაირი მცდელობა ფუჭი იქნება, მარტო საქართველოს პირველობებზე თამაში სასურველ შედეგს არ მოგვიტანს.

**— ქვეყნის პირველობებზე უკვე გამოჩნდნენ აკადემიის გუნდები?**

— შარშან ბავშვთა ლიგის ორ ასაკში გავიყვანეთ გუნდი, 1987 წელს დაბადებულთა შორის სულაც ჩემპიონები გავხდით. თოთხმეტი მონაწილე გუნდიდან საუკეთესო სწორედ აკადემიისა აღმოჩნდა.

**— ახლა უცხოურ ამბებზეც გვითხარით...**

— თავიდანვე გეტყვით, ამ ეტაპზე შედეგს არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ, შესაბამისად, მწვრთნელებსაც არ ვთხოვთ, მაინცდამაინც გამარჯვებულები დაგვიბრუნდნენ ტურნირებიდან, რადგან ჩვენთვის ეს არ გახლავთ მთავარი. უფრო მნიშვნელოვანი ისაა, ბავშვებმა მეტი სათამაშო პრაქტიკა შეიძინონ და ჩვენც საშუალება მოგვეცეს, ჩვენი სადღეისო დონე და კონდიცია სხებისას შევადაროთ. გეტყვით, რომ ამ მხრივ უცხოელებს დიდად არ ჩამოვრჩებით, ისეთი საკალათბურთო ქვეყნის გუნდებს, როგორიც ლიტვაა, შეიძლება ითქვას, ტოლ-სწორად ეთამაშებიან ჩვენებური პატარები.

წლეულს სულ ოთხი გასვლა გვქონდა. თებერვალში 10-11 წლის ბავშვები გავგზავნეთ ამერიკაში, კერძოდ, ფლორიდას შტატში, თან სამი მწვრთნელიც გავაყოლეთ — ნიკოლოზ დერიუგინი, გია სანაძე და გელა დარსაძე. თავდაპირველად მათ ერთ-ერთ იქაურ ტურნირში მიიღეს მონაწილეობა, რის შემდეგაც საგანაგებოდ ქართველებისთვის კალათბურთის ამერიკელმა სპეციალისტებმა რამდენიმედღიანი ვარჯიშები გამართეს. გარდა ამისა, ჩვენი დელეგაცია „ორლანდო" — „სიეტლის" მატჩს დაესწრო, რაც პატარებისთვის დღესასწაული იყო. სამწუხაროდ, იმ დღეს „სიეტლის" რიგებში ჩვენებურ ვლადიმერ სტეფანიას არ უთამაშია, მაგრამ ამან ბავშვების სიხარული ოდნავადაც ვერ გაანელა.

აპრილში კაუნასში გავუშვით 1988-89 წლებში დაბადებული ნორჩები. ლიტვაში არვიდას საბონისის სკოლამ მიგვიპატიჟა და შვიდი მატჩიც იქ გამართეს ჩვენებურებმა. მაისში კი იტალიაში, ოცდათორმეტგუნდიან ტურნირში ცადეთ ძალა. ყველაფერი იდეალურად იყო ორგანიზებული, ბავშვებმა ენით აუწერელი სიამოვნება განიცადეს.

**— სულ ახლახან მაკედონიის დედაქალაქ სკოპიედან დაბრუნდა აკადემიის გუნდი. რამდენადაც ვიცით, იქ ფიბა-ს ეგიდით მოწყობილ ტურნირში იასპარეზეთ...**

— ასეა. წლეულს პირველად გაიმართა ევროპის ჩემპიონატი თოთხმეტწლამდელებს შორის და არც ჩვენ გამოვაკლდით ამ ღონისძიებას. ფიბა-ს მიზანია, ბავშვები, სანამ კადეტთა ასაკს მიაღწევენ, ამ ასაკშიც ათამაშონ. რაც შეეხება შედეგს, სამწუხაროდ, მხოლოდ მესამე ადგილზე გავედით და ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება ვერ მოვიპოვეთ. არაფერია, ეს აკადემიის აღსაზრდელთათვის პირველი ოფიციალური ტურნირი იყო, მერე და მერე, ცხადია, შედეგზეც ვიზრუნებთ.

**— სადღეისოდ რამდენი ბავშვი გყავთ და რამდენი ჯგუფი ფუნქციონირებს აკადემიაში?**

— კალათბურთელთა რიცხვი 170-მდე აღწევს, რომლებიც თერთმეტ ჯგუფში არიან განაწილებულნი. სამომავლოდ კიდევ უფრო გაიზრდება მათი რიცხვი, არ დაგიმალავთ, ამ ეტაპზე მეტს ვერ გავწვდებით. ჩვენი უახლოესი გეგმები სატრენაჟოროს მოწყობას, დარბაზების შეკეთებას და მთელი რიგი სამუშაოების ჩატარებას ითვალისწინებს, მერე კი ვნახოთ.

**— რამდენადაც ვიცით, კლუბის შექმნაც გსურთ, ისეთის, ეროვნულ ჩემპიონატში სერიოზულ მიზნებს რომ დაისახავს...**

— ადრე თუ გვიან აკადემიას აუცილებლად ეყოლება ძლიერი კლუბი. ამაზე ამთავითვე ვზრუნავთ, ვაპირებთ, წლეულსვე ჩავრთოთ ჩვენი გუნდი ქვეყნის პირველობაში, რის საშუალებასაც ფედერაციის მიერ შემუშავებული ჩემპიონატის ჩატარების ახლებური სისტემა იძლევა. დავიმატებთ რამდენიმე უფროსი ასაკის კალათბურთელს და მეორე ეტაპიდან ჩავებმებით გათამაშებაში, თუმც საიმისო პოტენცია ჯერ არ გვაქვს, ქვეყნის ელიტარულ კლუბთა შორის დავიმკვიდროთ ადგილი. ამაზე ფიქრი ჯერ ადრეა, დროა საჭირო, წამოიზრდებიან ჩვენი ბიჭები, იმედისმომცემ კალათბურთელებთან კონტრაქტებს გავაფორმებთ და ნელ-ნელა გუნდიც დაკომპლექტება. გვსურს, მხოლოდ ჩვენი ძალებით მივაღწიოთ წარმატებას, აკადემიის სკოლაგამოვლილებმაც თქვან თავიანთი სიტყვა ქართულ კალათბურთში.

**გიორგი ბიჭაშვილი**

# სავარაუდო ხუთეულები 55 დღით ადრე

*ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი ჩემპიონატის დაწყებამდე 55 დღე დარჩა, მაგრამ გუნდებმა თითქმის დაასრულეს შემადგენლობების დაკომპლექტება. გთავაზობთ მომავალი სეზონისთვის ლიგის ყველა გუნდის სავარაუდო სასტარტო ხუთეულებს და უპირველეს შემცვლელებს. ხუთეულებში მოთამაშეები ამპლუების მიხედვით არიან დალაგებულნი — გამთამაშებელი, მსროლელი, ფრთა, თავდამსხმელი, ცენტრი.*

### ატლანტა ჰოქსი

**ხუთეული:** ჯეისონ ტერი, ჯიმ ჯეკსონი, როშონ მაკლეოდი, ალან ჰენდერსონი, დიკემბე მუტომბო.

**შემცვლელები:** ენტონი ჯონსონი, დემარ ჯონსონი, ლორენცენ რაიტი.

### ბოსტონ სელტიქსი

**ხუთეული:** კენი ანდერსონი, პოლ პირსი, ადრიან გრიფიტი, ანტუან უოლკერი, ვიტალი პოტაპენკო.

**შემცვლელები:** ტონი ბეტი, კალბერტ ჩინი, რობერტ პეკი.

### შარლოტ ჰორნეთსი

**ხუთეული:** დევიდ ვესლი, ჯამალ მაშბურნი, დერიკ კოულმენი, ფი ჯეი ბრაუნი, ელდენ კემპბელი.

**შემცვლელები:** ბარონ დევისი, ედი რობინსონი, ოტის ტორპი.

### ჩიკაგო ბულზი

**ხუთეული:** ჯამალ კროუფორდი, რონ მერსერი, მარკუს ფიზერი, ელტონ ბრენდი, დრაგან ტარლაჩი.

**შემცვლელები:** რონ არტესტი, პერსი მოკინსი.

### კლივლენდ კავალიერზი

**ხუთეული:** ანდრე მილერი, ვესლი პერსონი, ლემონდ მიურეი, რობერტ ტრეილორი, ზიდრუნას ილგაუსკასი.

**შემცვლელები:** ბრევინ ნაითი, ტრაიან ლენგდონი, კრის მიმი.

### დეტროიტ პისტონზი

**ხუთეული:** ჩაკი ატკინსი, ჯერი სტეკჰაუზი, სედრიკ სებალოსი, ბენ უოლესი, მიკი მური.

**შემცვლელები:** მატინ კლივზი, ჯონ ვოლესი, ლოი ვოიტი.

### ინდიანა პეისერზი

**ხუთეული:** ჯალენ როუზი, რეჯი მილერი, ოსტინ კროშერი, ჯერმენ ონილი, რიკ სმიტსი.

**შემცვლელები:** ტრევის ბესტი, ელ ჰარინგტონი, სემ პერკინსი.

### მაიამი ჰითი

**ხუთეული:** ტიმ ჰარდევეი, ედი ჯონსი, ენტონი მეისონი, ბრაიან გრანტი, ალონზო მორნინგი.

**შემცვლელები:** ენტონი კარტერი, რიკი დევისი, დან მარლი.

### მილუოკი ბაქსი

**ხუთეული:** სემ კასელი, რეი ალენი, გლენ რობინსონი, ჯეისონ კეფი, ერვინ ჯონსონი.

**შემცვლელები:** ჯოელ პრჟიბილა, მაიკლ რედი, ტიმ ტომასი.

### ნიუ ჯერსი ნეთსი

**ხუთეული:** სტივენ მარბერი, კენდალ გილი, კენიონ მარტინი, კიტ ვან ჰორნი, ჯიმ მაკილვეინი.

**შემცვლელები:** ევან ეშმეიერი, ჯეიმი ფეიკი.

### ნიუ იორკ ნიქსი

**ხუთეული:** ჩარლი ვორდი, ალან ჰიუსტონი, ლატრელ სპრიუელი, მარკუს კემბი, პატრიკ იუინგი.

**შემცვლელები:** კრის ჩაილდსი, ლარი ჯონსონი, კურტ ტომასი.

### ორლანდო მეჯიქი

**ხუთეული:** დარელ არმსტრონგი, ტრეისი მაკგრეიდი, გრანტ ჰილი, ბო აუთლოუ, ჯონ ამაეჩი.

**შემცვლელები:** დი ბრაუნი, მაიკლ დოლიკი, მაიკ მილერი.

### ფილადელფია 76

**ხუთეული:** ერიკ სნოუ, ალენ აივერსონი, ტონი კუკოჩი, ტაირონ ჰილი, თეო რეტლიფი.

**შემცვლელები:** მეტ გეიგერი, ჯორჯ ლინჩი, აარონ მაკკი.

### ტორონტო რეპტორზი

**ხუთეული:** მარკ ჯეკსონი, ვინს კარტერი, კორლის ვილიამსონი, ჩარლზ ოკლი, ანტონიო დევისი.

**შემცვლელები:** მორის პეტერსონი, კევინ ვილისი.

### ვაშინგტონ ვიზარდსი

**ხუთეული:** როდ სტრიკლენდი, მიჩ რიჩმონდი, მაიკლ სმიტი, ჯუონ ჰოვარდი, ჯაჰიდი ვაითი.

**შემცვლელები:** ობინა ეკეზიე, რიჩარდ ჰამილტონი, დენის სკოტი.

### დალას მავერიქსი

**ხუთეული:** ჰოვარდ ეისლი, მაიკლ ფინლი, დირკ ნოვიცკი, გერი ტრენტი, შონ ბრედლი.

**შემცვლელები:** ჰუბერტ დევისი, კრისტიან ლეიტნერი, სტივ ნეში.

### დენვერ ნაგეთსი

**ხუთეული:** ნიკ ვან ექსელი, ტარიკ აბდულ ვაჰადი, ჯორჯ მაკლაუდი, ანტონიო მაკდაიესი, რიფ ლაფრენცი.

**შემცვლელები:** კიონ კლარკი, ჯეიმს პოუზი, ბრაიანტ სტიტი.

### გოლდენ სტეიტ ვორიორზი

**ხუთეული:** მუკი ბლეილოკი, ლარი ჰიუზი, ანტაუნ ჯემისონი, დანი ფორტსონი, ერიკ დამპიე.

**შემცვლელები:** ადონალ ფოილი, კრის მილზი, ბობ სურა.

### ჰიუსტონ როკიტსი

**ხუთეული:** სტივ ფრენსისი, შენდონ ანდერსონი, უოლტ ვილიამსი, მორის ტეილორი, ჰაკიმ ოლაჯუონი.

**შემცვლელები:** კელვინ კატო, კუტინო მობლი, მუჩი ნორისი.

### ლოს ანჯელეს კლიპერსი

**ხუთეული:** კეიონ დულინგი, კვენტინ რიჩარდსონი, ლამარ ოდომი, დერიკ სტრონგი, მაიკლ ოლოვოკანდი.

**შემცვლელები:** კორი მეჯიტი, დარიუს მაილზი, ტაირონ ნესბი.

### ლოს ანჯელეს ლეიკერსი

**ხუთეული:** რონ ჰარპერი, აიზია რაიდერი, კობი ბრაიანტი, რობერტ ჰორი, შაკილ ონილი.

**შემცვლელები:** დერიკ ფიშერი, რიკ ფოქსი, ტრევის ნაითი.

### მინესოტა ტიმბერვულვზი

**ხუთეული:** ტერელ ბრენდონი, ჩონსი ბილაფსი, ვალი შჩერბიაკი, კევინ გარნეტი, რადოსლავ ნესტეროვიჩი.

**შემცვლელები:** უილიამ აივერი, ენტონი პილერი, ჯო სმიტი.

### ფინიქს სანზი

**ხუთეული:** ჯეისონ კიდი, პენი ჰარდევეი, კლიფორდ რობინსონი, ტომ გულიოტა, ლუკ ლონგლი.

**შემცვლელები:** ტონი დელკი, შონ მერიონი, როდნი როჯერსი.

### პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი

**ხუთეული:** დეიმონ სტუდემაიერი, სტივ სმიტი, სკოტი პიპენი, რაშიდ ვოლესი, არვიდას საბონისი.

**შემცვლელები:** დეილ დევისი, შონ კემპი, ბონზი ველსი.

### საკრამენტო კინგზი

**ხუთეული:** ჯეისონ ვილიამსი, დუგ კრისტი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი, კრის ვებერი, ვლადე დივაცი.

**შემცვლელები:** ნიკ ანდერსონი, ჯონ ბერი, სკოტ პოლარდი.

### სან ანტონიო სპურზი

**ხუთეული:** ეივერი ჯონსონი, დერიკ ანდერსონი, შონ ელიოტი, ტიმ დანკანი, დევიდ რობინსონი.

**შემცვლელები:** ანტონიო დანიელსი, ჯარენ ჯეკსონი, მალიკ როუზი.

### სიეტლ სუპერსონიქსი

**ხუთეული:** გერი პეიტონი, ბრენტ ბერი, რუბენ პატერსონი, ვინ ბეიკერი, ჰორას გრანტი.

**შემცვლელები:** რაშარდ ლუისი, დესმონდ მეისონი, ჯელანი მაკკოი.

### იუტა ჯაზი

**ხუთეული:** ჯონ სტოქტონი, ჯონ სტარქსი, ბრაიონ რასელი, კარლ მელოუნი, ოლდენ პოლინაისი.

**შემცვლელები:** დენი მენინგი, დონიელ მარშალი, ჯეკი ვონი.

### ვანკუვერ გრიზლიზი

**ხუთეული:** მაიკ ბიბი, მაიკლ დიკერსონი, შარიფ აბდურ-რაჰიმი, ოტელა ჰარინგტონი, ბრაიანტ რივზი.

**შემცვლელები:** მაჰმუდ აბდულ-რაუფი, აიკ ოსტინი, სტრომილ სვიფტი.

## ოლიმპიური ამბები

# არც ისე წვიმდა, ტომიანოვიჩს რომ ეგონა

**აშშ 95:66 ესპანეთი**

**აშშ: პეიტონი (10), ალენი (10), სმიტი (6), გარნეტი (4), მურნინგი (8); ჰიუსტონი (10), კარტერი (10), მაკდაიესი (9), ბეიკერი (8), კიდი (7), პარდევეი (7), აბდურრაჰიმი (6)**

**ესპანეთი: როდრიგესი (2), ხიმენესი (5), დე ლა ფუენტე (1), რეიესი (13), დუენიასი; ერეროსი (14), ნავარო (9), როჯერსი (8), გარბახოსა (8), ლოპესი (5), ა. ანგულო (1), დე მიგელი**

სანამ ამერიკელები ესპანელებს შეხვდებოდნენ, მათმა მწვრთნელმა რუდი ტომიანოვიჩმა მომავალი მეტოქე ასე დაახასიათა: ძალიან ძლიერი გუნდია, მებრძოლი, აგრესული თამაშის მიმდევარი და ჩვენი სტილის მოთამაშეებიც ჰყავსო. ერთი სიტყვით, ტომიანოვიჩმა მეტოქის შეფასებისას სიფრთხილე გამოჩინა და ესპანელებს ძლიერი მოწინააღმდეგე უწოდა. თუმც, როგორც მატჩმა დაადასტურა, ამერიკელთა თავკაცის წინდახედულობა ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტი იყო. მსოფლიოს უძლიერეს კალათბურთელებთან ჭიდილში ესპანეთს პირობითად თუ ეთქმის ძლიერი მოწინააღმდეგე.

ეს შეხვედრა იაპონიაში, ტოკიოს მახლობელ ქალაქ საიტამაში, 5 სექტემბერს გაიმართა და ამერიკელთათვის რიგით მესამე საგამოფენო მატჩი გახლდათ. ოლიმპიურ ჩემპიონთა დაჯაბვნა ნებისმიერი გუნდისთვის გმირობის ტოლფასი იქნება და მის მეტოქეთაგან ამას არც არავინ ითხოვს — ისიც საქმეა, თუ „დრიმ თიმს“ დიდ წინააღმდეგობას გაუწევენ. მართალი რომ ითქვას, ესპანეთმა ეს მოახერხა.

ცნობილია, რომ აშშ-ის გუნდი არცთუ ტანმაღალია, ყველაზე დიდები 211-სანტიმეტრიანი ვინ ბეიკერი და კევინ გარნეტი არიან. ესპანელებმაც ამ უპირატესობის ხარჯზე სცადეს ფონს გასვლა და სასტარტო ხუთეულში ცენტრ დუენიასის გარდა სამი თავდამსხმელი და მხოლოდ ერთი უკანახაზელი დააყენეს. ამის წყალობით პირინეელებმა მოხსნებაში 45:44 იმარჯვეს. ისინი განსაკუთრებით პირველ ნახევარში მძლავრობდნენ ფარზე, რამაც საშუალება მისცათ, ძალიან არ შერცხვენილიყვნენ.

თავდაპირველად ამერიკელები 9:2 დაწინაურდნენ მარდი უკანახაზელების — პეიტონისა და ალენის წყალობით, მაგრამ ესპანეთმა იმდენი იბრძოლა, სანამ 13:11 წინ არ გავიდა. აქ ოცნების გუნდმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ჯეისონ კიდის ზედიზედ მოპოვებული შვიდი ქულის წყალობით ჯერ 22:15 დაწინაურდა, შემდეგ ალან ჰიუსტონმაც ცოტა ოფლი მოიდინა, ერთ წუთში ორი სამქულიანი და ერთი ორქულიანი ჩააგდო და სხვაობა 17 ქულამდე გაზარდა — 45:28. აქ ამერიკელებმა თავს მოდუნების უფლება მისცეს და საკუთარ კალათში ექვსი ქულა მიიღეს. ტაიმიც ასე დამთავრდა — 45:34.

მეორე ნახევარში ამერიკელებმა დაცვით მარწუხებს მოუჭირეს და ესპანეთიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბოლო ორი სეზონის დაცვის საუკეთესო მოთამაშემ და ამერიკელთა ერთადერთმა ცენტრმა ალონზო მურნინგმა შეტევაშიც ივაჟკაცა და ზედიზედ ხუთი ქულა მიითვალა, სხვებმაც გამოიჩინეს თავი. მაშინ, როცა ესპანელებს თორმეტი წუთის განმავლობაში თამაშიდან ბურთი არ ჩაუგდიათ, მათმა მკვირცხლმა მეტოქეებმა — ვინს კარტერმა და რეი ალენმა ჩატენვების კონკურსი მოაწყვეს და ერთმანეთს გაეჯიბრნენ. მათმა გუნდმა მეორე ნახევრის საწყისი 11 წუთი 27:4 მოიგო და 72:38 დაწინაურდა. ესპანელები მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ, თუმც მათ თავგამოდებას შედეგი არ მოუტანია.

„შესვენებაზე ჩვენ ვისაუბრეთ ჯარიმებზე, სწრაფ პასებსა და მოხსნებზე. ბიჭებმა მოინდომეს, დაცვაში უკეთ გაისარჯნენ და პრობლემებიც მოიხსნა — ამბობს რუდი ტომიანოვიჩი — ვფიქრობ, ჩვენი ძირითადი უპირატესობა დაცვაა“.

„ჩემი აზრით, მეორე ნახევარში ისე ვითამაშეთ, გულშემატკივარი რომ ელოდა. ჩვენ ვიცით დაცვაში თამაში და ამასთან, კარგი იქნებოდა, თუ მეტოქეს ერთ შეტევაზე ერთ სროლაზე მეტს არ გავაკეთებინებთ. ასე საქმე უფრო გაადვილდება“ — ამბობს ამერიკელთა ერთ-ერთი კაპიტანი ჯეისონ კიდი.

**ირაკლი ფირუმვილი**




REUTERS ფოტოქრონიკა

ამერიკელი რეი ალენი (№12) როდრიგო დე ლა ფუენტეს წინააღმდეგ




ვინს კარტერი (№9)

# ოქროს მოსაგებად საკმარისად კარგები ვართ

*ვინს კარტერი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალთაობის ვარსკვლავთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია. რამდენიმე თვის წინ მოწყობილ გამოკითხვაში, თუ ვინ იქნება მომავალი ათასწლეულის საუკეთესო მოთამაშე, გამოკითხულთა ყველაზე დიდმა ნაწილმა სწორედ მას მისცა ხმა. ეს ისე, სიმბოლურად. მიუხედავად ამისა, ვინს კარტერი თავდაპირველად არც შეუყვანიათ „დრიმ თიმში“, იქ იგი მხოლოდ ტომ გულიოტას ტრავმის შემდეგ მოხვდა. ამის გამო კარტერი ამ ფაქტს გულგრილად მოეკიდა და ლამის უარიც თქვა, მაგრამ ჭკუას მოუხმო და სიდნეიში წასვლაზე დათანხმდა. ახლა კარტერი ბედნიერია იმით, რომ გუნდთან ერთად ოლიმპიურ ოქროს ჭედავს.*

**— როგორია, გრძნობდეთ თავს ამერიკული კალათბურთის ისტორიის ნაწილად?**

— მშვენიერი გრძნობაა აშშ-ის ნაკრების მაისურის ჩაცმა და სურათების გადაღება. 12 კაცი ვაპირებთ, ოქროს მედალი მივუპოვოთ ქვეყანას. მე ვუყურებდი „დრიმ თიმ I“ და „დრიმ თიმ II“-ს, ახლა კი მისი შემადგენელი ნაწილი ვარ. ეს ნამდვილად საოცარი გრძნობაა. ამასთან, ეს გზა „დიდების დარბაზამდე“ მიდის. მანამდე კი იქნებ ნბა-ს ჩემპიონობამდეც, ასარჩევად რომ მქონდეს საქმე, აუცილებლად ოლიმპიურ ჩემპიონობას ავირჩევდი, რადგან ამით ოქროს იმ ქვეყანასაც მოვუტანდი, სადაც ვცხოვრობ.

**— ოლიმპიური გმირი თუ გყავთ?**

— ადრე კარლ ლუისის დიდი გულშემატკივარი ვიყავი. დედაჩემს ძალიან უყვარს მძლეოსნობა. კალათბურთის გარდა ჩვენ ყოველთვის ვუყურებთ მძლეოსნობას. რაღა თქმა უნდა, ვუცქერდი „დრიმ თიმის“ თამაშებს. იმედი მაქვს, ჩვენც იმავეს მივაღწევთ, რასაც ჩვენმა წინამორბედებმა. ჩვენზე არ ითქმის, ყველა დროის უძლიერესიაო, ჩვენი გუნდი მხოლოდ საკმარისად კარგია იმისთვის, რომ ოქრო მოიპოვოს.

**— რა იგრძენით, როდესაც „დრიმ თიმ I“-მა ოქრო მოიპოვა?**

— ძალიან გამიხარდა. ამოვისუნთქე, როდესაც ჩვენებმა თავი დახარეს, რათა ოქროს მედლები ჩამოეკიდათ. მთელი დარბაზი ფეხზე წამომდგარი ესალმებოდა მათ. ძალიან მომინდა, მეც იქ ვყოფილიყავი.

**— რით განსხვავდება ოლიმპიური გუნდი „ოლ სტარის“ გუნდისგან?**

— ოლიმპიური ჩემპიონობა უდიდესი ჯილდოა კარიერაში. „ოლ სტარი“ უბრალოდ საჩვენებელი შეხვედრაა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ოლიმპიადაზე კი შენ წარმოადგენ შეერთებულ შტატებს, ნბა-ს. აქ თავს მეტს სთხოვ. ხალხიც მხოლოდ გამარჯვებას ელის შენგან. ვიცი, ბევრს ჰგონია, რომ ოქრო უკვე ხელში გვიჭირავს, მაგრამ მე ამას ნამდვილად ვერ დავიჯერებ პირველ ოქტომბრამდე.

**— იყო თქვენი მიზანი „დრიმ თიმში“ მოხვედრა?**

— ველოდი იმ დღეს, როდესაც ნაკრებში დამიძახებდნენ. მე აქ მოვედი და ვცდილობ, გავილო ყველაფერი, რაც შემიძლია.

**— ბედნიერი ხართ თუ არა, რომ ამ გუნდში მოხვდით, ასეთი დიდი მოთამაშეების გვერდით?**

— რა თქმა უნდა. ჩვეულებრივ, ჩვენ ერთმანეთის მოწინააღმდეგენი ვართ, მაგრამ ახლა გავერთიანდით, ერთად ვვარჯიშობთ და მუდამ ვცდილობ, მათგან რაღაც ვისწავლო.

**— ამ ერთად ყოფნას თუ გამოიყენებთ თანაგუნდელთა ახლოს გასაცნობად?**

— თითქმის ყველას ვიცნობ. კევინ გარნეტს, შარიფ აბდურ-რაჰიმს და მე ერთად გვითამაშია სკოლაში. საქველმოქმედო მატჩებში მომიწია ვინ ბეიკერის და სტივ სმიტის გვერდით ყოფნამ. ისე კი მთავარია, მოედანზე გავუგოთ ერთმანეთს.

## ევროპული ამბები

### თურქეთი

# ფენერბაჰჩეს იუგო-ამერიკული დუპლეტი

**სტამბოლის** „ფენერბაჰჩე“ უცხოელ მოთამაშეებს ეძებდა. კლუბმა იუგოსლაველ დრაგან ლუკოვსკის და ამერიკელ საილას მილზს დაადგა თვალი და მოლაპარაკებაც გაუბა. სტამბოლელებმა ორივეს გაუგზავნეს კონტრაქტები და მათი პირობების გაცნობა სთხოვეს. გუშინ კი „ფენერბაჰჩეს“ ოფისში ორი ფაქსი მივიდა — ცალკე ლუკოვსკიმ და ცალკე მილზმა კონტრაქტები დააბრუნეს, ოღონდ თავიანთი ავტოგრაფებითაც დაამშვენეს. ეს ნიშნავს, რომ ორივე კალათბურთელს აკმაყოფილებს „ფენერბაჰჩეს“ მიერ შეთავაზებული პირობები. კონტრაქტები ოფიციალურად თვის ბოლოს გაფორმდება.

25 წლის ლუკოვსკი უკანახაზელია და ამჟამად ჰონკონგში იმყოფება, სადაც იუგოსლავიის ნაკრების შემადგენლობაში სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებელ „ბრილიანტის ბურთის“ ტურნირში მონაწილეობს. მართალია, იუგოსლავიას ჯერ არ დაუსახელებია საოლიმპიადო, თორმეტკაციანი შემადგენლობა, მაგრამ ლუკოვსკის ბედი გარკვეულია. მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი მას ენდობა და სიდნეიშიც იახლებს.

ლუკოვსკის სიმაღლე 191 სანტიმეტრია. მიუხედავად ამისა, ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი და სწრაფია. შეუძლია როგორც გამთამაშებლობა, ისე მსროლელობა. მისი პროფესიული კარიერა სუბოტიცას „სპარტაკში“ დაიწყო და ერთი წლის შემდეგ „ნოვი სადში“ გაგრძელდა. 1995 წელს ლუკოვსკი ბელგრადის „პარტიზანში“ მივიდა, რომლის რიგებშიც 1999 წელს იუგოსლავიის თასი მოიპოვა. შარშან დრაგანი „პარტიზანის“ უმთავრესი და უპრინციპულესი მეტოქის — ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ წევრი გახდა და ევროლიგაშიც იასპარეზა. ლუკოვსკის უთამაშია იუგოსლავიის ყველა ასაკობრივ ნაკრებში, ხოლო 1998 წლიდან ეროვნულ გუნდშიც ირიცხება. ევროპის 1999 წლის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

28 წლის საილას მილზი ფორვარდია. წინა სეზონი ამერიკაში, კონტინენტური საკალათბურთო ასოციაციის „იაკიმა სან კინგზში“ გაატარა. მისი საშუალო შედეგიანობა 18,2 ქულა, 7,4 მოხსნა და 3,8 პასი იყო. მილზი ლიგის ბომბარდირთა სიაში მეექვსე ადგილზეა.

ამ ორი შენაძენით „ფენერბაჰჩემ“ დაასრულა უცხოელების აყვანა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ სტამბოლში გადავიდა ამერიკელი ცენტრი ტანოკა ბერდი, რომელმაც წინა სეზონი ესპანეთში, ვალენსიის „პამესაში“ გაატარა.




დრაგან ლუკოვსკი

### იტალია

# მარკონატო ნაკრებს ავსტრალიაში ელის

**იტალიის** ნაკრები ამჟამად ჰონკონგშია და „ბრილიანტის ბურთის“ ტურნირში მონაწილეობს. გუნდის მწვრთნელ ბოგდან ტანიევიჩს ჯერ არ დაუსახელებია საოლიმპიადო, თორმეტკაციანი შემადგენლობა და, ჩანს, ამას უშუალოდ ტურნირის დაწყებამდე არ გააკეთებს. გუშინ ტანიევიჩმა იტალიიდან იხმო „ბენეტონის“ ფორვარდი დენის მარკონატო, რომელიც აქამდე სამშობლოში, ტრევიზოში ინდივიდუალურად ვარჯიშობდა. მარკონატო ავსტრალიაში, ქალაქ პერტში ჩავა და იქ დაელოდება იტალიის ნაკრებს, რომელიც მწვანე კონტინენტს ჰონკონგის ტურნირის მერე ეწვევა.

საზოგადოდ, მარკონატო უმაღლესი დონის კალათბურთელია და იტალიის ნაკრებში მოხვედრა არასდროს უჭირდა. ახლა მისი მდგომარეობა განსაკუთრებულია — მაისში, იტალიის ჩემპიონატის პლეი ოვის ფინალში დაშავდა და მარცხენა კოჭის ოპერაცია გაიკეთა. მარკონატო მაშინვე გამოეთხოვა ოლიმპიადაზე გამგზავრების შანსს, მაგრამ მერე სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა: სამ თვეში ისე გამოჯანმრთელდა, რომ ექიმებმა სრულფასოვანი დატვირთვის და თამაშის ნება დართეს. ტანიევიჩიც ამიტომ იბარებს კალათბურთელს ავსტრალიაში — ოლიმპიადის დაწყებამდე გუნდთან ერთად ავარჯიშებს და თუ დენისი ფორმას აღიდგენს, სასიდნეო შემადგენლობაშიც აუცილებლად ჩართავს.

# სარბიელი

# სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური
ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ახალი ბიურო: გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთაველზე ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“
განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# კერპის მტერი



REUTERS ნიუ იორკიდან

ტოდ მარტინმა ქომაგებთან ერთად გაიხარა

## US OPEN

**ქალები. მეოთხედფინალი: ვინუს უილიამსი (3, აშშ) — ნატალი ტოზია (8, საფრანგეთი) 6:4, 1:6, 6:1.**

ვინუს უილიამსმა 24-ე მატჩი მოიგო მიყოლებით და ზედიზედ მეოთხედ გააღწია აშშ-ის ღია პირველობის ნახევარფინალში, მაგრამ ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტის თამაშს შთამბეჭდავი ამჯერად ნამდვილად არ ეთქმოდა.

32 წლის ვეტერან ნატალი ტოზიასთან შეხვედრაში უიმბლდონის წლევანდელმა ტრიუმფატორმა უამრავი შეცდომა დაუშვა, მობილიზება მეტისმეტად უჭირდა და მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ ზემოხსენებულ ფაქტორებში მას ფრანგმაც არ დაუდო ტოლი.

ტოზიამ მეტოქეს პირველმა აართვა მოწოდება და 4:2 დაწინაურდა, მაგრამ მერე პირველი მოწოდების კორტში მოხვედრების მეტად გამოსადეგი ტრადიცია დაივიწყა და უილიამსს ზედიზედ ოთხი გეიმის მოგებაში თავად შეუწყო ხელი.

იმის ნაცვლად, რომ დაუმსახურებელი წარმატება შეეფერებინა და თავისუფლად ათამაშებულიყო, უფროსმა უილიამსმა სულ აურია და მეორე სეტში 0:5 ჩამორჩა: „იმ მომენტში საკუთარ თავზე ძალიან გაბრაზებული ვიყავი და ასეთ ვითარებაში კარგადაც ვერ ვთამაშობ. უცნაურია, მატჩების დროს ჩვეულებრივ არ ვღიზიანდები, მაგრამ ასე მეგონა, ჩოგბურთის თამაში არც ვიცოდი. ეს დაუშვებელია“.

კიდევ უფრო ცუდ გუნებაზე ვინუსი ერთმა კურიოზულმა ინციდენტმა დააყენა: გეიმებს შორის შესვენების დროს მან საჯდომი სკამს ხეირიანად ვერ დაუმიზნა და პირდაპირ კორტს დაასკდა.

„სიცილი ვერ შევიკავე“ — აღნიშნა მოგვიანებით ტოზიამ, თუმცა ბოლოში გაცინება ფრანგს მაინც არ ეწერა. გაბრაზებულმა ამერიკელმა ჯავრი მეტოქეზე იყარა, გადამწყვეტ სეტში ფანტასტიკურ ბურთებს მიუსწრო და ბადესთან თამაშის მოყვარული ფრანგი უამრავჯერ გააბრიყვა.

„სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი და სკამი არც დამინახავს — მხოლოდ ერთი წამით გაიღიმა პრესკონფერენციაზე მოღუშულმა უილიამსმა — მსუბუქად რომ ვთქვათ, დღეს ჩინებულად ნამდვილად არ მითამაშია, თუმცა მთავარი ის არის, რომ მაინც მოვიგე“.

თავის მხრივ კოლეგების მომდურებაში დაოსტატებულმა ტოზიამ ამჯერადაც არ დააკლო ხელი და მეტოქეს მწარედ უკბინა: „როცა ვინუსს ეთამაშები, ფორესტ გამპის არ იყოს (ოსკაროსანი ფილმის მთავარი, გონებანაკლული პერსონაჟი), არ იცი, რას უნდა ელოდე. ხან სულელურ ბურთებს აცილებს, ხან პირიქით, რთულებს აგდებს. ამიტომ იმის ნაცვლად, რომ საკუთარ თამაშზე იფიქრო, მთელი ყურადღება მასზე გადაგაქვს“.

**მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — მონიკა სელეში (6, აშშ) 6:0, 7:5.**

პატარაობაში მარტინა ჰინგისის საყვარელი ჩოგბურთელი მონიკა სელეში იყო და სიხარულისგან მეცხრე ცაზეც ავიდა, როდესაც 10 წლისა ციურიხში ჩამოსულ თავის კერპს წარუდგინეს: „მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ როდესმე მონიკასთან თამაში მომიხდებოდა. მეგონა, როდესაც მე ტურზე მოვიდოდი, ის სპორტიდან წასული იქნებოდა.“

ჰინგისისთვის, ეტყობა, უფროსების პატივისცემა არავის უსწავლებია და 19 წლის შვეიცარიელიც თავის კერპყოფილს ამჟამად უბრალოდ, სისხლს უშრობს: პირად შეხვედრებში 11:2-ს უგებს, მარტში კი კიბისკეინში სულაც თავი მოსჭრა და 6:0, 6:0 გაანადგურა.

უკეთესს მონიკას არც ამ შეხვედრის დასაწყისი უქადდა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პირველი სეტის მოგებას სულ 13(!) წუთი დაახარჯა და სელეშს ექვსად ექვსი ქულა დაანება.

„არც ისე ვნერვიულობდი, თუმცა ჩემი თამაში სულ სხვაზე მეტყველებს. თავადაც არ ვიცი, რა მოხდა, შეიძლება პანიკაში ჩავვარდი. მარტინა იოლად არც ერთ ქულას არ თმობს და გაიძულებს, ზედმეტად გარისკო“ — თავი იმართლა სელეშმა.

მონიკამ მეორე სეტში მეტად მოინდომა და ხმაურიანი ქომაგობით გამხნევებულმა 3:5-დან მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, თუმცა ეს იყო და ეს.

ახლა ჰინგისს კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის ნახევარფინალში ვინუს უილიამსის წინააღმდეგ: „რამდენი შეხვედრა აქვს ზედიზედ მოგებული? 24? ჰო, მართლა კარგ ფორმაშია. მთავარია, კორტზე დაშინებული არ გამოვიდე და ეს ორი დღე ხეირიანად დავისვენო“.

**კაცები. მეოთხედფინალი: ნიკოლას კიფერი (14, გერმანია) — მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) 6:2, 6:7 (3:7), 6:1, 6:3.**

მარტინას ბოიფრენდის, მაგნუს ნორმანისთვის წლევანდელი „ოუფენი“ გულის მურაზზე გაცილებით ადრე დაიხურა. 24 წლის შვედმა თავისი შესანიშნავი საბრძოლო თვისებები ისევ გამოავლინა და 5 მატჩ-პოინტი გადაარჩინა, თუმცა ქარიან ამინდში ბევრი უნებლიე შეცდომაც დაუშვა.

23 წლის ნიკოლას კიფერმა მატჩისთვის სწორი ტაქტიკა აირჩია — ბურთს ნელი, მოჭრილი დარტყმებით აგდებდა ბადის მეორე მხარეს და მესამე წრეში მარათონული მატჩით ისეც გადაღლილ ნორმანს ქანცს აცლიდა.

„ჩვეულებრივ, ასეთ ბურთებს მაშინვე „მოვკლავდი“, მაგრამ დღეს თითქოს არც გონება მიჭრიდა და არც სხეული მემორჩილებოდა. ორი დღეა, ყელის ტკივილიც მაწუხებს, თუმცა წაგებას ამას ვერ დავაბრალებ. ნიკოლასმა შესანიშნავად ითამაშა. საშინლად იმედგაცრუებული ვარ, მსოფლიოს პირველ ჩოგნად გახდომის შანსი გავუშვი ხელიდან“.

**ტოდ მარტინი (აშშ) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:7 (3:7), 6:7 (7:9), 6:1, 7:6 (8:6), 6:2.**

როდესაც ტოდ მარტინისა და კარლოს მოიას მატჩი დასრულდა, ნიუ იორკში უკვე ღამის ორის ნახევარი გახლდათ და არტურ ეშის სახელობის ცენტრალურ კორტს რამდენიმე ასეული გულშემატკივარი თუ შერჩენოდა, თუმცა ტურნირის უგრძესი, ოთხსაათნახევრიანი მატჩის მოგება ამერიკელს ნაკლებად როდი გახარებია — კორტს ჯერ ჩოგანი დაალეწა, მერე კი ჩორთით წრე დაარტყა და ტრიბუნებიდან გადმოხრილ ქომაგებს ხელი ჩამოართვა.

საფუძველი ნამდვილად არსებობდა. მარტინმა კარიერაში მეშვიდედ გააბათილა ორსეტიანი ჩამორჩენა, გზად მატჩ-პოინტი და 18-დან 17 ბრეიკ-პოინტი გადაარჩინა და რაღა გაემტყუნება, თუ ცოტა უცნაურად იქცეოდა. „თავს საშინლად, მაგრამ ამავე დროს შესანიშნავად ვგრძნობ“ — თქვა მან.

**მარატ საფინი (6, რუსეთი) — ხუან კარლოს ფერერო (12, ესპანეთი) 6:1, 6:2, 6:2; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 6:4, 6:7 (7:9), 6:3, 6:4.**

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS ნიუ იორკიდან

ნატალი ტოზია

## სხვადასხვა



ნიკოლას კიფერი

**ნიკოლას კიფერის** საქმეები „ოუფენზე“ შესანიშნავად მიდის, მაგრამ კორტს მიღმა ნიუ იორკში გერმანელი არც ისე სასიამოვნო დროს ატარებს.

23 წლის ჩოგბურთელი მსოფლიოს დედაქალაქში თავიდან სასტუმრო „U. N. PLAZA“-ში დაბინავდა, სანამ მეფეების, გენერლებისა და პრეზიდენტების „ათასწლეულის შეკრებამ“ ცხოვრება კოშმარად უქცია.

„საშინელი ღამეები გავატარე. მას შემდეგ, რაც სხენგ შალკენთან ვითამაშე, ერთი წუთითაც არ მომისვენია. უკვე რამდენიმეჯერ დარეკეს, სასტუმროში ბომბიაო და ყველგან დაცვა, პოლიცია დგას. ლამისაა, ნერვოზი დამემართოს, სულაც არ მინდა, იქ ვიყო, თუ რამე მოხდება.“

კიფერმა დიდი გაჭირვებით სხვა სასტუმროში იშოვა ნომრები და სამშაბათს იქ გადაბარგდა, მაგრამ საქმეს არც ამან უშველა — ახალ სამყოფელში გუშინ ბილ კლინტონს ელოდნენ.

* * *

**ნიუ იორკის** „მედისონ სკვერ გარდენში“ გატარებული 25 წლის შემდეგ სეზონის დამაგვირგვინებელი WTA-ს მსოფლიოს ჩემპიონატი მომავალი წლიდან მიუნხენში გადაბარგდება.

ეს გასულ კვირას, WTA ტურისა და ორი უმსხვილესი კომპანიის, „გლობალ ტენისისა“ და „ოქტაგონ მენეჯმენტის“ წარმომადგენელთა შეხვედრაზე გადაწყდა. შედეგად ტურნირის საპრიზო ფონდი 50 პროცენტით, 2 მილიონიდან 3 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, ქალთა საჩოგბურთო ასოციაციაც გაცილებით მეტ თანხას მიიღებს, მოთამაშეებს, მასმედიასა და სპონსორებს კი გაცილებით უკეთესი პირობები შეექმნებათ.

„მიუნხენელთაგან მიღებული წინადადება კარგად ასახავს ქალთა ჩოგბურთის მიმართ მსოფლიოში გაზრდილ ინტერესს. ევროპაში ტურნირის გადმოტანა გააფართოვებს სატელევიზიო მაყურებელთა რაოდენობას და აქაურ ქომაგებსაც შესაძლებლობას მისცემს, საუკეთესო მოთამაშეები საქმეში იხილონ“ — ეს ტურის თავკაცის, ბარტ მაკგუაიერის სიტყვებია.

წლეულს ნიუ იორკში ტურნირი 13-19 ნოემბერს გაიმართება, გაისად კი მიუნხენის „ოლიმპიაჰალეში“ ის 29 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდეა დაგეგმილი. ამით WTA კიდევ ერთ კურდღელს იჭერს — სეზონი ორი კვირით შემოკლდება და ჩოგბურთელებს დასვენებისთვის მეტი დრო დარჩებათ.

1972 წლის ოლიმპიადისთვის აშენებული მიუნხენის საჩოგბურთო ცენტრი 11500 მაყურებელს იტევს. კარგა ხნის მანძილზე ის შარშან გაუქმებულ „დიდი სლემის თასს“ მასპინძლობდა.

ტურნირის გერმანიაში გადმოტანა იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მონიკა სელეში ჩემპიონატში ვეღარასოდეს მიიღებს მონაწილეობას. 26 წლის ამერიკელს გერმანიაში 1993 წლის შემდეგ აღარ უთამაშია, რაც შტეფი გრაფის შერეკილმა ფანატმა ჰამბურგში ზურგში დანა ჩაარტყა.

„ჩვენ უკვე ვესაუბრეთ მონიკას, ის კვლავ უარზეა. ეს პირადი გადაწყვეტილებაა და მიზეზიც ყველას გვესმის. მე არ ვაპირებ ის ვაიძულო, ისეთი რამ გააკეთოს, რაც არ სურს“ — აღნიშნა მაკგუაიერმა.

* * *

**საშინელი** ამინდებისა და კაცებში უამრავი ფავორიტის ადრეულად გავარდნის მიუხედავად, წლევანდელ აშშ-ის ღია პირველობაზე მაყურებელთა რაოდენობის რეკორდი ალბათ, მაინც დამყარდება.

ტურნირის პირველი 7 დღის მანძილზე „ფლაშინგ მედოუზის“ კარიბჭეში 362 685 კაცმა გაიარა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს — 348 741.

თუ „ოუფენის“ მატჩებს თვალს ადევნებთ, ჩემსავით გაკვირვებული დარჩებოდით. ტრიბუნები ხშირად მესამედითაც კი არ არის შევსებული. ამ ანომალიის ახსნა მხოლოდ კიდევ ერთი სარეკორდო მაჩვენებლით შეიძლება: საოცრად მაღალი ფასების მიუხედავად, იანკები ტურნირზე შეუჩერებლად ჭამენ და დღეში 50 000 ჰამბურგერსაც შთანთქავენ.

ეტყობა, ბევრ ქომაგს ტრიბუნებზე სიცივესა და წვიმაში დაჯდომას სადმე „ოუფენის“ კაფეში მოკალათება და გიგანტურ ეკრანზე თამაშების ცქერა ურჩევნია.

* * *

**მარტინა ნავრატილოვას** თავგადასავალი წლევანდელ აშშ-ის ღია პირველობაზე სასურველზე გაცილებით ადრე დასრულდა — არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან ერთად წყვილებში მან მესამე წრის მატჩი წააგო მეშვიდედ განთესილ ანკე ჰუბერისა და ბარბარა შეტის დუეტთან 3:6, 2:6.

მოგვიანებით ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ქალ ჩოგბურთელს ჰკითხეს, ნოსტალგიას თუ გრძნობდა ლუი არმსტრონგის სახელობის სტადიონთან გამოთხოვების გამო: „არა, იმიტომ რომ აქ გაისადაც ვაპირებ დაბრუნებას და გაცილებით უკეთ თამაშს. ახლა უბრალოდ გაბრაზებული ვარ, რომ კორტზე საზიზღრად გავისარჯე. აქა-იქ ხეირიანი დარტყმაც გამომდიოდა, მაგრა, სამწუხაროდ, მეტად იშვიათად.“

ნავრატილოვა გაისადაც აპირებს WTA ტურზე ასპარეზობას, ის კი არა, ორ-სამ ტურნირსაც დაუმატებს გრაფიკს. თუმცა მარტინა არც პენსიაზე ყოფნის პერიოდს უჩივის: „სპორტიდან წასვლის შემდეგ ფანტასტიკური დრო გავატარე. ვისწავლე ფრენა და პილოტის ლიცენზია ავიღე, დურგლობაშიც დავოსტატდი და პარტნიორთან ერთად მაგიდებს ვაკეთებ. ხშირად დავდივარ კენიაში და უამრავ სურათს ვიღებ, მეგობრებისა და ოჯახისთვისაც მეტი დრო მრჩება.“

# ხაბარელი პროგნოზს არ გაურბის

## მედალი? ორი, იქნებ სამიც...



**სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზია ექვსმა ქართველმა ძიუდოისტმა მოიპოვა. ნესტორ ხერგიანმა (60) და გიორგი რევაზიშვილმა (73) ეს ჯერ კიდევ შარშანდელ ოქტომბერს ინგლისურ ბირმინგემში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გააკეთეს, როცა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მაშინ სხვებს ხელი მოეცარათ. მათაც რაღა დარჩენოდათ, იანვრიდან მოყოლებული სალიცენზიო ტურნირებში დაიწყეს ინგლისში დაკარგული საგზურების ძებნა და გიორგი ვაზაგაშვილმა (66), გია გუგავამ (90), ივერი ჯიქურაულმა (100) და ალექსი დავითაშვილმა (მძიმე) მიზანსაც მიაღწიეს. გუშინ ეს ექვსეული ოლიმპიური დელეგაციის პირველ ჯგუფთან ერთად სიდნეიში გაფრინდა. გამგზავრებამდე ძიუდოისტთა მწვრთნელ შოთა ხაბარელს გავესაუბრეთ**

**— რას იტყოდით მოსამზადებელ პერიოდზე და გუნდის ამჟამინდელ მდგომარეობაზე?**

— მოსამზადებელი პერიოდი ნაყოფიერი იყო. გუნდმა ყველა დაგეგმილი შეკრება გაიარა. ჯერ ბაკურიანში ვემზადებოდით საერთო ფიზიკურ მომზადებაში, იქიდან ბაზალეთის ტბაზე გადავინაცვლეთ, სადაც ფიზიკურ დატვირთვებს სპეციალურ ვარჯიშებს ვუნაცვლებდით. ბოლო შეკრება ქობულეთში საკონტროლო შეხვედრების თანხლებით გვქონდა.

მზადების ბოლო ეტაპზე ზღვისპირეთი საგანგებოდ ავარჩიეთ, რათა სიდნეის კლიმატს მაქსიმალურად დავახლოებოდით. როგორც გვითხრეს, ახლა იქაც ამგვარი ამინდია და აკლიმატიზაცია არ უნდა გაგვიჭირდეს. თანაც ჩვენი ტურნირი 16-ში იწყება და იქაურობასთან შესაგუებლად დიდი დრო გვაქვს.

მოსამზადებელი პერიოდი ტრავმების გარეშე გავიარეთ. თავიდანვე ისე დავგეგმეთ, რომ გუნდს შესაძლებლობების პიკისთვის სწორედ სიდნეიში მიეღწია. ალბათ, ასეც იქნება. შეკრებებმა დამარწმუნა, რომ გუნდის ყველა წევრი კარგადაა მომზადებული.

**— ევროპის ჩემპიონატის მერე, რომელიც მაისში პოლონეთში ჩატარდა, გუნდი არც საერთაშორისო ტურნირებში გამოსულა და არც სხვა ნაკრებებთან ჰქონია სპარინგები. რატომ?**

— ევროპის პირველობის მერე ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად საგანგებო გეგმა შევიმუშავეთ. ტურნირებზე გამოსვლა საჭიროდ არ ჩავთვალეთ და მთელი ყურადღება შეკრებებზე გადავიტანეთ.

ამ ეტაპზე არც სპარინგებზე გვიფიქრია. ასეთ მნიშვნელოვან მომენტში არც ერთი ძლიერი გუნდი, რომელიც სერიოზულ მიზნებს ისახავს, ერთობლივ ვარჯიშებზე არ დათანხმდება. მზადების პროცესი ბევრ თავისებურებას შეიცავს და საკუთარ სამზარეულოში არავინ ჩაგახედებს. ამგვარ ნაბიჯზე ისეთი გუნდი თუ წამოვა, რომელსაც ქვეყანაში სერიოზული სპარინგების საშუალება არა აქვს.

**— კოლეგებისგან განსხვავებით, პროგნოზებისგან თავს არასოდეს იკავებდით. სიდნეიში რას გეგმავთ?**

— ამაზე სპორტის დეპარტამენტის კოლეგიაზეც ითქვა — ორი მედალი აუცილებლად უნდა ავიღოთ. თუ ბედმა გაგვიღიმა, მესამესაც მოვიპოვებთ, ოღონდ ტატამს მიღმა მოვლენებიც გასათვალისწინებელია — მსაჯების ფაქტორი, მდიდარი ქვეყნების გავლენა...

**— მედლების ხარისხს ვერ დაგვიზუსტებთ?**

— იღბალი თუ არ შეგვიბრუნდა, ერთი მაინც უნდა იყოს უმაღლესი ხარისხის.

**— ჩემპიონობის პრეტენდენტებად ვინ გეგულებათ?**

— მოდით, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ბიჭები კარგად არიან მომზადებული და არ მინდა, ვინმეს გული ვატკინო. დაველოდოთ მოვლენებს.

**— დაველოდოთ, მაგრამ მანამდე გუნდის ლიდერებზე — ხერგიანზე, ვაზაგაშვილსა და რევაზიშვილზე საგანგებოდ ვთქვათ.**

— დანარჩენებს არ ეწყინებათ, თუ ვიტყვი, რომ ეს ბიჭები გუნდში მართლაც ლიდერები არიან არა მხოლოდ დღევანდელობით, არამედ თავიანთი წარსულითაც. ისინი მშვენივრად გრძნობენ თავს. განწყობილებაც კარგია, საბრძოლო. თუმცა ოლიმპიადა მაინც სხვაა და იქ რა იქნება, კაცმა არ იცის, მაგრამ მჯერა ბიჭების, მათი გამოცდილების. ისინი ემოციებს იოლად არ აჰყვებიან.

**— ვაზაგაშვილმა ავადმყოფობის გამო ევროპის ჩემპიონატი გამოტოვა, ახლა როგორაა?**

— სანერვიულო არაფერია. ვაზაგაშვილიც და სხვებიც კარგად არიან, უმნიშვნელო ტრავმებიც არ აწუხებთ. გუნდში, როგორც გითხარით, საბრძოლო განწყობილებაა, რასაც ერთმა ფაქტმაც შეუწყო ხელი — დეპარტამენტმა სპორტსმენებს ყველა ვალი ბოლომდე გაუსტუმრა. ახლა ჯერი ჩვენზეა. ჩვენი გუნდისგან ყველა მედალს ელის. ასეთი ნდობა კარგია, მაგრამ ფსიქოლოგიურ ტვირთადაც გვაწევს.

**ირაკლი თაგაძე**

# ქურდული ამბავი

***სიდნეის ოლიმპიადის მონაწილეებს ორგანიზატორებმა სიფრთხილისკენ მოუწოდეს. მწვანე კონტინენტის ორი სტუმარი უკვე გაქურდეს.***

არაა გამორიცხული, ქურდობის შემთხვევები კიდევ განმეორდეს. ბრიტანელმა თარჯიმნენმა კოლინ ჯექსონმა კვირას 5000 დოლარი მოისაკლისა, ხოლო მომდევნო დღეს კანადელ მარკ ბოსველს 7000 დააკლდა. პირველი ამბავი ასე იყო — ბრიტანელმა ერთ ადგილას მანქანა დააყენა და ცოტა ხნით მოშორდა. როცა დაბრუნდა, ჩანთა, რომელშიც ნახსენები თანხა იდო, არსად იყო. ბოსველს საფულე მოპარეს ბრისბენის აეროპორტში. ის 7000, რომელიც ჯიბეში ეგულებოდა, სპორტსმენმა ამას წინათ ბერლინის „ოქროს ლიგაზე" პატიოსანი შრომით მოიპოვა (პირველი ადგილი დაიკავა) და ოლიმპიადის დაწყებამდე ნაშოვნის ალალად შერგება სურდა. არ დასცალდა და მართალია, საფულე მალევე დაუბრუნდა, მაგრამ უშვიდიათასოდ. ყოველივე ფართო საზოგადოებამ გაიგო და შეშფოთდა. ავსტრალიის, აშშ-ის, ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების მრავალი მძლეოსანი ვარჯიშობს ავსტრალიურ „ოქროს ნაპირზე", სადაც ჯექსონი გაიქურდა და სადაა გარანტია, რომ მსგავსი კიდევ არ მოხდება? ქუინსლენდის პოლიცია იმედიანად ლაპარაკობს, ეს მხოლოდ ცალკეული ფაქტებია და ბოროტმოქმედებს არ ვაპარპაშებთო, თავად ბოსველიც ოპტიმისტურად ამბობს: „ცუდი რამ შემემთხვა, მაგრამ გული არ გამტეხია, მზადებას ვაგრძელებ და ოლიმპიადას გუნებაგამოკეთებული შევხვდები."

**დავით გულუა**



# რით დაიმსახურა სამარანჩმა ოქროს საწმისი

***გუშინ გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის „ოქროს საწმისის" ორდენით დაჯილდოების თაობაზე. თუმცა, მოვლენებს გავუსწარით და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესახებ ჩვენც გუშინდელ „სარბიელში" გაუწყეთ, რაკი ამ „საიდუმლოს" „დროზე ადრე" ფარდა თავად ედუარდ შევარდნაძემ ახადა, როცა ჩვენი ქვეყნის ოლიმპიელებს შეხვდა.***

***შეგახსენებთ, რომ საქართველოს ამ უმაღლესი ჯილდოს კავალრები არიან: მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ჯეიმს ვულფენსონი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი.***



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

მაინც რით დაიმსახურა ასეთი პატივი ჩვენი ქვეყნისაგან ხუან ანტონიო სამარანჩმა, რომელიც აგერ უკვე ორი ათეული წელია, პოლიტიკური ინტრიგების, ფინანსური დაპირისპირებების, დოპინგსკანდალებისა და სხვა ათას ხლართებში დაატარებს თავის სამწყსოს?

ვიდრე ამ კითხვაზე საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი გვიპასუხებდეს, ჯერ თავად სამარანჩზე:

იგი ამ ზაფხულს ოთხმოცისა მოიყარა. დაამთავრა ბიზნესის ინსტიტუტი. არის ეკონომიკის პროფესორი. შარშანწინ მიენიჭა სორბონის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი. არის რამდენიმე ბანკის საბჭოს წევრი. იყო ესპანეთის ელჩი საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ახალგაზრდობაში გატაცებული იყო ფეხბურთითა და კრივით. ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას.

1964 წელს სამარანჩი აირჩიეს ესპანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად, ორი წლის მერე გახდა სოკ-ის წევრი, 1974-78 წლებში მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი იყო, 1980 წელს კი პრეზიდენტი.

ხუან ანტონიო სამარანჩი დაჯილდოებულია ბარსელონისა და კატალონიის ოქროს მედლებით, მიღებული აქვს ესპანეთის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო, კარლოს III დიდი ჯვარი, ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა მარკიზის ტიტული უბოძა.

სამარანჩი დაჯილდოებულია აგრეთვე მრავალი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მედლებითა და ორდენებით. მას მრავალ ქვეყანაში ჰყავს მეგობარი, თუმცა, არც მოწინაალმდეგენი აკლია.

ბოლო წლებში საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში კორუფციასთან დაკავშირებული დიდი სკანდალის გამო ესპანელ მარკიზს მრავალი კრიტიკისა და შეტევის მოგერიება მოუხდა, თუმცა, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან „სარბიელის" მკითხველს სისტემატურად მოვუთხრობდით ამ სკანდალთან დაკავშირებულ ბატალიებზე.

— თუ რისთვის დაიმსახურა სამარანჩმა „ოქროს საწმისის" ორდენი, ეს ნათლადაა ფორმულირებული საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებაში — გვეუბნება საქართველოს ეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი — განკარგულებაში ნათქვამია, რომ სამარანჩი „საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის მხარდაჭერაში, ქართველი ოლიმპიელებისა და ოლიმპიური მოძრაობის ვეტერანთა დახმარებაში, ოლიმპიური იდეების პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისთვის" ჯილდოვდებაო.

**— უფრო კონკრეტულად, რაში გამოიხატება ეს მხარდაჭერა და წვლილი?**

— სამარანჩი საქართველოს ეოკ-ისთვის ფრიად სასურველი პიროვნებაა. იგი უყურადღებოდ არ ტოვებს ჩვენს არანაირ თხოვნას, წამოწყებას თუ იდეას. ზოგჯერ თავადაც გამოდის წამქეზებლის როლში და გვეუბნება, რომ თქვენი ეოკ-ი მარტო არ არის პრობლემებთან, თქვენს გვერდით სოკ-იაო. დღეს რომ ჩვენს ეოკ-ს აქვს ოლიმპიური მუზეუმი, ეს სწორედ სოკ-ისა და პირადად სამარანჩის დამსახურებაა. მართალია, მუზეუმის ფართობი პატარაა, მაგრამ მრავალ ქვეყანას ესეც არა აქვს. სამარანჩის დამსახურებაა ისიც, რომ საქართველოს ვეტერანი ოლიმპიელები 2000 წლის იანვრიდან 80-დან 120 ლარამდე ოლიმპიურ პენსიებს იღებენ.

უნდა გავიხსენოთ 1997 წელს სეოკ-ისათვის ნაჩუქარი მიკროავტობუსი, რაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და „დაიმლერ ბენცის" სპეციალური ერთობლივი პროგრამითა და სამარნჩის აქტიურობით გახდა შესაძლებელი...

**— და მაინც, ამგვარ დახმარებებს ხომ სოკ-ისგან ყველა იღებს...**

— არის დახმარების პროგრამები, რომლებიც ყველა ქვეყნის ეოკ-ზე ერთნაირად ვრცელდება, მაგრამ არის ბევრი რამ, რასაც ესა თუ ის ქვეყანა ადრე იღებს, ზოგი კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რიგის ბოლოშია ან მის თხოვნას არ აკმაყოფილებენ. ჩვენდამი სამარანჩის კეთილგანწყობის მაგალითების გახსენება მრავლად შეიძლება. გავიხსენოთ თუნდაც სოკ-ისგან კომპენსაციის სახით ერთჯერადი დახმარება, რომელიც მიიღეს აფხაზეთიდან ლტოლვილმა ვეტერანმა თუ მოქმედმა სპორტსმენებმა, სპორტის მუშაკებმა... აქ საინტერესო ისაა, რომ სოკ-ის პროტოკოლით ლტოლვილთა დახმარება გათვალისწინებული არაა.

ერთხელ სამარანჩმა მითხრა, ბევრი გვთხოვს დახმარებას, მდიდრებიც და ღარიბებიც. მართალია, სოკ-ი მდიდარი ორგანიზაციაა, მაგრამ ყველას მაინც ვერ გავწვდებითო. სამარანჩის სეოკ-ისადმი კეთილგანწყობით გაკვირვებულნი არიან ჩვენი მეზობლები, აზერბაიჯანელები და სომხები, გვეკითხებიან, სამარანჩს ასე როგორ შეაყვარეთ თავიო.

ერთი სიტყვით, ვისთვის როგორ და სამარანჩი ჩვენი ეოკ-ის დიდი მეგობარია და მისთვის „ოქროს საწმისი" ალალია — გვითხრა საუბრის დასასრულს ჯანო ბაგრატიონმა.

**გიგა გურასაშვილი**

## რაგბი

# განაჩენი გადაიდო

**შაბათს** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრის პირველ ტურს სენსაცია ახლდა, რიცხვნაკლულმა ასკ-მ ტიტულოვანი ყოჩები დაამარცხა. მაგრამ არმიელთა ყოჩაღობა საქართველოს ეროვნული და შვიდკაცა ნაკრების წევრის, მალხაზ ურჯუკაშვილის სამობმა საქციელმა დაჩრდილა. შეგახსენებთ: შეხვედრის საწყის წუთებში ყოჩმა კახა კობახიძემ არმიელთა სალელოე მოედანი დალაშქრა. მასპინძლებმა ჩათვალეს, კობახიძემ ლელო წესების დარღვევით გაიტანაო და მატჩის მთავარ არბიტრს გუგა ბაბუნაშვილს, რომელიც უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩს ატარებდა, ლელოს გაუქმება მოსთხოვეს. მსაჯი შეუვალი აღმოჩნდა და გადაწყვეტილება არ შეცვალა. ამით აღშფოთებულმა არმიელმა ურჯუკაშვილმა ბაბუნაშვილს ცხვირ-პირში ფეხი უთავაზა. ურჯუკაშვილი მოედნიდან გააძევეს. ერთობ საეჭვოა, ნაკრების მობურთალი გაცილებით მკაცრ სასჯელს გადაურჩეს. საქართველოს რაგბის კავშირის წესდებაში გარკვევით წერია, რომ მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მორაგბე სამუდამო დისკვალიფიკაციით ისჯება. თუმც შეიძლება საქმე სხვაგვარად შეტრიალდეს, რადგან, როგორც რაგბის კავშირში განმარტეს, სადისციპლინო კომიტეტი IRB-ის წესდებითაც ხელმძღვანელობს, რომლის თანახმადაც ზემოთ ნახსენები დანაშაულისთვის მორაგბეს ან ორი წლით ემუქრება რაგბიდან მოკვეთა, ან სამუდამოდ. რა სასჯელი ელოდა ურჯუკაშვილს, ეს გუშინ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ დამსჯელი კომიტეტის თავმჯდომარე თორნიკე გეგიძე მოსკოვში იმყოფებოდა და, ბუნებრივია, სხდომას ვერ დაესწრებოდა. კომიტეტის წევრებმა არჩიეს, თავმჯდომარის გარეშე გადაწყვეტილება არ მიეღოთ, მით უმეტეს, რომ მათ მიერ გამოტანილმა განაჩენმა ურჯუკაშვილის სამომავლო ბედი უნდა გადაწყვიტოს. სადისციპლინო კომიტეტის სხდომა სავარაუდოდ ორშაბათს გაიმართება.

**ბაჩო სვანიძე**

## ავტორბოლა

# ორი ავარია ხუთ დღეში!

## ფიზიკელას, ეტყობა, არც თავი ენანება და არც ბენეტონის მილიონები

**ფორმულის** მოხეტიალე ცირკი მთელს დუნიაზე უსწრაფეს „მონცას“ ტრასაზე სარბოლოდ ემზადება. გუნდებმა უჩვეულოდ ადრე, წინა ეტაპის დასრულებისთანავე გადაისროლეს თავიანთი უამრავტონიანი ბარგი-ბარხანა იტალიაში. მიზეზი ისაა, რომ ტრეკს მეტი უსაფრთხოებისთვის მორიგი „რემონტი“ ჩაუტარდა, კერძოდ, სახე ეცვალა ურთულეს პირველ მოსახვევს — „პრიმა ვარიანტე“, რომელშიც ბოლიდები 350 კმ/სთ სიჩქარით შერბოდნენ. პილოტებმაც ამიტომ მიაშურეს „აუტოდრომო ნაციონალეს“ — სიახლის გასაცნობად და ასათვისებლად.

ოთხდღიანი ტესტირების ბოლო სერია ვადაზე ოციოდე წუთით ადრე შეწყდა პედრო დელა როსას საკმაოდ მძიმე ავარიის გამო. ესპანელი მრბოლის „ეროუზი“ ერთი შეხედვით უწყინარ მოსახვევში „კურვა გრანდე“ ტრასიდან გასრიალდა და ბარიერს შეენარცხა. ორი დღით ადრე კი ფათერაკს გადაეყარა ჯანკარლო ფიზიკელა — ალბერტო ასკარის სახელობის მოსახვევში მან ისე მიაფშვნა კედელს თავისი „ბენეტონი“, რომ მანქანის აღდგენაზე არც უფიქრიათ. საბედნიეროდ, თავად მსუბუქად დაშავდა, ჯართადქცეულ ბოლიდს კი აღარაფერი ეშველა და მილიონი დოლარი წყალმა წაიღო.

ეს იტალიელის მეორე სერიოზული ავარიაა ხუთ დღეში. წინა მარცხი მას ბელგიის დიდი პრიზის გათამაშებისას შეემთხვა. ექიმებმა ჯანკარლოს ხუთდღიანი დასვენება და დამაწყნარებელი აბები გამოუწერეს. ტიფოზებს იმედი აქვთ, რომ მათი თანამემამულე დაშავებულ მარჯვენა ფეხს დროულად მოირჩენს და მშობლიურ ავტოდრომზე რბოლას შეძლებს.

ვარჯიშები კი ფრენკ უილიამსისთვის სასიხარულოდ დასრულდა — ბოლო დღის გმირი რალფ შუმახერი გახდა. მისი „უილიამსის“ დრო ერთ-ერთ წრეზე საუკეთესო აღმოჩნდა. გერმანელს სულ ოდნავ, წამის მეათედით ჩამორჩა ფერარელი რუბენს ბარიკელო. სხვები ბევრად უარესად გამოიყურებოდნენ, მათ შორის მიხაელ შუმახერიც, რომელსაც მხოლოდ მერვე შედეგი ჰქონდა. საერთოდ არ გამოჩენილან ტრასაზე მიკა ჰაკინენი და დევიდ კულჰარდი. მათ ნაცვლად „შავი სამუშაო“ „მაკლარენის“ ტესტ-პილოტმა ოლივიე პანიმ შეასრულა — ყველაზე მეტი, 88 წრე (500 კმ) გაიქროლა, თუმცა მეხუთე ადგილს მაინც ვერ ასცილდა.

კვირამდე ჯერ საკმაო დროა და მიხაელსაც, ცხადია, სიტუაციის გაუმჯობესების იმედი აქვს: „ჩვენი გუნდი შინ, საკუთარ ავტოდრომზე 110 პროცენტით გამოავლენს თავის შესაძლებლობებს. „ფერარის“ სახელით იტალიის დიდი პრიზის მოგება ნებისმიერი პილოტისთვის განსაკუთრებული მოვლენაა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უმთავრესია გამარჯვება, რადგან შეიძლება სწორედ ერთმა წარმატებამ ან მარცხმა გადაწყვიტოს ჩემპიონატის ბედი. მიკას და ჩემს შორის სხვაობა მხოლოდ ექვსი ქულაა, ამიტომაც საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი“.

„ფერარისგან“ განსხვავებით, სადაც ყველაფერი შუმისთვის კეთდება, „მაკლარენის“ ხელმძღვანელობა ყოველ ნაბიჯზე ისევ თავისას გაიძახის, რომ გამონაკლისს არავისთვის უშვებს. რონ დენისის თქმით, იგი ჯერაც არ ზღუდავს ჩემპიონობისთვის ბრძოლაში კულჰარდს, მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდიელი 13 ქულით ჩამორჩება ჰაკინენს: „კულჰარდსაც არ დაუკარგავს ჩემპიონობის შანსი, ამიტომ იტალიაში ორივე პილოტი თანაბარ პირობებში იქნება“.

**ირაკლი ნიკოლაძე**



ჯანკარლო ფიზიკელა წლეულს ავარიებს სახიფათოდ შეეჩვია

## ჭადრაკი

*ჩინეთში მსოფლიოს თასის გათამაშება დაიწყო. ლას ვეგასის ფიდესეული მსოფლიოს პირველობის მერე ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას ამგვარი მაღალი დონის შეჯიბრი არ გაუმართავს. ბოლო ათწლეულში არაერთგზის შელახული ავტორიტეტის მიუხედავად, ფიდე არსებობას განაგრძობს*

# ილუმჟინოვმა აზმაიფარაშვილი დაპატიჟა

**მსოფლიოს** თასის საპრიზო ფონდად გამოძებნილი 406 ათასი დოლარი ადასტურებს: კირსან ილუმჟინოვი და კომპანია, ავად თუ კარგად, კვლავ ფეხზე დგანან. მსოფლიოს თასზე ყველა ვერ ითამაშებს, იქ მოხვედრა მოწინავეთა ხვედრია, კერძოდ კი მათი, ვინც: 1. ფიდეს პრეზიდენტისგან პირადი მიწვევა მიიღო (2 ადგილი); 2. ორგანიზატორი-ფედერაციის (ამ შემთხვევაში ჩინური) ნომინანტი გახდა (1 ადგილი); 3. მიმდინარე წელს თავისი კონტინენტის უძლიერესი მოჭადრაკეა (8 ადგილი); 4. ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე იუნიორია (1 ადგილი); 5. ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონია (1 ადგილი), დაბოლოს, ვისაც რეიტინგ-ლისტებში ათი ყველაზე საპატიო ადგილი უჭირავს. ამგვარმა მკაცრმა შეზღუდვებმა საჭადრაკო გიგანტთა მეტი წილი ვერანაირად წააქეზა. გარი კასპაროვის თამაშზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია და ვლადიმერ კრამნიკმაც მასთან ოქტომბერში მსოფლიოს პირველობის „თავიანთი“ ფინალი უნდა ითამაშოს ორი მილიონი დოლარის თანხლებით, ამიტომ ფიდეს ღონისძიებაში ამჟამად ჩართვა მისგან არაპოლიტიკური ნაბიჯი იქნება და ძალების არაეფექტური ხარჯვაც. ანატოლი კარპოვისთვის მიწვევა არ გაუგზავნიათ — იგი ფიდეს სასამართლოში ებრძვის, ხოლო პიტერ ლეკო გაბედნიერებას აპირებს და ჩინეთს წასვლაზე უარი უთქვამს, ახლა სხვა საქმეებისთვის უფრო მცხელაო. მისი მეორე ნახევარი სომხეთის საჭადრაკო ნაკრების მწვრთნელის ქალიშვილი, სოფია პეტროსიანი უნდა გახდეს. ალექსეი შიროვმა უბრალოდ უარი თქვა, ძნელი სატურნირო გრაფიკი მაქვს და ვშიშობ, არ გადავიწვაო (ზოგი ჩოგბურთელივით, ოლიმპიადაზე რომ არ მიდის), მაიკლ ადამსის თასისგან უკუქცევის მიზეზი ჯერ საიდუმლოა და საინფორმაციო საშუალებები ამბობენ, მალე დავადგენთო. ვესელინ ტოპალოვს ჩინეთი მეტად შორი მოსჩვენებია. ასეცაა, კაცმა რომ თქვას...

სხვები შინანში არიან. ილუმჟინოვმა ორიდან ერთი პერსონალური მოსაწვევი ზურაბ აზმაიფარაშვილს გამოუგზავნა, მეორე — ნაიჯელ შორტმა მიიღო. ფიდეს ჩემპიონი, ალექსანდრ



ზურაბ აზმაიფარაშვილი

ხალიფმანი, ნომერ პირველი იუნიორი, რუსლან პონომარიოვი, ჩინელთა რჩეული იე ჯანჩუანი, ევროპის ჩემპიონი, პაველ ტრეგუბოვი და კიდევ, რეიტინგთა თავადები: ვიშვანათან ანანდი, ალექსანდრ მოროზევიჩი, ვასილი ივანჩუკი, ევგენი ბარეევი, პიოტრ სვიდლერი და ბორის გელფანდი გათამაშებაში ჩაებნენ. მონაწილეთა რიცხვი 24-მდე წვრილფეხობამ შეავსო, აფრიკის, აზიისა და ამერიკის რჩეულებმა, მაგრამ „წვრილფეხობა“ რომ ხშირად ერთობ მიახლოებითი ტერმინია, შევეცდებით ქვემოთ დაგარწმუნოთ.

გათამაშების რეგლამენტს არა უშავს: ოთხ ტოლ ჯგუფად დაყოფილი 24 კაცი წრიული სისტემით ორ-ორ საუკეთესოს მეოთხედფინალისთვის ადგენს, მერე კი „ნოკაუტ-სისტემა“ და მისი ჯანი. თითოეული მონაწილე 5 ათას დოლარს მიიღებს, წარმატებულნი — მეტსაც, გამარჯვებულის წილი 50 ათასია.

ჯერჯერობით წრიული ტურნირი დასრულდა. ხუთი ტურის მანძილზე ყველაფერი იყო: უცნობთა აღზევება და ნაცნობთა დაცემა, ათ და ასორმოცდაათსვლიანი პარტიები (მეოთხე ტურში ალექსეი დრეევმა და ალექსანდრ ალექსანდროვმა 148 სვლა გააკეთეს), ახალი სადებიუტო იდეები... ჩვენთვის მთავარი აზმაიფარაშვილია, რომელიც წინ მიიწევს, ჯგუფურ ტურნირში მეორე ადგილზე გავიდა და მეოთხედფინალში ბარეევთან რთული ბრძოლა ელის. ქართველი A ჯგუფში მოხვდა, სადაც უცილობელი ფავორიტი მოროზევიჩი იყო, მაგრამ რუსმა კატასტროფულად ითამაშა და ჯგუფში ბოლო ადგილს ვერ ასცდა. თასის მთავარი სენსაციაც ეს გახლავთ. მოროზევიჩი თამაშობდა ავანტიურულად, ხოლო ავანტიურიზმი ხანდახან თავის აგდების ტოლფასია. ამიტომ აზმაიფარაშვილმა რუსი ისევე დაამარცხა, როგორც ბარე ორმა სხვამ — მოროზევიჩმა აბსოლუტურად თანაბარი პოზიციის მოგება ისურვა და თავისი წყობა სულ მალე ისე გააფუჭა, პარტიას ეშმაკი ვერ გადაარჩენდა. საერთოდ, იმ ჯგუფში მოულოდნელი ამბები მოხდა, აზმაიფარაშვილის წარმატება კიდევ ჰო, მაგრამ ბრაზილიელი ჟილბერტო მილოშის პირველი ადგილი თუნდაც მისი ბოლო აღმავლობის ფონზე არცთუ ლოგიკური ჩანს. მოროზევიჩის გარდა ჯგუფიდან აბარგება მოუხდათ ევროპის ვიცე-ჩემპიონ ალექსანდროვსა და რუს დრეევს, რომელიც სიმპათიური ოდენობის რეიტინგული ქულების პატრონია.

დანარჩენ ჯგუფებშიც მოხდა პატარ-პატარა სენსაციები, ალექსანდრ ხალიფმანის გავარდნის დარად. საერთოდ, ხალიფმანი „სიკვდილის ჯგუფში“ მოხვდა, ანანდსა და გელფანდს ეთამაშა, ამიტომ იგი რომ ვერ გავიდა, ისე გასაკვირი არაა, როგორც დაკავებული მე-5 ადგილი. ფიდეს ჩემპიონი ნახსენებებთან ერთად ჩამორჩა რუს ტკაჩიევსა და ევროპის ჩემპიონ პაველ ტრეგუბოვს. რცხვენოდეს, ხოლო D ჯგუფიდან მეოთხედფინალებს მოლოდინისამებრ ანანდმა და გელფანდმა უწიეს. ინდოელი სხვებზე ერთი თავით მაღლა დგას, სტარტზე ორჯერ მოიგო და მერე რა ნახა, ფონს ყაიმებით გავალო, თავი დაზოგა.

B ჯგუფში გამოხტა ჩინელი იე იანგჩუანი (რეიტინგით ოცეულს მიღმა მდგარი) და ივანჩუკს გაუსწრო, ოღონდ უკრაინელმა მეორე ადგილზე გასვლა მაინც მოახერხა, რისთვისაც შორტთან პლეი ოფის თამაში დასჭირდა. იანგჩუანი დამაჯერებლად ირჯებოდა. მეორე ტურში ივანჩუკთან ყაიმს დასჯერდა, მომდევნოში კი შორტს მოუგო. ინგლისელი თეთრებით იყო და მეტოქეს დაარტყა, იმან კი უფრო მაგრად უპასუხა და პარტია უკეთეს ენდშპილში გადაიყვანა, სადაც მოქნილად მოიგო. C ჯგუფის ანტიგმირი სვიდლერი იყო. მან ბარეევი პირველ ადგილზე გაუშვა, ხოლო როცა სერგეი მოვსესიანთან პლეი ოფი წააგო, მეორე პროგრესული ადგილიც დაკარგა და შინისაკენ ჰერი, ჰერი!

მეოთხედფინალში მოჭადრაკეები ასე დალაგდნენ: მილოში — მოვსესიანი, ბარეევი — აზმაიფარაშვილი, იანგჩუანი — გელფანდი, ანანდი — ივანჩუკი. ბოლო წყვილის ყურება ყველაზე საინტერესოა. ორივე მოჭადრაკე კრიზისიდან გამოსვლას ცდილობს.

**დავით გულუა**

## ველორბოლა

# ესპანური წრე ანდორაში



**დაიწყო** მთიანი ეტაპები და „ვუელტას“ ლიდერებიც ყოველდღიურად იცვლებიან. სამშაბათს ესპანელმა ანხელ კასერომ ოქროსფერი მაისურა ჩამოართვა თანამემამულე სანტოს გონსალესს, რომელიც მას მხოლოდ ერთი დღე ფლობდა. მეთერთმეტე ეტაპი ალპში დაიწყო და ანდორას არკალისში დასრულდა ბასკი რობერტო ლაისეკას გამარჯვებით.

რბოლა თავიდანვე საინტერესოდ წარიმართა. მე-15 კილომეტრზე იტალიელმა ანდრეა პერონმა მოახერხა გაქცევა. „ფასა ბარტოლოს“ წევრს კომპანიონობას რუსი ანდრეი ზინჩენკო (პეკოლი) და გერმანიის ჩემპიონი როლფ ალდაგი (ტელეკომი) უწევდნენ. ამ სამეულიდან წინ ყველაზე დიდხანს პერონმა გაძლო. მან მხოლოდ ფინიშამდე 30 კილომეტრით ადრე დათმო პოზიციები.

საბოლოო გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები პელოტონში იყვნენ და რაიმეს მოსამოქმედებლად ბოლო აღმართს ელოდნენ, რომელიც უმაღლესი კატეგორიის სიძნელისა იყო. არკალისამდე, ორდინოს მთაზე მხოლოდ ფერნანდო ესკარტინმა (კელმე) შეუტია თავისი სამი თანაგუნდელით, თუმცა ეტაპის ბედი მაინც არკალისის მთაზე გადაწყდა.

ოთხ დაწინაურებულ კელმეელს ლაისეკა, კარლოს სასტრი და სანტიაგო ბლანკო მიჰყვნენ. მათ ამ პატარა ჯგუფის სათავეში წამითაც არ უმუშავიათ და შესაბამისად, ფინიშის მიახლოებისას უფრო შემორჩათ ძალები, რაც მშვენივრად გამოიყენეს და პირველი სამი ადგილიც დაისაკუთრეს.

ფავორიტთაგან რობერტო ერასმა იაქტიურა და ბოლო 8 კილომეტრზე შეუტია. შედეგად მან თავის ძირითად კონკურენტებს წუთზე მეტი მოუგო და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა. პირველი კი კასერო გახდა, რომელმაც ლაისეკასთან 2 წუთი და 57 წამი დათმო.

გუშინ „ვუელტაზე“ დასვენების დღე იყო. დღეს კი მეთორმეტე სარაგოსული ეტაპი გაიმართება, რომელმაც, წესით, საერთო ჩათვლაში ბევრი არაფერი უნდა შეცვალოს, რადგან არცთუ რთული გზაა.

**გაიოზ თალაკვაძე**



რობერტო ლაისეკა

### მეთერთმეტე ეტაპი

ალპი — არკალისი (ანდორა), 136,5კმ

1. რობერტო ლაისეკა (ესპანეთი, ესკალტელი) — 3სთ 43წთ 26წმ
2. კარლოს სასტრი (ესპანეთი, ონსე) — +50წმ
3. სანტიაგო ბლანკო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +1წთ 04
4. მანუელ ბელტრანი (ესპანეთი, კელმე) — +1წთ 50
5. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +1წთ 50

### საერთო ჩათვლა

1. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) — 37სთ 32წთ 52წმ
2. რობერტო ერასი — +1წთ 15
3. იგორ გონსალეს დე გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +1წთ 42
4. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +2წთ 21
5. სანტოს გონსალესი (ესპანეთი, ონსე) — +2წთ 24



სიდნეელი მუშა კაცი უზარმაზარ პოსტერს აკოხტავებს სიდნეის ერთ-ერთ ქუჩაზე. პლაკატზე ავსტრალიის ოლიმპიური იმედი სუზან ონილის ცურვაა აღბეჭდილი. ონილი 200 მეტრზე ბატერფლაიში მსოფლიო რეკორდსმენია და ოლიმპიურ ოქროს უმიზნებს.



ოლიმპიურ სოფელში კი ჰოლანდიის სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონიალი მიმდინარეობს. ნიდერლანდელთა მისიის ხელმძღვანელი იან ლოორბახი კი მკვიდრ ავსტრალიელთან, ერთი ტომის ერთ ბელადთან ერთად შეჰხარის თავისი ქვეყნის დროშას.



ისრაელში კი ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად ებრაელთა ოლიმპიური მსხვერპლიც გაიხსენეს: თელ ავივის ქუჩაზე იმ თერთმეტი ებრაელის ხსოვნის სტენდია გამოდგმული, 28 წლის წინათ მიუნხენის ოლიმპიადაზე რომ ემსხვერპლნენ პალესტინელ ტერორისტთა ჭურვს.

## სეპაკ ტაკრავი

სეპაკ ტაკრავი, ანუ ტაილანდური ფეხბურთი, რომელიც ერთდროულად ჩოგბურთსაც ჰგავს და ფრენბურთსაც, ძველ ტაილანდში ელიტარული სპორტი იყო — მას სამეფო ოჯახებისა და დიდგვაროვანთა ეზოებში თამაშობდნენ. ახლა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამაზე პოპულარული სახეობა ძნელად რომ მოიძებნოს. ამიტომ გასაკვირიც არაა — იქაურები ითხოვენ, ეს ბურთაობა ოლიმპიურად ვაქციოთო.



# პუტინი ისევ ტატამზეა







რუსთა პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი იაპონიას სტუმრობდა. ყოფილმა ძიუდოისტმა პუტინმა და ყოფილმა მორაგბემ, აწ კი იაპონიის პრემიერმა იოშირო მორიმ კურილიის კუნძულები კვლავ ვერ გაიყვეს, თუმც კი, შავქამროსანმა პუტინმა ტატამზე გავარჯიშების შანსი ხელიდან არ გაუშვა და როგორც იაპონელებმა თქვეს, ძველი ძიუდოისტის ძალაც ანახა იქაურებს. სხვა მხრივ კი პუტინი ათი წლის გოგონას, ნაცუმი გომისაც გაეპაექრა კოდოკან ძიუდოს დარბაზში და, რა თქმა უნდა, მოაგებინა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge